თუ კი მიღებული შედეგების მიხედვით მათ კატალიზურ აქტივობას შევუპირისპირებთ სათანადო წყაროების რკინის კონცენტრაციას (მათ ბუნებრივ ტემპერატურულ პირობებში), დავინახავთ, რომ უკანასკნელის გადიდებით კატალიზური აქტივობა ეცემა, თუმცა არა პროპორციულად. თუმცა კატალიზური მოქმედების მთავარ ფაქტორს ამ წყლებში რკინა წარმოადგენს, რომელიც ჩვეულებრივ $\text{Fe}(\text{HCO}_3)_2$ -ის სახითაა შეცული, მაგრამ რკინის კონცენტრაციის გავლენა კატალიზური მოქმედების გადიდებაზე, როგორც ჩანს, მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდევა მართებული. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ მინერალურ წყლებში უთუოდ შეცული (განსაზღვრა ჩატარებული არ არის) მანგანუმი (ორვალენტიანის სახით). აღსანიშნავია, რომ ჰალოგენების შემცველობას (ცხრილი № 4) და კატალიზურ მოქმედებას შორის ამ წყლებში გარკვეული დამოკიდებულება შეიმჩნევა.. მიღებულ ექსპერიმენტულ შედეგებში ყურადღებას იპყრობს მონაცემები დაყოვნებულ წყალზე; მიუხედავად იმისა, რომ ნიმუშის აღებიდან ცდების ჩატარებამდე წყალი მეტამორფიზაციას განიცდის, რომლის დინამიკა ჩვენ მიერ ერთ-ერთ წინა

¹ ნიმუში აღებული იყო და დაყოვნებული გამჭვირვალე ლიტრიან ჭურჭელში, კარგად თავდაცულ მდგომარეობაში, მოთავსებული იყო ოთარში განძნეულ ცინათლებზე.





Fig. № 1.



ნაზ. № 2.

შრომაშია მოცემული [5], კატალიზური აქტივობა არ მცირდება. გარეგნულად, ამ დროის განმავლობაში, წყალი იმღვრევა ნახშირორჟანგი-ჰიდროკარბონატული წონასწორობის დარღვევის გამო გამოყოფილი კარბონატებით და რკინის ნაწილობრივი დაუანგვის შედეგად წარმოქმნილი ცვალებადი შემაღენლობის ნაერთებით (ჰიდროკარბონატი, ჰიდროკარბონატების

დაშლის შედეგად გამოყოფილი პროცესი ამ სტადიაში, წვრილ დროს მდგრადი სულ მდგომარეობაში იმყოფება. როგორც ჩანს, რკინის (უმთავრესდება) მეტამორფიზმის მდგომარეობაში გადასვლა მის კატალიზურ უნარიანობას არ ამცირებს (ცოტაოდნად ადიდებს კიდეც). მხედველობაში მისაღებია აგრეთვე RH-ის გავლენა, რომლის სიღიძე დაყოფნებით იზრდება, რაც აპირობებს რკინის მეტამორფიზაციას და ამავე დროს კატალიზურ აქტივობაზედაც სათანადო გავლენას ახდენს. მინერალურ წყლებში ამ ფაქტორების დეტალური შესწავლა, კერძოდ, რკინის მეტამორფიზაციის ნაირსახეობის და აგრეთვე სხვა ნივთიერებათა თანაპოვნიერებით კატალიზურ აქტივობაზე გათი გავლენის შესწავლა ცალკე გვაქვს განხრახული.

ლიტერატურა

1. Александров и Павлов: Курортно-санит. дело, № 3—4. 1930.
2. Lundgren: Journ. Amer. Ch. Soc. 59, 413 (1937).
3. Loc cit.
4. В. Гортников и Н. Решетников, Физико-химия мин. вод и леч. г्रязей, под редакц. А. Щукарева. Цент. Инст. Кур., 1937 г.
5. ვ. ხუხია, რკინის რაოდენობის ცვალებადობის საკითხისათვის რკინიან მინერალურ წყლებში: თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, XIII, 1940.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანალიზური კიმიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VI. 21).

В. Л. Хухия

Каталитическая активность железисто-углекислых минеральных вод Боржомского района

Резюме

Изучение каталитической активности минеральных вод, имеющих широкое применение, представляет практический интерес, поскольку так называемое „странение“ воды тесно связано с изменением каталитической активности. Выявление каталитически действующих факторов и их механизма действия в мин. водах, помимо практического интереса, имеет и теоретическое значение.

Весьма разнообразные минеральные воды Грузии в этом отношении не изучены. Мы задались целью восполнить этот пробел, начав изучение

с железисто-углекислых вод Боржомского района, чему и посвящена настоящая статья. На каталитическую активность были изучены две основные эксплуатируемые источники в Цагвери (источник № 1 и № 2) и один в Либанском ущелье. Опыты проводились с применением метода перекиси водорода, как при естественной температуре воды, так и при различной. Полученные экспериментальные данные приведены в виде таблицы и графически (таблицы 1, 2, 3, 4; графики 1, 2). На основании полученных данных можно сделать следующие выводы:

1. Изученные минеральные воды обладают весьма высокой каталитической активностью.

2. По каталитической активности эти воды можно расположить в следующий ряд: Либани — Цагвери ист. № 2 — Цагвери ист. № 1, при сравнительно незначительной разнице в величинах константы.

3. При температуре 35°С каталитическая активность больше, чем при изучаемых низких температурах.

4. По прошествии 17 ч. 40 м. после взятия пробы, при 18°С, сильно метаморфизованная вода (помутневшая) показывает не понижение каталитической активности, а повышение. Этим подтверждаются данные Гортикова и Решетникова.

5. Каталитическое действие, обусловленное в основном железом (содержащемся в виде $\text{Fe}(\text{HCO}_3)_2$), не находится в прямой зависимости от концентрации последнего.

При рассмотрении вопроса о каталитически действующих факторах, помимо содержащихся в воде компонентов — железа и марганца, следует принять во внимание содержание некоторых микрокомпонентов, в особенности иода. Возможно, что не является случайным подмеченный нами факт увеличения каталитического действия с увеличением содержания галоидов в воде.

ა. მაყავალი

კოლეგის უცნობი კულტურები

„ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და... მისი საქმიანობა ამ დარგში საქმაოდ ნაყოფილი კოფილა“.

„ყოველს ცალკეულ, წვრილამან მცენარესაც მეურნეობისა და კულტურის ისტორიაში თავისი მნიშვნელობა აქვს და ყურადღების ღირსია“.

(ივ. ჯ. ავარიშვილი, საჭ. ეკონ. ისტ. ნ. II,
შესავალი).

შესავალი

საქართველოს კულტურულ მცენარეთა ბოტანიკური შემადგენლობის გეპ-
შიანი შესწავლა შხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაწყო.
ამ საქითხის ირგვლივ უკვე რამდენიმე მეტად საყურადღებო შრომაა გამო-
ქვეყნებული, საიდანაც ნითლად ჩანს ის ესოდენ დიდი წვლილი, რომელიც
კულტურული მცენარეების საერთო რიცხვში შეტანილი აქვს საქართველოს,
და ის ქეშმარიტად „დაუცხრომელი მუშაობა“, რომელიც საუკუნეთა მანძილზე
უწარმოებია ქართველ ხალხს.

თუ, უწინარეს ყოველისა, პურეული მცენარეების შემადგენლობას გადა-
ვაყლებთ თეალს, დავინახავთ, რომ დედამიწის ზურგზე არსებულ ხორბლის 16 სახეობიდან, როგორც უკანასკნელი წლების კვლევაძიებიდან ჩანს [36, 37,
38, 52], საქართველოში 11 სახეობაა გავრცელებული, თავისი უძრავი სახე-
სხევაობითა და ფორმით, რომელთა დიდი ნაწილი შხოლოდ საქართველოდანაა
ცნობილი. ხორბლების მრავალფეროვნების მხრივ საქართველომ განსაკუთრე-
ბული ადგილი დაიკირა მსოფლიოში და სამართლიანად ითვლება ხორბლების
გავრცელების ერთ-ერთ ძირითად კერად, რაც ამჟამად უკვე საყველთაოდაა
გაზიარებული [52].

თავისთვის ცხადია, რომ ესა თუ ის კულტურული სახეობა წარმოიქ-
მნებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც უშუალო წინაპარი ან მისი მონათესავე
ფორმებია გავრცელებული. ხორბლის ველური ფორმებისა და ხორბლის კულ-
ტურის წარმოქმნის პირველადი არეალი — წინა აზია. დღეს, მხოლოდ რაჭა-

ლექსუმში შერჩენილი ხორბლები „ჩელტა-მახა“, „გვაწა-მახა“, „ზანდლურული წარმოადგენენ ისეთ ხორბლებს, რომლებშიც ველური ხორბლის ნაშენებების ეკვივალენტი ბები, სხვა დანარჩენ ხორბლებთან შედარებით, ყველაზე მკვეთრადაა გამოსახული. ეს ხორბლები ჩვენი ენდემური ხორბლებია, დღეს კულტურულ პირობებში გავრცელებული, და ეს გარემოება გვაძლევს უფლებას, როგორც აღნიშნავს ვ. მენაბდე, კულტურული ხორბლების პირველად კერად საქართველო ჩავთვალოთ, ხოლო ხორბლების მეორად კერად, სხვა მხარეები [52].

ყოველივე ეს საგულისხმოა არა მარტო როგორც საქართველოს მატერიალური კულტურის მასალა, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი გახდა. საქართველოს ხორბლები იმავად ფართოდაა განოყენებული სელექციაში ინსტიტუტებისა და საგურუების მიერ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ჩვენი ხორბლების განოყენების მნიშვნელობა სელექციაში ხაზგასმითაა მოხსენებული სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიისა და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სპეციალურ დადგენილებაში, რომლებშიც განსაკუთრებითაა აღნიშნული „ზანდლურისა“, „დაგისა“ და „ასლის“ სასელექციო ღირებულება მაღალი ღირსების ხორბლების გამოყვანის საქმეში.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. მენაბდე [52], საქართველოს ხორბლების ბოტანიკური შემადგენლობის კვლევას აქვს არა მარტო ლოკალური მნიშვნელობა, არამედ ამ საქმეს მთელი საბჭოთა კავშირისათვის დიდი სახალხო-სამეურნეო როლი ენიჭება.

არანაკლები მნიშვნელობა¹ აქვს ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურის, ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის შესწავლას. მართალია, ამ დარგის კვლევაზე არ დამთავრებულა, მაგრამ იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც უკვე გამოკვეყნებულია და აგრეთვე ქართული ვაზის ჯიშების იმ ცოცხალი კოლექციის მიხედვით, რომელიც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ინსტიტუტშია დაცული, ირკვევა, რომ საქართველოში 400-ზე მეტი აბორიგენული ჯიშია გავრცელებული. ამ მხრივაც საქართველო, თუ პირველს არა, ყოველ შემთხვევაში, საპატიო ადგილს დაიკავს მსოფლიო მეცნიერებისში. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვაზის სელექციის საქმე, ესოდენ რთული და ძნელი, ძველ საქართველოში იმდენად ყოფილა ითვისებული, რომ მის თითოეულ კუთხეში, ბუნებრივი პირობების შესაბამისი, ვაზის საკუთარი ასორტიმენტია გამოყვანილია [2, 11].

საინტერესო მასალა უნდა მოვცეს ბალისა და ბოსტნის მცენარეების კვლევამ. ამ დარგების ბოტანიკური შემადგენლობის შესწავლა ჯერჯერობით ვერ არის სათანადო სიმაღლეზე აყვანილი, მაგრამ წინასწარი ცნობებიდან ირკვევა, რომ აქაც გვაქვს ხეხილის აბორიგენული, ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან კარგად შეგუებული, გამტლე ჯიშები, აგრეთვე ველურ ბუნებიდან შეთვისებული ორიგინალური, ენდემური კულტურები.

ინტერესს არაა მოკლებული დეკორაციულ და ტაძრების ირგვლივ გაშენებულ მცენარეთა შესწავლა. მათი ბოტანიკური რაობისა და გოგრაფიული გავრცელების არეალის გამოკველევა ზოგჯერ მეტად საინტერესო მასალას

უგდებს ხელთ მკვლევარს. ამ მნიშვნელობა აქვს ამგვარი მცენარეების, ფაქტურული კვლევას, ამის შესახებ იყალ. ვ. კომაროვს [45] ასეთი საცურადლებრულობას აქვს მოყვანილი. ჰიმალაის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა ერთი ტომი, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა ჰიმალაის ხალხთა სხვა ტომებისაგან. ანთროპოლოგებმა და ლინგვისტებმა ვერ შესძლეს ამ ტომის წარმოშობის საკითხის გამორკვევა, ხოლო ცნობილი ინგლისელი ბოტანიკოსი დ. პრენი, რომელსაც მოუხდა ამ მხარეში მოგზაურობა, დაინტერესდა ამ ხალხის სადაურობის საკითხით და შეეცადა მათი ვინაობის გამოკვლევას თავისი სპეციალობის პოზიციიდან.

მან მიაქცია ყურადღება იმ ყვავილებს, რომლებიც მოსახლეობას საცხოვრებელი ქოხების ირგვლივ მოჰყავდა ბალჩებში. ასეთი ყვავილები მთელ ჰიმალაის მხარეში სხვას არავის ეთესა და ამ ტომის, საიდუმლოებით მოცული, სადაურობის საკითხი სწორედ ამ ყვავილებმა გამოამჟღავნა.

ეს ხალხი ოდესაც ჩინეთიდან გადმოსახლებულა, თავისი საყვარელი ყვავილები თან წამოედო და ახალ საცხოვრებელ მხარეში კვლავ მათ მოყვანას განაგრძობდა.

დეკორაციული მცენარეების ბოტანიკური შემაღებნლობის შესწავლას, რისთვისაც ჩვენში თოვების არავის მოუკიდია ხელი, ზეტოლა შეტად საინტერესო, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი მასალის მოპოვება, როგორც მატერიალური კულტურის, ისე ხალხთა ურთიერთობისა და სხვა საკითხების გასაშუალებლად.

ბოტანიკოს პროფ. ნ. კუზნეცოვს [46] 1889 წელს, შევი ზღვის სანაპიროზე მოგზაურობის დროს, „სრულიად ველურ, პირველყოფილი ბუნების პირობებში“ უნახავს ცნობილი ამერიკული დეკორაციული ხის ლირიდენდრონის (*Liriodendron tulipifera* L.) გაველურებული გიგანტური ეგზემპლარი იმ დროს, როდესაც ეს სახეობა ველურად მხოლოდ ჩრდ. ამერიკის მირელენდისა და ვირგინიის შტატების ტყეებში იზრდება, ხოლო კულტურაში, დეკორაციული ხის სახით, თბილი ქვეყნების ბალებსა და პარკებშია გავრცელებული. საიდან და როდის იყო ლირიოდენდრონი ჩვენში შემოტანილი, რომ იგი XIX საუკუნეში უკვე გაგარეულებულიყო, ამ საკითხის გამორკვევა ნ. კუზნეცოვს არ უცდია, მაგრამ მხცივანი მკვდევარი სრულიად გარკვეულად დასძენს, რომ მიერ ნაპოვნი ლირიოდენდრონი ჩვენი შევი ზღვის სანაპიროს წარსულის მაღალ კულტურულ დონეს მოწმობს.

დეკორაციული მებაღეობისა და მეყვავილეობის ჩვენმა სპეციალისტებმა უნდა დააზუსტონ საქართველოში გაერცელებული დეკორაციული მცენარეებისა და მათი გაგარეულებული ფურმების ბოტანიკური შემაღებნლობა, ვინაიდან, როგორც ჩვენი ეკონომიკური ისტორიის სახელოვანი მკვლევარი ივ. ჯავახიშვილი [23] ამბობს, „ყოველს ცალკეულ, წვრილმან მცენარესაც მეურნეობისა და კულტურის ისტორიაში თავისი მნიშვნელობა აქვს და ყურადღების ღირსია“.

სამკურნალო მცენარეების საკითხისაღმი მიძღვნილ ლიტერატურაში გერაევითარ ცნობებს ვერ ვიპოვით საქართველოში არსებულ ამ დარგის კულ-



ტურქული მცენარეების შესახებ. მეცენარეობის ეს დარგი ჩეენში, შესტაციული მცენარეების შესახებ აგრეთვე თათქმის ხელუხლებელია და ცხადია არც წერილობითი წყაროები გვექნება, გარდა ველური სამკურნალო მცენარეების შესახები ცნობებისა, რომლებიც თავმოყრილია ა. გროს ჰერბის [30] კაცვასის მცენარეეული რესურსებისადმი მიძღვნილ კაპიტალურ ნაშრომში.

საქართველოს ველური სამკურნალო მცენარეების მცნიერული შესწავლა სულ ახალი საქმეა და „ჯერ კიდევ შორს არის ის დრო“ — ამბობს პროფ. ი. ქუთათელაძე — „როდესაც შეიძლება დამთავრმულად ჩაითვალოს ხალხურ მედიცინაში რაორებულ საშუალებათა მცნიერულად შემოწმება და მათი რაციონულობად გამოყენება“ [15]. სამკურნალო მცენარეების ორგვლივ საუკუნეების მანძილზე ხალხში დაგროვილი ცოდნის მარავის გამომელავნება დიდ დროს, მოთმინებისა და ენერგიის მოითხოვს მკვლევრისაგან. ამი თუ იმ მცენარის სამკურნალო თვისტების ცოდნა, ზოგჯერ უებარი საშუალებისა, ძალიან ხშარად ერთი საგვარეულოს, მეტწილად კი ერთი ოჯახის საიდუმლოების შეადგენს და მათი გამოვლინება მკვლევრის შეუპოვრობასა და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

ხალხში ჯერ კიდევ მრავალი საშუალებაა „დამალული“, ეს არც უნდა იყოს გასაკვირველი. ჩეენ ხალხს, რომელიც ერთი მხრით საუკუნეების მანძილზე იყო ჩამდებული და მეორე მხრით, მტრის შემოსვეასთან დაკავშირებით, ხშირად ტყეში იყო გახინული, არ შეიძლება არ ჰქონოდა სხვადასხვა დაავადებისა და ჭრილობების შესახორცებელი მრავალნაირი საშუალება, მაგრამ ამ საშუალებათა შესახებ ჩეენ ჯერ ძალიან ცოტა რამ ვიცით.

საინტერესო მასალაა შოსალოდნებული აგრეთვე ექლესიების ორგვლივ გავრცელებული მცენარეების სახით. ბოტანიკასმა ნ. ტროიცკიმ [54] რამდენიმე წლის წინათ გარეჯის მონასტრის მახლობლად ველურ პირობებში აღმოჩენია სალბის ერთი სახეობა, რომელიც მან აღწერა, როგორც მცნიერებისათვის ახალი. ამგამად ეს მცენარე ბოტანიკურ ლიტერატურაში ცნობილია გარეჯის სალბის (Salvia garedzhii N. Troitzkyi) სახელწოდებით და მხოლოდ გარეჯის მონასტრის მიდამოებიდანაა ცნობილი.

ამ სახეობის მეტად ვიწრო, ლოვალური ენდგმიზმი და მეორე მხრით ის გარემოება, რომ იგი გარევნობით, განსაკუთრებით კი მსხვილი ვარდასფერი ყვავილებით უფრო კულტურულ მცენარეს ჰგავს, ვიღრე ველურს, და აგრეთვე ისიც, რომ მას სპეციფიკური სასიამოვნო სუნი აქვს, გვაფიქრებინებს, რომ ეს მცენარე შეიძლება გარეჯის მონასტრის კულტის მსახურთა მიერ საიდან ლაც არის შემოტანილი, აქ გამრავლებული, ხოლო ესმთა განმავლობაში დაც არის შემუნებული. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში ეს სახეობა საღმეგაზე გაგრეულებული. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში ეს სახეობა საღმეგაზე გამოიყოფება.

ერთი აგვარი მცენარე, ყამბროს სახელწოდებით ძევლი ექლესიების ეზოებსა და საეკლესიო მიწებში, ჩეენც ვნახეთ თბილისის მიდამოებში. პირველად ეს მცენარე ცნობილია ბოტანიკასმა კ. კოხმა აღწერა არტანულურ და გარეჯი (დარწმუნებული ვართ არტანუჯში ოდესალაც არსებული სიონის მახჯიდან (დარწმუნებული ვართ არტანუჯში ოდესალაც არსებული სიონის მახჯიდან) და Crataegus pontica უწოდა. შემდეგმა მკვლევრებმა [54] ნათელობლივი

ჰყვეს მისი კეშმარიტი გეოგრაფიული გავრცელების არეალი და აღმოჩნდა რომ იგი ძირითადად შეა აზიასა და ირანის იმ მხარეშია გავრცელებული, რომელიც შეა აზიას ესახლვერება. სახელწოდება C. pontica-ც მისთვის სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა [54]. შესაძლებელია, რომ ზემოხსნენგადული გარეჯის სალბიც ჩვენი ფლორისათვის უცხოა და სხვა ქვეყნიდანაა ნასესხები.

ცხადია, საქართველო ვერ დაქმაყოფილდებოდა მარტოოდენ საკუთარი მცენარეული ოცურსებით და ძველადვე ადვილად ითვისებდა ყოველივე იმას, რაც მის მოთხოვნასა და მის ესოდენ ჭრელ ბუნებრივ პირობებს შეესაბამებოდა. თუ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მთაგორიანი ადგილები მდიდარია პურეულის ენდემური ფორმებით, დაბლობი სუბტროპიკული ტენიანი სარტყლის პურეულის უმეტესობა, როგორც ძველი ისე ახალი, უცხო ქვეყნებიდანაა ნასესხები.

წინამდებარე შრომაში მოგვყავს ჩვენ მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე შეგროვილი რამდენიმე კულტურული მცენარე, რომელთაგან ნაწილი ველური ბუნებიდანაა ჩვენი ხალხის მიერ კულტურაში შემოღებული, ენდემური კულტურებია და ამის შესახებ ლიტერატურაში არავითარი ცნობები არ მოიპოვება, მეორე ნაწილი, თუმც უცხო ქვეყნებიდან ნასესხებ, ძველ კულტურულ მცენარეებს წარმოადგენს, მაგრამ საქართველოსათვის ჯერ არავის მოუხსენებია. ეს მასალა კი ჩვენი ეკონომიკური და მატერიალური კულტურის ისტორიის მკვლევართათვის ინტერესს არაა მოკლებული.

ურიში

Echinochloa frumentacea (Roxb.) Link, Enum. Hort. Berul. 1 (1821) 294. — *Panicum frumentaceum* Roxb. Fl. Ind. I (1820) 307. — *Panicum crus-galli* L. var. *frumentaceum* Trin. Cat. Ceyl. Pl. (1885) 104.


როგორც ლათინური სახელწოდებიდანაც ჩანს, ეს სახეობა პურეულ მცენარეს წარმოადგენს, ხოლო ამ სახელწოდების ლათინურივე სინონიმი გვაუყიდებს, რომ იგი ფეტვისნაირ (*Paniceae*-ს) ჯგუფს ეკუთვნის.

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, *Echinochloa frumentacea* (Roxb.) Link ერთწლოვანი, მეტად ძველი, პრიმიტიული პურეულია, რომელიც უმთავრესად ჩინეთში, კორეაში, იაპონიასა და განსაკუთრებით მრავლად ინდოეთში მოჰყავთ, ხოლო საბჭოთა კავშირში იგი უსურიის ოლქში ითვესება. ყველგან აქ მის მარცვალს, დალერლილსა და ჩენებური ლომის მსგავსად მოხარულს, პურის ნაცვლად ხმარობენ. კორეელებისათვის, მაგალითად, იგი დღესაც ერთადერთ საკვებს წარმოადგენს (45, 60, 61). მაგრამ როგორც პურის შემნაცვლელი, იგი მეტად დაბალი ლირსებისა ყოფილა, ხოლო ფეტვისნაირ მცენარეთა შორის ყველაზე უხვმოსავლიანი [45].

Echinochloa frumentacea (Roxb.) Link ჩვენში ფართოდ გავრცელებული სარეველა მცენარის E. crus galli (L.) P. B.-ს მონათესავე მცენარეა და გარეგნული შეხედულებით ძალიან ჰგავს მას.



E. frumentacea-ს (იხ. ფოტოსურათი № 1) ახასიათებს ძალის მქონე განვითარებული ფესვის სისტემა, სქელი, 2—3 სმ სისქის ღერო და ფართო, 5—7 სმ-დე სიგანის კიდეზაობიანი ფოთლები. საგველა 10—25 სმ სიგრძისაა, მეტად მრავალთავოვნიანი. მისი თავთუნები ერთყვავილიანია,



№ 1. ურიში—*Echinochloa frumentacea* (Roxb.) Link

შუღამ უფხო, ყვავილედის ტოტების ცალ მხარეზე ჭიგუფ-ჯგუფად განლაგ ბული, ზურგამოზნექილი. ხოლო მუცლის მხრიდაა ბოტყელი. თავთუნის კიდ სამი აქვს, სრულიად შიშველი; ყვავილის კილები პრიალა, ხრტილოვანი.

მოთვეთრო, მარცვალზე მჭიდროდ გადაკრული. მარცვალი მოყვარული ფართო-ქვერცხსისებრია, 2,7—3,2 მმ სიგრძისა. აბსოლუტური წონა 2—3,5 გრამის ფარგლებში მცრავდება.

ეს სახეობა პირველად ინდოეთიდანაა აღწერილი და ამ უკანასკნელის გარდა ველურად გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიასა და, როგორც საჩე-ველა მცენარე, ძველი ქვეყნის ტრაპიკულ მხარეებში, სადაც ალბათ მისა კულტურაა ან ოდესაც მისდევდნენ მის თესვა-მოყვანას. საბჭოთა რესპუბ-ლიკების ტრაიტორიაზე იგი უსურიის მხარისათვის არის აღნიშნული (როგორც ქვემოთ იქნება კვლავ მოხსენებული), ეს სახეობა ჩვენშიც ყოფილა სარეველა მცენარის სახით სიმინდის ნათესებში გავრცელებული, მაგრამ აქამდე არ ყო-ფილ არსად მოხსენებული).

კულტურული მცენარის სახით, როგორც ზემოთაც იყო მოხსენებული, იგი ამ დასახელებულ მხარეებშია გავრცელებული, ხოლო უკანასკნელ ხანებში იგი ინგლისა და ამერიკაშიც გავრცელებულა, მაგრამ არა როგორც პურე-ული, არამედ ცხოველების საკვები თივისა, სილოსისა და კონკრეტრატის სახით [72, 73, 74].

ამ მცენარის გამოცდა, როგორც ცხოველების საკვებისა, უკანასკნელ წლებში აგრეთვე ბელორუსის, უკრაინისა, ჩრდ. კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებმაც დაიწყეს. უნდა ვიგულისებმოთ, რომ ამავე მხარეებში *Echino-chloa frumentacea* სარეველა მცენარის სახითაც იქნება უკვე გავრცელებული, თუმც ეს ლიტერატურულ წყაროებში არ ჩანს.

ვ. კომაროვის [45] ცნობებით, რაც მაურიციოს მონაცემებშეა დაყიარებული, ამ პურეული მცენარის კულტურა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4.000 წლის წინათ ეგვიპტეში ყოფილა ცნობილი, მაგრამ შემდეგ აქ გამქ-ალა და სარეველა მცენარის სახით-ლა შერჩენილა. ამავე აკტორის მონაცე-მებით ეს მცენარე ევროპასა და დას. აზიაში არ გვხვდება.

ბ. სკვორცოვის მონაცემების მიხედვით [60, 61] შორეული აღმოსავ-ლეთის ფეტვებისაირ მცენარეთა შორის *Echinochloa frumentacea* მოსახლეო-ბისათვის შორეულ წარსულიდანაა ცნობილი. ჩინელები მას მეტწილად „პაიცა“-ს უწოდებენ, ხოლო კორელები „ხიე“-ს. შორეული აღმოსავლეთის რესი მოსახლეობა მას ჩინური სახელწოდებით „პაიცა“-თი იცნობს, მაგრამ ხშირად მას „იაპონურ ფეტვს“-ა და „ჩინურ ფეტვსაც“ ეძახიან [61, 72].

როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, „პაიცა“ მეტად პრიმიტიულ პურეულებს ეკუთვნის, მისი მარცვალი ძალიან ძნელად თავისუფლდება თავთუნის კილები-დან და, მით უმეტეს, ყვავილის კილებიდან. ცენტრისათვის ჩინელები მძიმე ხელსაფეხვავს ხმარობენ.

კილგაცლილი მარცვალი მომზადება მეტად მარცვალი ყვითელი ფერისა, საკ-მარისად მაგარი. მას ჩინელები და აგრეთვე კორელები უშუალოდ ხარშვენ, ზოგჯერ ლერღვენ ან ფქვავენ და მოხარშულს პურის ნაცვლად ხმარობენ. კორელების ყოველდღიურ საკვებში ეს პურეული მეტად დიდ როლს ასრუ-ლებს [45, 60, 61].

ეს მცუნარე ურიშის სახელშოდებით ჩვენშიც აღმოჩნდა კულტურული მუზეუმი, სახელშოდება ურიში, როგორც ერთი პურეულობაგანის აღმნიშვნელი, რამდენიმეჯერ გვქონდა გაგონიო სამეგრელოში, მაგრამ რომელ მცენარეს ეყუთვნოდა იგი, დიდხანს უცნობი რჩებოდა.

წერილობითი ცნობა, როგორც პურეულზე, ჩვენ მხოლოდ პ. უ მ ი კ ა-შვილის „ქართულ ანდაზებში“ შეგვხვდა [14]. ასო სანზე მოხსენებულია: „სოფლის ქვრივგმა იჩივლა, ურიშას მჭადმა შვილები ლამის დამიხოცოს. მეზობელმა ჰქითხა: კიდევ გაქვს მჭადიო? არ გებრალები, ბეჩავს, ისიც გამომელია. მაშ ამას იქით ნახე გაშუვერაო“. ამ პურეულთან დაკავშირებით სამეგრელოში დღესაც რამდენიმე სრულიად ამგვარი მაგრამ ზეპირ-სიტყვიერი გადმოცემა არსებობს, იქაც კი, სადაც ამ მცენარეზე უკვე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ყველა ეს გადმოცემა აქაც ურიშის მეტად ღაბალ ლირსებას მოწმობს. ცუდად გამომცხვარ მჭადზე ან ცუდად გაკეთებულ ღომზე მეგრელი იტევს, „ეს საჭმელი კი არა, ნამდვილი ურიშია“-ო (ს. ნოსირი), მაგრამ რომელი პურეულია კონკრეტულად ურიში, უმრავლესობამ ალარ იცის. როგორც შემდგომ გამოირკვა, კარგად ჰქონია მეხსიერებაში შენარჩუნებული გეგმების რაიონის მოსახლეობას, სადაც ურიში სარეველა მცენარის სახით დღესაც გვხვდება სიმინდის ნათესებში (ს. ბანძა, ს. თამაკონი, ს. დიდი ჭყონი).

მრავალი წლის ძიების შემდეგ, როგორც იქნა, ოვით მცენარე ურიშიც მოიძებნა.

1948 წლის შემოდგომას სოფ. კიშიის (გეგმების რ.) მცხოვრებმა ვასილ გადილიამ, ჩვენი მხტვანი მწერლისა და საზოგადო მოღაწის თელო სახოკიას თხოვნით, გამომიგზავნა თვით მცენარე ურიში. ამ მცენარის კულტურის ირგვლივ დაწვრილებითი ცნობების მისაღებად ამ სოფელში გავემგზავრეთ, სადაც მართლაც მისი კულტურის მოწმე გავხდით.

მართალია, მისი თესვა-მოყვანა მეტად მცირე მასშტაბისა აღმოჩნდა, მაგრამ კულტურაში ამ ძველი პურეულის არსებობა მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

როგორც მოხუცებულებთან საუბარში გამოირკვა, ურიში სამეგრელოში ძველთაგანვე მოჰყავთ. მისი მარცვალი, სრულიად ისევე, როგორც იქ, სადაც კულტურაშია დღეს შერჩენილი, ღომის მსგავსად იხმარებოდა დაცეხვილი, ან დალერლილი, ან პურის გამოსაცხობად იფევებოდა. პური, თუ მას სვინის გამოყენებით აცხომდნენ, რაც გაფუტბოს უწყობდა ხელს, დასაწუნი არ ყოფილა, მაგრამ ხორბლის პურს მაინც ბევრად ჩამოუვარდებოდა. გარდა ამისა, მარცვალი იგრეთვე შინაური ცხოველებისა და ფრინველების გამოსაკვებად იხმარებოდა. დღეს მას სამკურნალო მნიშვნელობაც იქვს და ზოგიერთი ოჯახი მხოლოდ ამ მიზნით-და სთესავს.

სამკურნალო მიზნებით დათესილი ურიში, ამავე სახელშოდებით, ქ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ლიასა და მოიდანახეშიც აღმოჩნდა. ამ მცენარის მარცვლიდან განსაკუთრებული ხერხით მზადდება მეგრულად ე. წ. „ტიბუ“, რომელიც გრიპის სამკურნალო იხმარება. მაგრამ ზოგან, როგორც მაგალ-

ს. კიშია განაგრძობენ მის მოყვანას, როგორც პურეულ მუსტარდული და კოკოლია, დ. გადილია, ე. გადილია), აგრეთვე ზუგდიდის რაიონის ჭერის ხენებულ სოფლებში ც. ფიფია და ს. ცირამუა.

ს. კიშია მოხუცებულების სიტყვით, ურიში წარსული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ ფართოდ ითესებოდა, მისთვის ნიადაგს უფრო ტენიანს არჩევულნენ და იმგვარად ამზადებდნენ, როგორც ბრინჯისათვისაა მიღებული. მათი გაღმოუმით ურთის დიდი მოსახლის მომცემია, იგი ბარტყობს, ხშირად ათამდე ღეროს იქეთებს და ყველა ღერო საგველას ივითარებს. ნიადაგში ჩაცვენილი მარცვალი კარგად იქანს ზამთარს და გაზაფხულზე დაუბრკოლებული ამოდის. იგი, როგორც სარეველა მცენარე, სიმინდის ნათესებში არ ყოფილა იშვიათი.

რა ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის ეს მცენარე?

უშინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახეობა, როგორც კულტურული, საქართველოში არ ყოფილი აღნიშნული, მით უმეტეს არ ყოფილი იგი მოხსენებული, . როგორც სეგეტალური მცენარე. არ გვქონია აღნიშნული ჩვენ „საქართველოს სარეველა მცენარეებში“, არც ა. გროს ჰერბეტის [32] აქვს „ეავესის ფლორაში“ მოხსენებული და არც ა. როუენის [58] აქვს საპოთა რესპუბლიკების ფლორაში კავკასიის ფლორისათვის მოყვანილი.

ამნაირად, მაშასადამე, *Echinochloa frumentacea* (Roxb.) Link ახალია საქართველოს როგორც კულტურის, ისე სეგეტალური ფლორისათვის.

როგორც მოხუცებულების გაღმოცემებიდან ჩანს, ურიში ძველად საქართველოში ფართოდ ყოვილა გავრცელებული, მაგრამ სიტყვიერი გაღმოცემა კულტურის სიძეველის შესახებ, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ეს საკითხი კი ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. როდის იწყება ამ მცენარის კულტურა საქართველოში, როდის იღწევს თავის ზენიტს და როდის იწყებს იგი უკან დახვევას?

ამ საკითხების გადაწყვეტა ერთგვარ შუქს მოპფენდა დასავლეთ საქართველოს დაბლობი სარტყლის წარსულის პურეულების. შემადვენლობის საკითხს.

დასმულ საკითხებზე ცოტად თუ ბევრად ამომწერავი პასუხის გაცემა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ ზოგიერთი მოსახრება და საბუთი ამ საკითხებს ნაწილობრივ მაიც გვიშუქებს.

რას გვეუბნება, უშინარეს ყოვლისა, თვით სახელწოდება „ურიში“?

სომხური სიტყვა „ურიშ“, რაც „უცხოს“ და „სხვისას“ ნიშნავს, უბრალო დაპირევებას წარმოადგენს და ჩვენი ურიშის რაობისა და საღაურობის საკითხის გამორკვევაში არაფრის მთემელი არ არის და მას თავი უნდა დავანებოთ.

სიტყვა ურიში ჩვენ ლექსიკოგრაფებს არ მოეპოვებათ. არც ივ. ჯავახი - შვილს აქვს საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში მოყვანილი, არც ეკონომისტებს, ევროპელ მოგზაურებსა, თუ მწერლებს აქვთ იგი საღმე მოხსენებული. მაგრამ სიტყვა ურიშა („ა-ზე დაბოლოებული“) გვხვდება, როგორც სულხან-საბა თანამდებობის, ისე რაფიელ ერისთავისა და

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში და აგრეთვე ჩვენ მიერაა ცოტადა მეტყველებაში, ზემო იმერეთში დადასტურებული (19, 5).

საბა ორბელიანს [10] ეს სახელწოდება მცენარის პირობითი ნიშნით აქვს, ყოველივე განმარტების გარეშე, მოყვანილი ისე, რომ რას გულისხმობდა ლექსიკონის ავტორი ამ სახელწოდებით — გაუგებარი რჩება.

რაფიელ ერისთავს [1] სახელწოდება „ურიშა“ (აგრეთვე ასო „ა“-ზე დაბოლოებული), როგორც ირკვევა, უმართებულოდ აქვს ახსნილი.

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში [19] სიტყვა ურიშა (იმავე ასო „ა“-ზე დაბოლოებული), როგორც სხვა მრავალ ანალოგიურ შემთხვევაში, რამდენიმე ქართული და რუსული სახელწოდებით არის ახსნილი, რომელთაგან ერთი რუსული სახელწოდება აეტორს პატრი ფილი-პეს ლექსიკონიდან აქვს ნასესხები და სრულიად უმართებულოდ მოყვანილი. სახელწოდება „ურიშა“-ს და ჩუბინაშვილი მარტავს, როგორც „სულუფს“. ეს უკანასკნელი სახელწოდება აზერბაიჯანულია, აგრეთვე ინგილონებისა [3] და ქიზიყელების მიერ შეთვისებული და გულისხმობს „ბურჩხას“, ე. ი. ჩვენში ფართოდ გავრცელებულ სარეველა მცენარეს მარცვლოვანთა ოჯახიდან. *Echinochloa crus galli* (L.) P. B.-ს, ჩვენი ურიშის — *E. frumentacea* (Roxb.) Link-ის ახლო მონათესავე სახეობას. როგორც ახლავე დავინახვთ, და ჩუბინაშვილის ეს განმარტება უსაბოროდ მართებულია.

ცოცხალ შეტყველებაში, ზემო იმერეთის დიალექტზე სახელწოდება „ურიშა“ და აგრეთვე „ურიშა ბალახი“ სწორედ ბურჩხას გულისხმობს. ეს სახელწოდება ჩვენ მიერ [5] ჯერ კიდევ 1937 წელს იყო მემცენარეობის ტერმინოლოგიის დამატებაში ბურჩხას სინონიმად მოყვანილი, ხოლო „ურიშა ბალახი“ 1949 წელს „ბოტანიკურ ლექსიკონში“ გვაქვს იმავე ბურჩხას სინონიმად მოხსენებული [3].

ამგვარად, სავსებით დამარტმუნებლად, სახელწოდება „ურიშა“ და „ურიშა ბალახი“ *Echinochloa crus galli*-ს გულისხმობს.

ასო „ა“-თი დაბოლოებული მცენარის ზოგიერთი სახელწოდება როგორცა მაგალ., კიტრა, კანაფა, კინჭარა და სხვა მრავალი, მეორე მცენარის სგავსებაზეა აგებული. აშეარა სახელწოდება კიტრა — კიტრის მსგავს მცენარეს გულისხმობს, კანაფა — კანაფის მსგავსსა და კინჭარა — კინჭრის მსგავსს. ასეთი სახელწოდება ჩვენში ძალიან ბევრია: ნიორა, ლომა, წიწმატა, ლერწამია და სხვა. ეს მოსაზრება უფრო ძლიერდება თუ ასეთ სახელწოდების დამატებული აქვს სიტყვა „ბალახი“, როგორც მაგალ., კიტრა-ბალახი, კანაფა-ბალახი და სხვა.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მცენარე, რომლის მსგავსებაზედაცაა აგებული მეორე მცენარის სახელი, რაც მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, ფართოდ ცნობილია და გავრცელებული, როგორც კანაფი, კიტრი, კინჭარი, ნიორი და სხვა მრავალი.

ჩვენი ლრმა რწმენით, სახელწოდება „ურიშა“ და „ურიშა-ბალახი“, რაც დღეს ცოცხლადა შერჩენილი ზემო იმერეთში, ამ პურეული მცენარის ე. ი. „ურიშის“ მსგავსებაზეა აგებული.

სახელწოდებანი „ურიში“, განსაკუთრებით კი „ურიში-ბალანტიკურისტური“ მიგვითოთებს იმაზე, რომ სახელწოდება „ურიში“ და თვით „შეცენტრიზმი“ უნდა ყოფილიყო ძველად საქართველოში. ასეთი დასკნა უნდა გამოეტანა მკვლევარს, თვით მცენარეც რომ ამ აღმოჩნდილიყო.

ახლა კი, როდესაც ცოცხალ მეტკველებაში აღმოჩნდა აგრეთვე სახელწოდება „ურიში“ და თვით ეს პურეულიც ვიპოვეთ, ეს გვაძლევს უფლებას გამოვთქვათ ის მოსაზრება, რომ ეს პურეული ოდესლაც გავრცელებული და ცნობილი მცენარე უნდა ყოფილიყო. მაგრამ როდის? რომელ საუკუნეში?

რაკი სახელწოდება „ურიში“ საპა ორბელიანის ლექსიკონშია აღნიშნული, მაშისადამე, უნდა ვივარიულოთ, რომ ეს პურეული საბაზე, ე. ი. XVII საუკუნეზე უფრო ადრე ყოფილა გავრცელებული, მის ღრმას უკვე მიმიშვნელობა ჰქონია დაქარგული და სახელწოდება ურიშიც იმდენად იშვიათი გამხდარი, რომ ლექსიკონშიც ვერ შესულა.

მაშ რომელ საუკუნეში უნდა ყოფილიყო ეს პურეული? რას გვეუბნება ისტორიული საბუთები?

საქართველოს ეკონომიური ისტორიის მხცოვან ავტორს — ივ. ჯავახიშვილს, როგორც აღვნიშნეთ, თუმცა არა იქვს ამ პურეულის არც ქართული და არც ლათინური სახელწოდება მოხსენებული, მაგრამ ეს მცენარე მაინც არ გამომიპარება მის ყურადღებას. ივ. ჯავახიშვილის [33] გამოკვლევით, რაც ბერძნულ წყაროებზეა დამყარებული, VI საუკუნეში სკანდასა და შორაპნის სანახებში ადგილობრივ მოსახლეობას საკეთებად რაღაც მარცვლოვანი ჰქონია, რომელსაც VI საუკუნის ბიზანტიური ისტორიკოსი პროკოპი კესარი იყრიც ეს „ელვარის“ — ს უწოდებს. ამ ისტორიკოსის გადმოცემით ლაზები, ისევე, როგორც უძველესი დროიდანეთ კოლხებიც, ამ „ელვარისით“ იკვებებოდნენ. მაგრამ ეს „ელვარის“ იმდენად დაბალი ლიტერატურის საკვები ყოფილია, რომ ბერძნება მეციხოვნე ჯარმა, რომელიც ჩაყენებული ყოფილა სკანდასა და შორაპნის ციხეებში მათ დასაცავად, ვერ აიტანა მით კვება, ციხეები მიატოვა და წავიდა. „რა მარცვლეულს ჰგულის ხმობდნენ ბერძნები ამ სახელით“ — ამბობს ივ. ჯავახიშვილი — ჯერ გამორკვეული არ არის“ [23].

წარსული საუკუნის ქართულ საისტორიო შრომებში, დ. ბაქრაძეს („ისტორია საქართველოსი“, თბილისი, 1889) და ალ. ჭყანაიას („ისტორიული ნარკვევი“. თბილისი, 1890) ზემოხსენებული „რაღაც მარცვლოვანი“, რომელიც სკანდასა და შორაპნის სანახებში ადგილობრივ მოსახლეობის საკვებად ჰქონია მომარიგებული, ღომად აქვთ თარგმნილი.

ასე მაგილითად, დ. ბაქრაძეს „ბიზანტიურების ლაზიების“ აღწერისას (VI საუკუნე) მოხსენებული იქვს შემდევი: „... ლაზიების მცხოვრები ლარიბნი იყვნენ პურით და თვით იკვებებოდნენ ღომით“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. მ.). ალ. ჭყანაიას „ისტორიული ნარკვევებში“ ეს ადგილი შემდევნაირად იქვს მოყვანილი, „ლაზებს, როგორც შემდევ იბერლებს, ღომის მეტი არაფერი არ მოჰყვადათ, პურს თითქმის სულ არ სთესავდნენ“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. მ.).

ორივე აგტორი ზემოხსენებულ ბერძნულ წყაროს ეტყარება, შეტანილ უადაც უშუალოდ, არამედ Dubois-ს თხზულებიდან აქვთ თარგმნილი [70].

ბერძნული „ელპმოსის“ ღომად მიღება და ასეთი გაგების დამკვიდრება ქართულ საისტორიო წყაროებში Dubois-დან იწყება.

Dubois-ს თხზულების ის თავი, რომელიც ლაზების ქვეყანას ეხება, როგორც გაჭვრით ზემოთ აღვნიშნეთ, იმავ პროკოპი კესარიელის ცნობებზეა აგტული და სახელწოდება „ელპმოსი“ ურანგული ტრანსკრიპციით ქართული სახელწოდებით (gōmi) აქვს მოხსენებული: „ces peuples“, ლაბარაკია ლაზებზე, „qui ne cultivaient, comme aujourd’hui, que du millet ou gōmi (ხაზასმა ჩვენია — ა. მ.) et presque pas de froment, n’avaient que cela à leur donner“.

Dubois-ს, როგორც ვხედავთ, ძალიან იღვილად გადაუშესვეტია სიტყვა „ელპმოსის“ მნიშვნელობის საკითხი.

სიტყვა „ელპმოსი“ ბერძნულში იშვიათად იხმარება [16]. თანამედროვე ბერძნული ენის ლექსიკონებში იგი არ მოიპოვება, მაგრამ Dubois-ს „ელპმოსის“ თარგმნა ფრანგულად ეტყობა არ გასჭირვებია, ლომის ფრანგული შესატყვის, ტრულიად გასაგები მიხეხის გამო, ვერ მოუნახავს და ტექსტში ქართული სახელწოდება შეეტანია.

Dubois წარსული საუკუნის ოციან წლებში საქართველოში მოგზაურობდა, ცხადია დასავლეთ საქართველოში ლომის მასობრივ კულტურისაც ნახევდა და ამიტომ თავის მოგზაურობის იმ ნაწილში, რომელიც ლაზიების ისტორიას ეხება, ბერძნულ წყაროებზე დამკარებული აგტორი „ელპმოსის“, ცხადია, ლომად ჩათვლიდა. Dubois-ს შემდეგ, ქართულ საისტორიო წყაროებში „ელპმოსის“ ასეთი გაგება შერჩია.

შესაძლებელია თუ არა, რომ ლომი VI საუკუნეში გავრცელებული ყოფილიყო საქართველოში?

საქართველუში გავრცელებული ლომის შემსწავლელ მკვლევრებს ლ. დეკა-პრელევიჩსა და ა. კასპარიანს [39] ლომი საქართველოს უძველეს კულტურად მიაჩნიათ, მაგრამ ავტორებს არავითარი დასაბუთება არ მოჰყავთ, გარდა იმავ პროკოპი კესარიელის ცნობისა, რომელშიც, როგორც ვნახეთ, „ელპმოსი“ მოიხსენება და არა ლომი.

ლ. დეკაპრელევიჩი თავის ცალკე შრომაში [36] კვლავ ეხება ლომის წარმოშობის საკითხს და მისი კულტურის სიძველის დასადასტურებლად მოჰყავს საქართველოში გავრცელებული ლომის მორფოლოგიურ-ბიოლოგიური თავისებურებანი, რომლებითაც ჩვენი ლომი მკვეთრად განსხვავდება სხვამთარების ლომისაგან.

ავტორის აზრით საქართველოს ლომის მორფოლოგიურ-ბიოლოგიური განკურძოებულება სხვა ქვეყნის ფორმებისაგან შესაძლებელი იყო ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ მეტად ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში. როგორც ჩანს, ავტორს 700 წლის მინილი საკმარისად არ მიაჩნია, რომ ახალ საარსებო პირობებში ჩავარდნილმა კულტურულმა მცენარემ ახალი მორფოლოგიურ-ბიოლოგიური ნიშანთვისებანი შეიძინოს. ამ მოსაზრების გარდა, ლ. დეკა-

პრელევიჩს მოჰყავს უკანასკნელი განათხრების დროს ნაპოვნი მასალაზე მოწყველი შიც თითქოს ღომიც ყოფილიყო ნაპოვნი.

ძველი კოლხეთის ახალმა არქეოლოგიურმა მასალამ, პირიქით, სრულიად უარჲო ღომის არსებობა დაწყებული ენეოლითიდან — საბერძნების კოლონიათა კულტურის ჩათვლით მაშინ, როდესაც იმ განათხრებში ფეტენაირ მცენარეებიდან აღმოჩენილი იყო ფეტვი (Panicum miliaceum L.) და ჭვრიბა (Setaria italica (L.) P. B. ssp. moharium Alef.).

ვ. მენაბდესა და ა. ერიციანს [9] 1948 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს ღომის ბოტანიკურ-სისტემატიკურ ნარკვევში, საქართველოში ღომის კულტურის ხანდაზმულობის შესახებ, არაფერი იხალი არ შეაქვთ, მაგრამ უარყოფენ ღომის საქართველოს პირველად კულტურათა შორის.

ამნაირად, ღომის კულტურის არსებობა საქართველოში XIII საუკუნეზე აღრე რაიმე ობიექტური საბუთით ვერ დასტურდება.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ავტორის, მეტად ფრთხილი მკვლევრისა და წყაროების შესანიშნავი მცოდნის, ივ. ჯავახიშვილის [23] სიტყვით „ღომი არც დაბალების ქართულ თარგმანში, არც ერთ ორიგინალურ ძეგლში და საბუთში XIII საუკუნემდე არ ჩანს“, იმ დროს, როდესაც XV—XVIII საუკუნეების მანძილზე ღომი საკმარისად ფართოდ ყოფილი გავრცელებული და მოსახლეობის ერთ მთავარ საკეთო განვითარების შეადგენდა. XIII საუკუნის შემდეგ ღომის სახელწოდება დასავლეთ საქართველოს საბუთებში უკვე არ ირის იშვიათი.

პროკოპი კესარიელის ზემოხსენებულ ტექსტში, როგორც აღვნიშნეთ, ნათქვამია, რომ ბერძნთა მეციხოვნე ჯარმა ვერ აიტანა ეს დაბალხარისხოვანი საკვები, მიატოვა ციხეები და უქან დაიხია. ეს მარცვლეული, როგორც ჩანს, მეტად მდარე ხარისხის ყოფილია, იგი ფეტვიც კი არ შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ფეტვისაგან გამომცხვარი პური კოლუმელას ცნობებით სავსებით მისაღები ყოფილია [23]. გარდა ამისა, „ელვმოს“ რომ ფეტვი ყოფილიყო, ბიზანტიილი მწერალი იმ დროისათვის კარგად ცნობილ ფეტვს ბერძნული სახელით „კენტროს“-ით მოიხსენებდა.

ვ. ჯავახიშვილის მოსაზრებით „ელვმოს“ — ქვრიმას უნდა გულისხმობდეს. ამავე აზრს დაადგა ჩვენი ცნობილი ბიზანტიინოლოგი პროფ. ს. ყაუხებიშვილი [16] ლაზების ყოფა-ცნოვრების შესახები ბერძნული ტექსტის თარგმანში.

ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში Etymologicum magnum (7), რომლის ერთადერთი ეგზემპლარი თბილისში პროფ. ს. ყაუხებიშვილის¹ პირად ბიბლიოთეკაშია დაცული, სიტყვა „ელვმოს“-ს ასეთი განმარტება აქვს მიწერილი: „ელვმოს ერთნაირი მარცვლეულია, რომელსაც ლაკონელები ხარშავენ და სჭამენ. ის ხომ სისველის შემცველ ადგილებსა და ჭაბებში ხარობს“ (ხაზგასხა ჩვენია—ა. მ.).

¹ ვსარგებლობ შემთხვევით პროფ. ს. ყაუხებიშვილს კონსულტაციებისათვის ულრმესი მადლობა გუძლევა.

ამ განმარტების უკანასკნელი წინადადება საკმარისია იმისაფრთხოების გრძელების უარყოფით „ელგმოსის“ გაგება, როგორც ლომისა, რასაც ივ. ჯაჭვაშვილის ლიც [23] უარყოფს იმ საცხებით მართებული საბუთით, რომ ლომის მოსაყვანად სწორედ ნესტიან-ჭაობიანი ადგილებია უვარგისი. მაგრამ თუ ამ მოსაზრებით არ შეიძლება „ელგმოსი“ ლომად მივიჩნიოთ, ჩვენი აზრით, მით უმეტეს შეუძლებელია იგი ქვრიმად ჩავთვალოთ, ვინაიდან ქვრიმა უფრო მშრალი ადგილების მცენარეა, თავისი გვალვა-გამძლეობითაა ცნობილი და ტენიან, მით უმეტეს ჭაობიან ადგილებს სრულიად ვერ ეგუება.

მაშ რომელი მცენარე უნდა ყოფილიყო ეს „ელგმოსი“, რომელიც ძალიან დაბალი ღირსების საჭმელი ყოფილა, ამასთანავე ტენიანსა და ჭაობიან ადგილებში მოღიოდა?

რატომ არ შეიძლება დაეცუშვათ, რომ ეს მარცვლოვანი სწორედ „ურიში“ იყო და არა სხვა?

პურეულ მარცვლოვანებში ასეთი დაბალი ღირსების საკვების მომცემი არც ერთი არაა და თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში [72, 73] იგი პურეულებშიც იღარაა მოხსენებული, არამედ ცხოველების საკვებ მცენარეებშია გადატანილი. მეორე მხრით, პურეულ მცენარეთა შორის იშვიათია ისეთი, როგორც, მაგალი, ბრინჯი, რომელიც ტენიან ადგილებში კარგად ხარობს. ბრინჯი კი ბერძნებისათვის VI საუკუნეზე ბევრად ადრე იყო ცნობილი და პროკოპი კესარი ელი მართებული სახელით „ორიშა“-თი მოიხსენებდა მას და არა „ელგმოსით“.

როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ურიში ჩვენში ტენიან ადგილებში ითესებოდა და ახლაც, სადაც კი შეჩრენილია კულტურაში და, აგრეთვე, სადაც სარეველა მცენარის სახით გვხვდება — ყველგან ტენიან ადგილებშია გავრცელებული.

ამნაირად, ამ წმინდა ეკოლოგიური მოსაზრებითაც; ეს „ელგმოსი“, რომელიც ბერძნული წყაროების მიხედვით VI საუკუნეში პურეულის სახით არსებობდა ჩვენში, შესაძლებელია „ურიში“ ყოფილიყო და არა ღომი და მით უმეტეს ქვრიმა, როგორც იმას აქამდე ფიქრობდნენ.

რა თქმა უნდა, „ელგმოსის“ საკითხი ჩვენ საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიგვაჩნია, მაგრამ საქართველოს ეკიონომიური ისტორიისა და პურეულების ისტორიის საკითხით დანტერესებულმა შევლევრებმა ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქმნიონ.

შემდეგი საკითხი, რომელიც წამოიჭრა ჩვენ წინაშე, ეს ურიშის სადაურობის საკითხია.

ურიში, როგორც ზემოხსენებული მასალიდან ჩანს, აღმოსავლეთი აზიის მცენარეა, რომელიც ეგვიპტეშიც მოჰყავდათ და საბერძნეთშიც ცნობილი იყო.

საიდან უნდა ყოფილიყო საქართველოში შემოტანილი?

ამგვარი საკითხების გადაწყვეტა საერთოდ დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ ამ საკითხის გამოსარკვევად ერთი მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას „ბედნიერი“, შემთხვევა მოგვეცა.

ჩვენ მიერ შეგროვილ საპერბარიო მასალაში ურიშის ერთი ეგზემპლარი გუდაფუტით აღმოჩნდა დაავადებული. ამ სოკოს სახეობის დადგენური სპოლი სპორების მეშვეობით არც ისე ადვილი საქმეა. გუდაფუტის სახეობის განსაზღვრისათვის საჭიროა სპორების გაღივება და ღივების მიღება, ვინაიდან სახეობათა სარკვევი ტაბულები ღივების თავისებურებაზეა აგებული. გუდაფუტის სახეობის განსაზღვრას კი ურიშის სადაურობის საკითხის გამოსარჩევად რისამე თქმა შეეძლო.

ამ იმედით გუდაფუტით დაავადებული მარცვლები საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს გადავუგზავნეთ სახეობისა და მისი გეოგრაფიული არეალის გამოსარკვევად. ვინაიდან სოკოების სახეობათა განსაზღვრა ჩვენ კომპეტუნციას სცილდებოდა, ამ საკითხის გამორჩევა სათანადო სცეციალისტს მივანდეთ.

სხენებული ინსტიტუტის სპეციალისტმა უფრ. შეც. თანამშრომელმაგ ს. გვრიტიშვილმა, ყველა არსებული წესის დაცვით, გამოარტვია, როგოდაფუტის ეს სახეობა წარმოადგენს *Ustilago paradoxa* Syd. et Butl.-ს, ჩვენი მიკოლორისათვის სრულიად ახალ სახეობას. როგორც შეგვატყობინა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ფიზოპათოლოგიის განყოფილების გამვებული ერისთავმა (Eristhavi in litt.) სპორების ღივები იმდენად დამახასიათებელი ყოფილა, რომ არავთარი ეჭვის შეტანა, რომ ეს სოკო ნაძლვილად *Ustilago paradoxa*-ა — არ შეიძლება. ეს სოკო თურმე მკვეთრად განსხვავდება გუდაფუტის სხვა სახეობებისაგან, რომლებიც ამავე *Echinochloa frumentacea*-ზე პარაზიტობენ.

ყველაზე სიინტერესო ჩვენთვის ამ სოკოს (*Ustilago paradoxa*) გავრცელების გეოგრაფიული არეალი გამოლგა.

გუდაფუტის საკითხისადმი მიძღვნილ ლ. გუტნერის [33] მონოგრაფიული შრომის მიხედვით, ეს სოკო თურმე მხოლოდ ინდოეთში ყოფილა გავრცელებული და მხოლოდ ურიშება აღნიშნული.

სახეობის გავრცელების გეოგრაფიული არეალი საერთოდ და, მით უმეტეს, სოკოს არეალი არ არის მყარი და მტკიცე. იგი მრავალ შემთხვევაში უფრო დიდია, ვიდრე ლიტერატურაშია მითითებული. ამა თუ იმ სახეობის გავრცელების არეალის ქვემარიტი ფართობი შესწავლის სიზუსტეზეა დამოკიდებული და პარაზიტ სოკოების გავრცელების არეალი მკვებავი მცენარის გავრცელების არეალითაა განსაზღვრული. სავსებით შესაძლებელია, რომ *Ustilago paradoxa*-ს არეალი უფრო ფართოა, ვიდრე ეს გუტნერს აქვთ თავის მონოგრაფიაში მოხსენებული, მაგრამ სადლეისოდ ამ წყაროზე ახალი არაფერი მოგვეპოვება და, მაშასადამე, უნდა ავტორს ვენდოთ, რომ *Ustilago paradoxa* მხოლოდ ინდოეთშია გავრცელებული.

თუ მივიღებთ მხედველობაში *Echinochloa frumentacea*-ს კულტურის გავრცელების გეოგრაფიულ არეალს და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ დასაცავეთი საქართველო ამ არეალიდან განკერძოებულსა და მეტ „კუნძულს“ წარმოადგენს, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ურიში საქართველოში ინდოეთიდანაა შემოტანილი. ჩვენი ინტერესი ამ ძელი პურეულისადმი მხოლოდ

ისტორიული ცნობებისმოყვარეობით როდი განისაზღვრება და არყოფნილი იმით, რომ იგი კავკასიის ველური და კულტურული ფლორისათვეს ახალ სახეობას წარმოადგენს.

ამ მცენარის შენიშვნელობა, ერთი მხრით, როგორც საქონლის საკვებისა (თივისა და კონცენტრატის სახით), მეორე მხრით, მისი უხვი მოსავლიანობა, ხოლო, მესამე, ტენიანი აღგილების არანა — ინტერესს იწვევს მისი კულტურის აღდგენის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ რაიონებში [59, 67].

3. მეღვეღვევის [50] ცნობებით *Echinochloa frumentacea* ტენიანი აღვილების მცენარეა. ამიტომ მისი მძლავრი განვითარება და მწვანე მასის მაღალი მოსავალი მხოლოდ ტენიან აღვილებშია შესაძლებელი. იგი სითბოს მომთხვენი მცენარეა, ხასიათდება მოთიმების შემდეგ მწვანე მასის ერთდრო-ული და სწრაფი განვითარებით, რაც ჩვენ მიერ დაყენებული ცდებითაც დასტურდება. ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში იგი ორ მონათის იძლევა. იმავე 3. მეღვეღვევის ცნობებით ბელორუსის ეწერებზე, საღაც უკანასკნელ წლებში ცდები იყო დაყენებული, ერთ პექტარზე 550 ცენტერი მწვანე მასა მოითხობა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში — 483 ცენტერი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პირობებში მწვანე მასის უფრო მეტი რომელი მოსალოდნელი, იმდენად, რამდენადაც ჩვენ მიერ სამეცნიელოში ნახული და შეგროვილი ეგზემპლარები, როგორც ლეროს სიმაღლით, ისე ფოთლის სიუხვითა და ზომით ლიტერატურაში აღწერილ მცენარეებს აღმატება.

ამ საკითხის ირგვლივ საჭიროა წინასწარი ცდების ჩატარება, უწინარეს ყოვლისა, ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების მეურნეობის ფოთისა და ზუგდიდის ფილიალების განკარგულებაში არსებულ ნაკვეთებზე.

მოსალი სალი

Molinia litoralis Host. Fl. austr. I (1837) 118. — *Molinia coerulea* var. *litoralis* Griseb., Ledeb. Fl. Ross. IV (1853) 396, excl. synon.

მარცვლოვანთა ოჯახის *Molinia*-ს გვარი ოლიგოტიპურია, აქრთიანებს უმთავრესად ევროპაში და ნაწილობრივ აზიასა და ამერიკაში გავრცელებულ 4 სახეობას, რომელთაგან კავკასიისა და საქართველოს ფლორაში 2 სახეობაა გავრცელებული: *Molinia coerulea* (L.) Moench და *M. litoralis* Host; ესენი წირმოაღგენენ კორდის შემქმნელ ტანტერშტა მარცვლოვანებს, რომლებიც მეტწილად ტენიან აღვილებშია გავრცელებული.

M. coerulea შედარებით უფრო ნაკლები ტენის მომთხვენია, ტენიან მდელოებსა და ბუჩქნარებში გავრცელებული, მაშინ როდესაც ჩვენთვის უფრო საინტერესო სახეობა *M. litoralis* ველურ პირობებში მკვეთრად გამოსახული ჰიგროფიტია და ჭაობისა და მდინარისპირა მცენარეულობის კომპონენტის სახით გვხედება.

M. coerulea მთელი კავკასიის მთების შეუ და ზედა საჩტყელში გვთვალისწილებული, *M. litoralis* კი მხოლოდ საქართველოს დასავლეთი მარჯვენა დაბლობებში გვხვდება.

გავრცელების გეოგრაფიული არეალი პირველს უფრო ფართო აქვს. იგი რ. ოზუევიცის [57, 58] მიხედვით, კავკასიის გარდა, ევროპული ნაწილის შევლა, რაიონშია გავრცელებული და აგრეთვე ციმბირში, შეუ აზიისა, ევროპისა და ბალკანეთის მთებში, მაშინ როდესაც *M. litoralis* დასავლეთი კავკასიის ფარგლების გარეშე მოლოდ აესტრიაში იჩრდება.

როგორც ზემოხსენებულიდან ჩანს, ეს ორი სახეობა გენეტიკურად იმდენად ახლო დას ერთმანეთთან, რომ ზოგიერთი ავტორი *M. litoralis*-ს სთვლის *M. coerulea* ს სახესხვაობად (*M. coerulea* var. *litoralis*).

უკანასკნელი წლების მანძილზე გამოცემულ ლიტერატურაში ეს ორი სახეობა დამოუკიდებელ სახეობებადაა აღიარებული, როგორც კარგად გამიჯნული მორფოლოგიურად, განსაკუთრებით კი გავრცელებით, რამაც აღმართ საბუთი მისცა შევლევრებს დამოუკიდებელ სისტემატიკურ ერთეულებად ჩაეთვალათ ისინი. მაგრამ უნდა აღნიაშნოთ, რომ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე კავკასიისა და საქართველოს ფლორებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ეს ორი სახეობა მორტოლოგიურად გამიჯნულია ყვავილების თავისებურებისა და ფოთლის სიგანის მიხედვით.

იმ დროს, როდესაც ყვავილების აღნაგობა მართლაც კარგ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს, ფოთლის სიგანის ირგვლივ მოყვანილი ცნობები არ არის მართებული. ზემოხსენებულ ლიტერატურულ წყაროებში (32, 58) *M. litoralis*-ის ფოთლის განმასხვავებელ ნიშანვისებად უკეთ აკტორს მოყვანილი აქვს 10—15 მმ სიგანე. ჩვენ მიერ გადათვალიერებულმა უამრავმა საპერბარიო მასალამ, როგორც ადგილობრივმა ისე საზღვარგარეთულმა, რაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის ბოტანიკის იასტიტუტშია დაცული, საესებით ნათლად გვიჩვენა, რომ *M. litoralis*-ის ფოთლის სიგანე არც ერთ შემთხვევაში ამ აღემატება 10 მმ-ს, დიდ უმცეს შემთხვევაში კი იგი 5—9 მმ ფარგლებში მერყეობს და არა 10—15 მმ-ისა, როგორც ეს ლიტერატურაშია მოხსენებული და ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშან-თვისებადაა სარკვევებში მოყვანილი.

საკვირველია, როგორ მოხდა საბჭოთა კავშირისა და კავკასიის ლიტერატურაში, უმთავრესად კი რ. ოზუევიცისა [58] და ა. გროსჟეიმის [32] შრომებში ასეთი გაუგებრობა იმ დროს, როდესაც ამ სახეობის ივტორის და აგრეთვე ევროპულ (საიდანაც აღწერილია ეს სახეობა) საპერბარიო მასალაზე დართული დააგნოზი და თვით საპერბარიო მასალა სულ სხვას მოწმობს. ერთხელ დაშვებული შეცდომა ერთი წყაროდან მეორეში აღიარ მექანიკურად გადადიოდა.

თუ კავკასიის ფლორისადმი მიძღვნილ ლიტერატურას ქრონოლოგიურად მივყვებით კვალდაკვალ, ნათელი გახდება, რომ ეს შეცდომა პირველად ა. გროსჟეიმის [31] აქვს დაშვებული თავის „კავკასიის ფლორის“ პირველი გამოცემის I ტომში, შემდეგ იგი განმეორებულია რ. ოზუევიცის [58],



ა. კოლაკოვსკის [44], ი. შინდენოვის [13] და კვლავ ა. გულაშვილის [32] მის „კავკასიის ფლორის“ მეორე გამოცემასა და „კავკასიის ფლორის სარკვევში“ [26], სადაც ფოთლის სიგანეს ისევ უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანთვისებად სთვლის.


ეს, როგორც ირკვევა, უმართებულოდ ნაჩვენები და კავკასიის ფლორის ლიტერატურაში დამკიდრებული ნიშანთვისება, ჩვენი აზრით, შემდეგით უნდა აისწანა.

ა. გროსჟეიმმა თავის „კავკასიის ფლორის“ პირველი გამოცემის I ტომში *M. litoralis* ჩათვალი *M. altissima*-ს სინონიმად ხოლო ამ უკანასკნელის ფოთლების სიგანე, მართლაც, 10—15 მმ ფარგლებში მერყეობს, როგორც ეს კარგად ჩანს დას. ეკროპაში შეგროვილ და საქ. სახ. მუზეუმის ბოტანიკური განყოფილების ჰერბარიუმში დაცულ საპერარიო ეგზემპლარიდან. ეს ორი სახეობა *M. litoralis* და *M. altissima* სახეებით დამოუკიდებელი სახეობებია და მათი სინონიმებად ჩათვლა არ შეიძლება, რაც ნათელი ხდება ზემოხსენებული ეკროპული საპერარიო ეგზემპლარის შედარებიდან იმავ ეკროპაში და აგრეთვე ჩვენში შეგროვილ *M. litoralis* საპერარიო ეგზემპლარებთან. ეს დებულება ბოლოს ა. გროსჟეიმმაც გაიჩიარა და „კავკასიის ფლორის“ მეორე გამოცემაში უარპყო *M. litoralis*-ისა და *M. altissima*-ს იდენტურობა [32]. მაგრამ ამ უკანასკნელი სახეობისათვის დამახასიათებელი ფოთლის ნიშანთვისება, ე. ი. მისი 10—15 მმ სიგანე კი დარჩა *M. litoralis* ის დიაგნოზში. ეს შეცდომა, როგორც ზემოთ იყო მოსხენებული, ერთი მეცნიერული შრომიდან მეორეში გადადიოდა განუსჯელად, მექანიკურად, რაც აგრეთვე ჩვენ მიერაც [7] იყო ჩადენილი იმ შრომაში, სადაც *M. litoralis* კულტურას პირველად ექცებოდით.

ამნაირად, *M. litoralis*-ის ფოთლის აღწერილობა, მოყვანილი ლიტერატურულ წყაროებში, სწორი არ არის, გამოსწორებას მოითხოვს და მაშინ (ი. ფოტოსურათი № 2) მისი მართებული დიაგნოზი ასეთი იქნება:

ბერნარე მრავალწლოვანია, ჰქენის კორდს, რომელიც 30—40 სმ დიამეტრს აღწევს. ფესვები ძალიან მაგარი აქვს, გრძელი და ხეშეში. ღრუო მრავალია, 9—170 სმ სიმაღლისა, ძირში ბოლვების მსგავსად მცირეოდენ გამსხვილებული და წარსული წლების დაძინებილი ვაგინებით შემოხვეული, მოელსიგრძელებული უმუხლო (მუხლი მხოლოდ ძირში აქვს), მაგარი, მკვრივი, გლუვი და შიშველი. ფოთლები მხოლოდ ძირშია თავმოყრილი, მუხლების სიმცირის გამო, მცირეოიცხოვანი, ხეშეში და გრძელი, მოყვანილობით ხაზური, 5—9 მმ, იშვიათად 10 მმ სიგანის, მუქი მწვანე, ნაპირებხარისიანი, ენა მოკლეა, ხშირი წამჭამისებური რბილი ბეწვითა წარმოდგენილი. საგველა დიდი ზომისაა, მუდამ აღემატება 30 სმ სიგრძეს და აღწევს 70 სმ-ს, გაშლილია, იშვიათად ვიწრო, ტოტებხარისიანი. თავთუნები მწვანეა ან სოსანი, ვიწრო, 4—7 მმ სიგრძისა, ლანცეტა, თავწაწვეტილი; ყვავილის ქვედა კილი 3—5 მმ სიგრძისაა, ლანცეტა და თავწაწვეტილი, ზომით ყვავილის ზედა კილისოდენა. ნაყოფი შიშველია.

საგველის ამოტანა ივლისის პირველ ნახევრიდან იწყება და თვის ბოლომდე გრძელდება, ხოლო ოქტომბრისათვის ბარცვალი უკვე სცივერსალი იყენდება.



№ 2. იმერული ისლი — *Molinia litoralis* Host.

როგორც ზემოთ იყო გაკვრით მოხსენებული, *M. litoralis* ჩვენში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დაბლობშია გავრცელებული და ველურად იგი მეტწილად მდინარის პირებზე, ჭაობებში და ამგვარ ტენიან აღვილებში გვხვდება. მისი მასივები სამეგრელოში ჭალადიდას, ანაკლიასა, ხოლო აქარაში ქობულეთის მიდამოებიდან იყო აქამდე ცნობილი.

საქართველოს ფარგლების გარეშე იგი, როგორც მეტად იშვიათი მოვლენა, დასავლეთ იმიერ-კავკასიისათვისაა ა. გროს ჰერბარიუმის [32] მიერ მოსხეულებისადამ

ჩენ არ გვინახავს იმიერ-კავკასიაში შეგროვილი საქართველოს ეგზემპლარები, მაგრამ შესაძლებელია, რომ იგი არ წარმოადგენდეს ნამდვილ M. litoralis-ს, არამედ იყოს M. coerulea, გინაიდან, სადაც კი არის M. litoralis აღნიშნული, კველგან ფართოდ და მასობრივადაა გავრცელებული.

კავკასიის ფარგლების გარეშე M. litoralis შუაევროპაშია (აგსტრიაში) გავრცელებული და ქაც მდინარისპირა აღილებილანა ცნობილი.

იმერული ისლი ანუ, როგორც მას გურიაიმერეთში უწოდებენ, ისლი, ისრი, ხოლო ქანები და მეგრელები ისირი, ლისირი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გურია-სამეგრელოში საქართველოს ფართოდაა გამოყენებული შენობების სახურავ მასალად, უმთავრესად კი სამზარეულოს, ბოსლებისა, საქათმეებისა და ფარდულების დასახურავად. იმერული ისლის სახურავის უპირატესობა ყავრისა და სხვა მცენარეული სახურავი მასალის წინაშე გამოიხატება შენობაში სითბოს დაცვისა, უმთავრესად კი მის ხანგრძლივ სამსახურში. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, იმერული ისლის სახურავი 30 წლამდე სძლებს და უფრო მეტსაც, განსაკუთრებით თუ ეგი სამზარეულოს ხურავს, სადაც შუა ცეცხლია დანთებული და, მაშასადამე, სახურავი სისტემატურად იჭვარტლება. ისლით დახურული შენობები, ჩენი დაკვირვებით საქმარისად მრავალია ამეამადაც.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში იმერული ისლი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მასობრივად მხოლოდ საქართველოშია გავრცელებული და, ბუნებრივია, მხოლოდ საქართველოში იქნებოდა სახურავ მასალად გამოყენებული. საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, აგრეთვე ჩენშიც, უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში, ამ მიზნით სხვა ველური მარცვლოვანები ისლის სებრთა და ლაქაშისებრთა ოჯახების წარმომადგენლები იხმარება, როგორიცაა ლელი (Phragmites communis L.), ზალაფა (Sorghum halepense (L.) Pers., ლაქაში (Typha sp. diversae), თავნასკვა-ჩალა (Cyperus longus L.) და მრავალი სხვა, უმთავრესად ჭიობის მცენარეები.

ველური მცენარეული მასის სახურავები საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოშიც საქმარისად ფართოდაა გავრცელებული.

ველური მცენარეული რესურსების გამოყენების საკითხი ომის შემდგომი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პრიორიტეტი განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა. ამასთან დაკავშირებით, მ. ილინგა [41] სცადა შეექმნა სასარგებლო მცენარეების კლასიფიკაცია და ამით ერთგვარი წესრიგი შეეტანა სასარგებლო მცენარეების კვლევა-ძიებისა და გამოყენების საკითხში. ეს კლასიფიკაცია ვეტორს გამოქვეყნებული აქვს 1949 წელს „მცენარეული რესურსების“ № 2-ში [41]. ამ კლასიფიკაციაში სასარგებლო მცენარეები ავტორს დაყოფილი აქვს 20 ჯგუფად, რომლებიც მას, თავის მხრით, 70 ქვეჯგუფად აქვს ჩამოყალიბებული. კლასიფიკაცია საქმარისად დეტალურად და სინდისიერადაა დამუშავებული, იმდენად დეტალურად, რომ ამ კლასიფიკაციაში თევზების საკვები მცენარეებიც კი არის ნაგულისხმევი.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ჩვენთვის საინტერესო მცენარეების იმერული ისლისა და საერთოდ შენობების დასახურავი მცენარეების აღგილი ამ კლასიფიკაციაში.

„სასარგებლო მცენარეების“ მ. ილინის კლასიფიკაციაში ეს ჯგუფი აშეარად გამოტოვებულია და უსათუოდ მოითხოვს დამატებას.

M. litoralis-ის კულტურა პირველად ჩვენ მიერაა ლიტერატურაში მოხსენებული [7] და ჩვენ შემდეგ ცნობები მისი კულტურის შესახებ კავკასიისა და საქართველოს ფლორისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრდა [13, 32].

ამ სახეობის კულტურა არსად მსოფლიოში არ არის ცნობილი. საქართველო ერთადერთი კუთხეა დედამიწის ზურგზე, სადაც M. litoralis მოჰყავთ ნამდვილი კულტურული მცენარის სახით. მისი კულტურა ჩვენი ხალხის შემოქმედებას წარმოადგენს და, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი საწყისი შორეულ წარსულს ეკუთვნის, თუმცა ეს საისტორიო წყაროებში არსად არ არის მოხსენებული. ისლი, უფრო კი ისლით დახურული სახლები მხოლოდ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშია ასახული, როგორც მაგალითად, ნ. ლორთქითანის, გ. წერეთელის, დ. კლდიაშვილის, განსაკუთრებით კი ე. ნინო-შვილის მოთხოვნებში, საიდანაც აშეარად ჩანს, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში, გურიის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები მეტწილად ისლით იყო დახურული და არა მარტო სამზარეულოები, როგორც ახლა.

ეგნ. ნინოშვილის მოთხოვნებაში „ცოლი და ქმარი“ ვკითხულობთ: „ამ ცი-ოცდაათი წლის წინათ¹, გურიის ხალხი ცხოვრობდა ისლით დახურულს ფიცრულა სახლებში“. ამავე გვერდზე მწერალი სწერს: „ამ უკანასკნელს დროს კი გურიაში აღარ სჯერდებიან ზემოაღწერილს სახლებს, ვისაც ცოტა-ოდენი შეძლება აქვს, აზნაურია თუ გლეხი, ყველა ცდილობს ერთი — ორ-სამ-ოთახიანი ფიცრის სახლი მაინც გაიკეთოს და, შეძლებისდა გვარად, ევრო-პულად მორთოს. იქ, სადაც ხუთი ისლით დახურული სახლი დგას, მეექვსე უეჭველად ყავრით დახურული და ევროპული კარებ-ფანჯრებით კოხტად მოჩანს ხშირი ხეებით დაჩრდილულს ეზოში“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. მ.).

მწერლის ეს ცნობა ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, იმდენად, რამდენადაც იგი გვაძლევს საშუალებას საკმარისად ზუსტად გამოვიანგარიშოთ ისლით დახურული საცხოვრებელი სახლების რაოდენობა გურიაში XIX საუკუნის დამლევს. ირკვევა, რომ ამ დროს გურიის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების 75—80%, ისლით ყოფილა დახურული.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგივე მდგომარეობა იყო სამეგრელოსა და იმერეთში, რაც ნაწილობრივ ზემოხსენებული მწერლების მოთხოვნებიდანც ჩანს.

ეგნ. ნინოშვილის ხსენებული მოთხოვნების აგრეთვე ირკვევა, რომ ყავარს, როგორც სახურავ მასალას, უპირატესობა ჰქონია ისლის წინაშე,

¹ ეგნ. ნინოშვილის მოთხოვნა „ცოლი და ქმარი“ დაწერილია 1894 წელს.

არა გამძლეობის მხრივ, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს პირობებში ყავასთა მხოლოდ 10—15 წელს სძლებს, არამედ ღაზათის გამო.

თავისთვის ცხადია, ქველ დროს ისლჩე, როგორც სახურავ მასალაზე, დიდი მოთხოვნილება იქნებოდა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მის კულტურაზე უნდა ეზრუნა, რათა დაეკმაყოფილებინა ესოდენ დიდი საჭიროება.

მაგრამ მოხსენებულ მხატვრულ-ლიტერატურული წყაროებიდან, სამწუხა-როდ, ვერ გამოვარეკვეთ ვერც ისლის კულტურის საკითხს, მით უმეტეს ვერც ამ კულტურის სიძველეს. მოყვანილი ცნობებიდან არ ჩანს, ველური ისლით იყო დახურული XIX საუკუნეში გურიაში სახლები; თუ კულტურულით?

ამნაირად, ვერც ისტორიულმა წყაროებმა, ვერც ლექსიკოგრაფიულმა მასალამ და ვერც ცალკე პირების კონსულტაციამ ვერ გვაშველა ისლის კულტურისა და მისი სიძველის საკითხის გამორკვევაში.. მარცვლოვანთა ოჯახის ცნობილმა საბჭოთა სპეციალისტმა რ. როვერიც მა წერილობით შეკითხვაზე ისლის კულტურის შესახებ ლაქონიურად ვვიპასუხა: „ისლის კულტურის შესახებ თქვენგან პირველად მესმისომ“.

როგორც აღვნიშნეთ, *M. litoralis* მარტო ჩვენშია, დასავლეთ საქართველოში (გურია-სამეგრელოში), ნამდვილი კულტურული მცენარის სახით გაერცელებული.

მიუხედავად ველური ისლის ფართობების არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობისა, ეს მცენარე, აღმათ, კულტურაში ძეველთაგანვეა დამკვიდრებული.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბსლის კულტურის ფართობი მთელს დასავლეთ საქართველოში 1—2 ათას ჰექტარს მაინც უდრიდა. ამჟამად ჩაისა, ციტრუსების, ტუნგისა და სხვა სუბტრონაციული მცენარეების პლანტაციების გაშენებასთან დაკავშირებით, ეს ფართობი საგრძნობლად შემცირდა, ამაღლდა აკრეოვე კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული გლეხობის მატერიალური და კულტურული დონე, ისლით დახურული საცხოვრებელი სახლები მეტად იშვიათი მოვლენა გახდა, მოთხოვნილებამ ისლჩე, მაშასადამე, იყლო, რამაც ხელი შეუწყო ისლის კულტურის შემცირებას.

ამჟამად ისლის ახალ ნარევებს უკეთ აღარავინ აშენებს, ხოლო არსებული ნარევები აკმაყოფილებენ, წარსულთან შედარებით, მცირე მოთხოვნილებას, რომელიც ამჟამად არის ისლჩე გურია-სამეგრელოში სამზარეულოების, წისქილების, ფარდულებისა და სხვა ნაგებობის დასახურავად. ისლის კულტურის პატარა ფართობები გურია-სამეგრელოს თითქმის ყველა სოფელში არის. ჩვენი დაახლოებითი გამოანგარიშებით ამ მცენარის კულტურის ფართობი საღლეისოდ 600 ჰექტარამდე უნდა იყოს შეჩერინილი; როგორც ინდივიდურ მფლობელობაში, ისე კოლექტივში გაერთიანებული.

ისლის კულტურა წარმოადგენს რელიეფურის ტიპი მაგალითს, ე. ი. იმ კულტურისა, რომელსაც წარსულში პქნიდა სამეურნეო მნიშვნელობა, ხოლო ამჟამად თანდათანობითი მოსპობის გზაზეა დამდგარი. ეს კულტურა, მისი დაბალი ლირებულების გამო, როგორც ჩანს,

საქართველოს ფარგლებს არ გასცილებია და არც ამჟამად სცილდებოდა მაშასადამე, იგი კოლხთის ენდემურ კულტურას წარმოადგენს.

ცხადია, რომ ისლის კულტურა ერთბაშად არ გაჩნდებოდა. უნდა ვიღულისხმოთ, რომ პირველი მცენარეული სახურავის მასალა ჭაობის ველურ სხვა მცენარეებთან ერთად ისლის შეიცავდა. მოსახლეობის დაკვირვებით, მხოლოდ ისლმა გამოიჩინა დასავლეთ საქართველოს ტენიან პირობებში შედარებით დიდი გამძლეობა, როგორც შენობების სახურავმა მასალამ, და მან შესცვალა ველური მცენარე. ამის შემდეგ სახურავები, აღმათ, ჯერ მხოლოდ ველური ისლით იხურებოდა, რასაც მოსახლეობა ველურ ცენოზებში სჭრიდა. ამ უკანასკნელის მარავის შემცირებამ და ისლიანების სიშორებ, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ისლის ლალმა ზრდამ, მოსახლეობის ორგვლივ დაცვენილ თესლიდან ამოსულმა, ამ მცენარის კულტურაში დანერგვამდე მიიყვანა მოსახლეობა.

მაგრამ როდის, რომელ საუკუნეში დაინერგა ისლის კულტურა ჩვენში? საკითხი ჯერჯერობით ლია რჩება.

მხოლოდ შენობების დასახურავად მცენარე სპეციალურად არსად და არავის არ მოჰყავს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი სხვა ასეთი შემთხვევა. კულტურული მცენარეებიდან კი საბჭოთა კავშირში, როგორც თანანაწარმი, მეტწილად ჭვავის ნამჯაა გამოყენებული, როგორც უფრო გრძელლეროიანი [65].

ისევე, როგორც ისლის თვით კულტურა, მისი აგროტექნიკაც პრიმიტულია. ისლის კულტურისათვის ჩვეულებრივ იყენებენ ვაკე, შედარებით ტენიან ადგილს. აქ აღსანიშნავია ის, რომ ისლის ველური ცენოზების სუბსტრატი აშენად ჭობიანია, ყოველ შემთხვევაში, ტენის სიქარბით ხასიათდება, ხოლო ხელოვნური ნარგავების ნიადაგი ბევრად უფრო მშრალია. გურიის მთიან ნაწილში მახარაძის რაიონის სოფ. ძიმითის მახლობლად, ჩვენ ვნახეთ ისლის ნარგავი სამხრეთ ფერდობზე გაშენებული. ეს ფრიად საინტერესო მოვლენა, ჩვენი აზრით, იმის მაჩვენებელი, რომ ჩვენ ხალხს არ მარტო შეუტანია სხვისგან დამოუკიდებლად სრულიად ახალი კულტურა, არამედ მისი სელექციაც უწარმოებია შერჩევის გზით და მშრალი¹ ადგილებისათვის ვარგისი ისლის ფორმაცი კი გამოიყენია.

ისლის კულტურისათვის შერჩეულ ადგილს, რომელსაც გურიაში „საისლე“ და სამეგრელოში „ოსირე“ ეწოდება, წინასწარ უსათუოდ შელობავენ, რითაც იცავენ საქონლისაგან, რომელიც ისლის ძალიან ეტანება და განსაკუთრებით გაზაფხულზე იმდენად კორტინის ნარგავს, რომ იგი ჟეროს ველია იყრის. საისლეები ამჟამად საქარმილამო ნაკვეთებზეა შერჩენილი და მეტწილად კარგადაა დაცული.

ისლის კულტურისათვის შერჩეულ ადგილს ათვისუფლებენ ბუჩქნარისა-გან (უმთავრესად მაყვლის, იელისა და ხერქელისაგან), ნაკვენ ან სთხნიან და ისლის დასარგავად პატარა, 10—25 სმ სიღრმის ორმოებს სთხრიან ერთი-

¹ ცხადია, აქ შედარებით მშრალს ვგულისხმობთ, იმდენად, რამდენადაც მშრალ ადგილებზე შეიძლება ლაპარაკი 2.300 მმ ატმოსფერული ნალექების პირობებში.

მეორისაგან დაახლოებით 60—70 სმ მოშორებით. ერთ ჰექტარზე 1050-1100 კუპალი ათასი ძირი ისლი თავს დება.

ისლს მხოლოდ ვეგეტაციურად ამრავლებენ. ძველი ისლის კორდს ანუ, როგორც მას გურიაში უწოდებენ, „ჯინგულას“ ნაწილებად ჭრიან და ისე რგავენ.

ბუნებით ტენიანი ადგილების მცენარე, ისლი, გვიან იწყებს ვეგეტაციას — აპრილში, ხოლო ღეროებისა და ყვავილედების ამოყრას მხოლოდ ივლისის ბოლოსათვის ამთავრებს.

კულტურული ისლის ღეროები ზოგჯერ, ნიადაგისა და მოვლის მიხედვით 1,8 მეტრის სიმაღლეს აღწევს, ჩვეულებრივ კი იგი 120—130 სანტიმეტრის სიმაღლისაა. მისი შემოსვლის, ე. ი. სახურავად დავარგისების დრო მისი გაყითლებით განისაზღვრება. მწვანე ისლი სახურავად არ იხმარება, ვინაიდან მისი სიმტკიცე და ამასთან დაკავშირებული გამძლეობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე გაყითლებულისა.

ისლის შემოსვლა (გაყითლება-გახმობა) ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაწყებული დეკემბრიამდე გრძელდება და ამავე დროის განმავლობაში იგი იწრება, რისთვისაც ჩვეულებრივი ნამგალი იხმარება. ისლის მოსაჭრელი რაიმე სხვა სპეციალური იარაღი არც გურიაში, არც სამეგრელოში არ არსებობს.

ფოთლებიანად მოჭრილი ისლი კონებად იკვრება. თითოეული კონა 15—25 სანტიმეტრის დიამეტრისაა, იმავე ისლის ღეროთი (ულოთი) შეკრული; მასში შედის 7—8 ეგზემპლარის მონაცერი. შეკრული კონები, თუ ამინდი უწყობს ხელს, 1—2 დღე გარეთ რჩება, ხოლო შემდეგ, ზვინად დაწყობილი, ნალექებისაგან დაცულ ადგილში ინახება.

ისლის ნარგავი მოჭრის შემდეგ ზამთრის დამლევამდე ხელუხლებელი რჩება. თებერვალ-მარტში ისლის ნარგავს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნარგავში დარჩენილ ნაწვერალს უსათუოდ ცეცხლი უნდა წაეკიდოს.

კოლმეურნეთა განმარტებით, ეს ოპერაცია სავსებით აუცილებელია და იგი ყოველწლიურად ტარდება. მათი დაკვირვებით ნაწვერლის გადაწვა ღეროების ამოყრასა და შემდგომ ზრდას ძალიან უწყობს ხელს. თუ რაიმე მიზეზით ნაწვერალი არ გადაიწვა, ისლის ვეგეტაცია უფრო გვიან იწყება და ღეროებიც ვერ აღწევენ დიდ სიმაღლეს.

ნაწვერლის გადაწვა თებერვალსა ან მარტში, ცხადია, უსათუოდ მშრალ, მზიან ამინდში ხდება. ამ ოპერაციის დაგვიანება არ შეიძლება, იგი ვეგეტაციის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს, რათა ნორჩი აღმონაცენი ცეცხლისაგან არ დაზიანდეს.

ნაწვერლის გადაწვა ალბათ, ერთი მხრით, სპოს მექანიკურ წინააღმდეგობას, რომელსაც განიცდის ნორჩი ღერო-ფოთოლი ვეგეტაციის დაწყებისას, ხოლო, მეორე მხრით, ნიადაგს ამდიდრებს ნაცროვანი ელემენტებით და ორივე ეს მომენტი ხელს უწყობს ისლის უკეთეს ზრდას.

ისლის ნარგავი, თუ მას ყოველწლიურად თოხნიან და ნაწვერსას წყალშე
ენ, ძალიან დიდხანს ძლებს. კოლხეურნეთა დაკვირვებით ისლის ნარგავი,
თუ მას წესიერი მოვლა აქვს, საერთოდ არ კვდება არასდროს. ყოველ შემ-
თხვევაში, მათ არ ახსოვთ, რომ ერთხელ გაშენებული ნარგავი ხანდაზმულო-
ბისა ან რაიმე სხვა მიზეზით გამჩრალიყოს.

რაც შეეხება იმერული ისლის სხვანაირ გამოყენების, უწინარეს ყოვლისა
უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ამ სახეობის პრაქტიკული გამოყენების
შესახებ ჩენიამდე არავითარი ლიტერატურული ცნობები არ მოიპოვებოდა,
ვინაიდან ეს სახეობა საბჭოთა კავშირში მასობრივად მხოლოდ დასავლეთ
საქართველოში გვხვდება და მკვლეორების უმცტესობის უურიდღების გარეშე
გამორჩენია. მაგრამ საკურველია, რომ კავკასიის ფლორის ცნობილმა მკვლე-
ვარმა ა. გრისტეიმმაც არ მოიხსენია იგი „კავკასიის მცნარეულ რესურ-
სებში“ [30], ე. ი. იმ შრომაში, რომელიც სპეციალურად კავკასიის ფლორის
გამოყენების საკითხისადმი არის მიძღვნილი.

*Molinia-*ს, ზემოხსენებულის გარდა, სხვანაირი გამოყენებაც აქვს.

ამ მხრივ *M. litoralis* უწინ არ ყოფილა გამოკვლეული, მაგრამ, მოსახ-
ლეობის დაკვირვებით, იგი ნორჩობაში მსხვილფეხა ცხოველებისათვის, ვანსა-
კუტჩებით კამეჩებისათვის საკმარისად კარგ საკვებს წარმოადგენს. მაგრამ ამ
მიზნისათვის ბოლონდ ველური ისლი გამოიყენება და არავითარ შემთხვევაში
საამისოდ კულტურული ისლი არ გაიმეტება, ვინაიდან იგი მხოლოდ სახურავ
მასალად არის გათვალისწინებული და მისი შესაფერის დაზღვე ძირე მომკა,
მით უმეტეს უშუალო ძოვება, დიდ ზიანს აყენებს ისლს, იგი ღეროს განვითა-
რებას ასუსტებს.

დაახლოებით 15—20 წლის შინათ საკერალოს მოსახლეობის მუშა საქო-
ნელს, უპირატესად კი კამეჩებს, სპეციალურად ირევალენენ ველური ისლის
მასივებზე (ს. ხორგისა და ს. ჭალადიდის მახლობლად, აგრეთვე ს. ანაკლიასა
და ქ. უოთის მიდამოებში) და გასასუქებლად რამდენიმე ხანს სტოვებდნენ.

მოსახლეობის გადმოცემით, ისლის ნორჩობაში ყუათინობის მხრივ ვერც-
ერთი ველური საკვები მცნარე ვერ შეედრება, გაკრამ მხოლოდ ნორჩობაში.
ლერო-ამოყრილი ისლი უკვე ძალიან ხეშეში ხდება და საქონელი ისე ხალი-
სიანად ველარ ჭამს. ოსოდეს არ ყოფილა, ისლის მოეწამლოს ცხოველები,
როგორც ეს ლიტერატურული წყაროების მიხედვით მეორე სახეობას ახა-
სიათებს.

მაგრამ სიტყვიერი განცხადება ისლის კვებითი ლირებულების შესახებ,
ცხადია, საქმარისი არ არის. საჭიროა მუდმივი საცდელი სათიბების მოწყობა,
მისი სათანადო მოვლა, პერიოდული თიბგა და თივის ყოველმხრივი შესწავლა-
(ჭიმიურად და თვით საქონელზე) არ იქნება ზედმეტი საქმე, ვინაიდან შესაძლე-
ბელია ისლმა მცირეოდენ მაინც შეაჩბილის დასავლეთ საქართველოში ცხოვე-
ლების საკვების ესოდენ გამწვავებული მდგომარეობა.

ჩვენ ვცადეთ ამ მხრივ მცირე ნაბიჯების გადადგმა და მახარაძის
რაიონის სოფ. ლიხაურიდან ჩამოტანილი ისლის ნიმუში საანალიზოდ გადა-
ვცით.

ანალიზი მიზნად ისახავდა ერთი მხრით ვიტამინების რაობისაქ უკავშირის დენობის, ხოლო მეორე მხრივ ქიმიური ანალიზის გამოკვლევას ცაბინის დანართურთ, ვინაიდან ეს უკანასკენელი, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, იმერული ისლის მონათესავე სახეობაშია იღმოჩენილი და აქაც შეიძლება ყოფილიყო.

ვგრძამინების გამოკვლევა ჩატარდა თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის ანატომია-ფიზიოლოგიის განყოფილებაში უფრ. მეცნ. თანამშრომლის თამარ კეჭელია¹ ხელმძღვანელობით.

საანალიზოდ, საძუხვაროდ, აღებული იყო უკვე საქმარისად მობერებული თვია, მაგრამ, მცუხვდავად ამისა, როგორც ეს ქვემომცვანილ ციფრებიდან ჩანს, ანალიზია ვიტამინების საქმარისად მაღალი მაჩვენებლები მოგვცა, სახელდობრ:

კაროტინი (პროეიტამინი A) — 16,7.

ანევრინი ანუ თიამინი (ვიტამინი B₁) — 0,37

რიბოფლავინი (ვიტამინი B₂) — 0,13

ასკორბინის მჟავა (ვიტამინი C) — 53,3.

ამ ანალიზის შედეგები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ უკლებლივ ყველა ვიტამინი, განსაკუთრებით კი ასკორბინის მჟავა, უფრო მეტია, ვიდრე საუკეთესო საკვებ ბალახებში, თუკინდ ტიმოთის ბალახში (*Phleum pratense*).

რაც შეეხება ქიმიურ ანალიზს, რომელიც ჩევნი თხოვნით ჯანმრთელობის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ლაბორატორიაში ჩატარდა, უნდა უწინარეს ყოვლისა ითვას, რომ ეს ანალიზი აგრეთვე უკვე მობერებულ ისლე ეხებოდა.

ანალიზი ციანის მჟავაზე ღეროს, ყვავილებს და ფოთლებს ცალ-ცალკე გაუკეთდა, ვინაიდან ციანის მჟავა, როგორც ეს ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს [56], უფრო ღეროსა და ყვავილებშია მოსალოდნელი და უფრო ნაკლებ — ფოთლებში.

ანალიზმ სრულიად უარყო ციანის არსებობა ისლის ნაწილებში ისე, რომ ამ მხრივ იმერული ისლის თვია სრულებით უვნებელია.

ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვნა, რომ იცერული ისლის თვიაში წყალი 7,18 % -ია, ნაკარი — 3,62 %, ცილების აზოტი — 4,26 %, ცელულოზა — 80,4 %, ნაშირიწყლები — 1,9 %, ცხიმი და სხვა ნივთიერებანი, რომლებიც ეთერში ექსტრაქტოდება — 1,1 %.

ამ ციფრებიდან, უწინარეს ყოვლისა, თვალში გვეცემა ცელულოზის არა-ჩვეულებრივად დიდი პროცენტი, რომელიც ბევრად აღემატება სხვა არა მარტო მარცვლოვანების, არამედ ისლისებრთა ოჯახში შემავალ მცენარეთა ცელულოზის პროცენტსაც კი. თუ იმერული ისლის ცელულოზის ესოდენ დიდი პროცენტის ნახევარს, როგორც ეს მიღებულია, მონელების უნარის

¹ გსარგებლობ შემთხვევით თ. კეჭელს დიდი მაღლობა შოვაჩსენო.

მქონედ ჩავთვლით, მოუწელებელი ცელულოზის პროცენტი (40,2%) უკავშირდება მეტად დიდი იქნება.

ცელულოზის დიდი პროცენტი მოსალოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც იძერული ისლი საერთოდ მეტად ხეშეშფოთლიანია და, გარდა ამისა, საანალიზოდ მობერებული თვის იყო აღვალი. ცხადია, ზემომოყვანილი ანალიზი საკმარისი არ არის, საჭიროა ცდა-დაკვირვებანი თვით ცხოველებზე ჩატარდეს და გამოირკვეს ისლის ჭრისას მნიშვნელობა, როგორც საკვები მცენარისა. ხალხის დაკვირვებით ნორჩი ისლი, ვიმეორებთ, მაღალი კვებითი ღირებულებისაა.

დასასრულ, აღნიშნავთ აგრეთვე იმერული ისლის გამოყენების შესაძლებლობას ჯაგრისების წარმოებაში. თანახმად ლ. ჯ. ა. ფ. ა. რ. ი. ძ. ს. და ი. ჩ. უ. ბ. ი. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. გამოკვლევისა [40], რაც მათ თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში პქონდათ ჩატარებული, ისლის ფესვები თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯაგრისების წარმოებაში.

ჩალაშპივი


Coix lacryma-jobi L. Sp. pl. (1753) 97; — *Lithagrostis lacryma-jobi* Gaertn. De fructibus et semin. plant. (1788) 7.

ეს ორიგინალური მარცვლოვანი, როგორც იჩქვევა, საკმარისად ყოფილა საქართველოში გავრცელებული, მაგრამ საკვირველია, რომ არც კავკასიისა და არც საქართველოს ფლორისადმი მიძლვნილ ლიტერატურაში იგი აქამდე არ ყოფილა მოხსენებული.

ჩალაშპივი (იხ. ფოტოსურათი № 3) მარცვლოვანთა ოჯახის სიმინდის ტრიბის (Maydeae) საკმარისად მსხვილი მცენარე, რომელიც ვეგეტაციური ორგანოებით ოჯახის ტიპიურ მცენარეს წარმოადგენს, მაგრამ რეპროდუქციული ორგანოებითა და მათი განლაგებით იგი ამ ოჯახის სხვა წარმომადგენლებისაგან მცვეთრად არის განსხვავებული.

ჩალაშპივის მდედრობითი თავთუნები მოთავსებულია ზედა ფოთლების მეტამორფიზებულ ვაგინებში, საიდანაც თაეთავის მსგავსად შეკრებილი გამრობითი თავთუნებია ამოყოფილი. სახეშეცვლილი ვაგინა, რომელშიც მდედრობითი თავთუნი ზის, მომწიფებისას მომრგვალო კვერცხისებრი ხდება, ძალიან მცვრივდება, ფერითა და სიმაგრით ქვიდან (მარმარილოვან) გამოკვეთილ, 8—12 მმ ზომის მძივს ემსგავსება. ეს უკანასკნელი ნიშანთვისება ძალიან კარგად არის ამ მცენარის გვარის სახელწოდების სინონიმში გამოსახული — *Lithagrostis*, რაც „ჭვაბალახას“ ნიშავს.

Coix lacryma-jobi L. კულტურაში მრავალ სუბტროპიკულ მხარეში ყოფილა გავრცელებული. კულტურის მიზანს უმთავრესად შეადგენს ზემოხსენებული მძივის მსგავსი ცრუ ნაყოფი, რომელიც ძაფზე ასხმული, კრიალოსნების, სამაჯურებისა და სხვა სამკაულების გასაკეთებლად იხმარება.



№ 3. ჩალაბძისი — *Coix lacryma-jobi* L.

საყურადღებოა, რომ ამ მცენარეს პურეულის მნიშვნელობაც პქონია-
აკად. ნ. ვავილოვს [76] იგი მოხსენებული აქვს მალაის არქიპელაგისა და
ინდოეთის პურეულ მცენარეთა სიაში.

ბოტანიკოს რ. როჟევიცის [57] ცნობებით, ინდოეთში ეს მცენარეები თურმე ფეტვის მაგივრობას სწევს, იაპონიაში — ტებილეულობისა და პორტუგალიაში პურის გამოსაცხბად იყენებენ, ხოლო ჩინეთში მას სამკურნალო თვისებებსაც აწერენ და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ხმარობენ.

ცნობილია მისი კულტურა აგრეთვე როგორც დეკორაციული და ცხოველების საკვები მცენარისა [57].

პუკერის ცნობებით [75] *Coix lacryma-Jobi* L. ველურად ინდოეთის ყველა თბილისა და ცხელ მხარეებში ყოფილი გავრცელებული, გარდა ცეილონისა, სადაც მხოლოდ კულტურაშია შემოღებული.

ფ. პირლატორის მიხედვით [77] ეს სახეობა ველურად კანარის კუნძულებზედაც გვხვდება, ხოლო რ. ვეტ შტეინისა [28] და ლ. ვიტ მაკის [82] გაღმოცემით იგი საერთოდ ყველა სუბტრობიქულ ქვეწებშია გავრცელებული. ყველგან იქ ტენიან, ჭაობიან ადგილებსა და მდინარის ნაპირებზე გვხვდება. ყველა აფრიკო ერთობ აღნიშნავს ამ მცენარის „ნაყოფების“ უმთავრესად კრიალოსნებისა და სამკაულებისათვეს გამოყენებას.

Coix-ის გვარი მონოტიპურია. მისი ერთადერთი სახეობა, *C. lacryma-Jobi* შეტაც პოლიმორფულია.

რ. როჟევიცის მიხედვით [57] ეს სახეობა რამდენიმე, შეტაც განსხვავებულ სახესხვაობითაა წარმოდგენილი, რასაც ზოგიერთი მკვლევარი ცალკე სახეობად სთვლის.

სახესხვაობათა შორის აღსანიშნავია მრავალწლოვანი var. *gigantea* (Roxb.) Hook, რომელიც აღწევს 4,5 მმ სიმაღლეს და მხოლოდ ინდოეთშია გავრცელებული, ერთწლოვანი var. *stenoarpa* Hook, ერთწლოვანი Ma-yen Staph., რომლის ცრუ ნაყოფი აღვილად იფევება და საჭმელად იხმარება.

რაც შეეხება var. *puellarum* Ball.-ს, ეს სახესხვაობა მრავალწლოვანია, მიახლოებით 50—60 სმ ზომისა და ისხამს შეტაც მაგარს, პრიალა ნაყოფებს, რომლებიც ყველგან კრიალოსნად ან მძივებად გამოიყენება.

ჩვენი ჩალამძივი ამ უკანასკნელ სახესხვაობას var. *puellarum* Ball.-ს ეკუთვნის (სიტყვა *Puella* — ახალგაზრდა ქალს ნიშნავს და ამ სახესხვაობის ავტორიმა, ალბათ, ამ მცენარისგან დამზადებული სამკაულები იგულისხმი).

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ეს მცენარე არ ყოფილა იშვიათი, მაგრამ ვითარცა მეორეხარისხოვანი, რომელსაც არ ჰქონია დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა, მკვლევრების მიერ შეუმჩნეველი დარჩენილა.

პირველად *Coix lacryma-Jobi* L. თბილისის სახელით უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა თ. ტარტარაშვილმა შეაგროვა 1946 წელს საინგილოში, ჩვენ მიერ მიცემული თემის „საინგილოს ეთნობოტანიკის“ შესრულების პროცესში. ამ შემთხვევამ მოგვცა საბუთი ეს მცენარე საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოგვენახა.

ამჟამად ჩვენ უკვე მოგვეპოვება კარპოლოგიური მასალა და ჰერბარიუმი გურიიდან (ლანჩხუთის რ. სოფ. ჩიბათი), აჭარიდან (ქობულეთის რ. სოფ. ლელვა) და სამეგრელოდან (გეგეჭორის რ. სოფ. დიდი ჭყონი).

როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს მცენარე იმერეთშიც მოჰყავთ (წერტული კიძის რ.) და მცირეოდენ კახეთშიც, ყვარლის რაიონის სოფ. ენდელიშვილის რეგიონში.

გურიასა და აჭარაში შეგროვილი ცნობებით, ჩალამძივი აქ გავრცელებულებულიც კი გვთვდება, მაგრამ ველურ პირობებში ჩვენ იგი არ გვინახავს.

ყველგან აქ ჩალამძივი ბოსტნებისა და ბალჩებში მოჰყავთ, მეტწილად კრიალოსნების, სამაჯურების, ყელის სამკაულებისა და აგრეთვე აკვანზე ჩამოსაკიდი მძივების ასასებელად.

ამ მცენარის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სახელწოდებებიც ადასტურებს, რომ ჩვენში ეს მცენარე მხოლოდ ზემოხსენებული მიზნებისათვის იხმარება და პურეულის ან ცხოველთა საკვების მნიშვნელობა მას არ ჰქონია.

კახეთში *C. lacryma Jobi* ცნობილია ჩალამძივი და ამ სახელს ჩვენ ამ სახეობის ძირითად სახელწოდებად ვიყენებთ), გურიასა და იმერეთში მას კაკილასა და ტატილას უწოდებენ, სინგილოში გუგრიზივს, ხოლო სამეგრელოში დიხაშ ძიასა და გირინიშ ძიას [3].

რამდენად ფართოდ იყო ჩალამძივი და გავრცელებული, როდის და საიდან შემოვიდა. იგი საქართველოში, ამის შესახებ ჯერჯერობით ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის დამლევს (და შესაძლებელია ბევრად უფრო აღრეც) იგი საქართველოში უჩვეული ცნობილი ყოფილა. ამას მოწოდებს შემდეგი გარემოება.

1949 წლის ოქტომბერში ქობულეთის რაიონში (სოფ. კვირიკე, სკურა, ხუცუბანი) ცოცხალ მეტყველებაში ჩვენ ჩავიწერეთ ამ მცენარის სახელწოდება „ღაკლაჭა“. მართლია, ასეთი ტრანსკრიპციით ეს სიტყვა ჩვენ ლექსიკოგრაფებს არ მოგვივებათ, მაგრამ სიტყვა „ყაჭყაჭა“ საბა ორბელიან-საც აქვს ლექსიკონში მოხსენებული და დ. ჩუბინაშვილსაც.

ფილოლოგიის სპეციალისტების სიტყვებრი განმარტებით ამ ხორხის-მიერი ასოების შენაცვლება ცოცხალ მეტყველებაში საესებით ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

სიტყვა „ყაჭყაჭა“ საბა ორბელიანს ჩვეულებისამებრ ლაკონიურად და ზუსტად აქვს განმარტებული, როგორც „კრიალოსნის მოლი“. რ. ერისთავის ლექსიკონში ამ სახელწოდებისათვის საბასული გან-

მარტებაა დატოვებული, ყოველგვარ რუსულისა და ლათინური სახელწოდების მიწერის გარეშე, როგორც სხვა მცენარის მიმართ აქვს იგტორს გაკეთებული, ხოლო დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში, საბასული განმარტების გარდა, რუსულ შესატყისად მიწერილი აქვს ვირობეინიკ, რაც ლათინურ *Lithospermum*-ს უპასუხებს [19]. ამ რუსულმა უმართებულო შესატყვისმა ჩვენც შეგვიყვანა შეცდომიაში — ბოტანიკურ ლექსიკონში [3] სახელწოდება, „ყაჭყაჭა“, ლექსიკონის ივტორ დ. ჩუბინაშვილზე მითითებით, კაკბის საკენკელას ანუ რუსულად ვირობეინიკ-ს მივუწერეთ.

უნდა კი ითქვას, რომ კაკბის საკენკელას *Lithospermum officinale*-ს ნაყოფი გარეგნული შეხედულებით ძალიან ჰგავს ჩალამძივის ნაყოფს, მაგრამ

მხოლოდ გარეგნული შეხედულებით, ჩომით კი ჩალამძივის ნაყოფი 5—6-ჯერ აღემატება. გარდა ამისა, ჩალამძივის ნაყოფს ბუნებრივი ხერელი აქტუალურობა სიგრძის გასწროვ, რაც აადვილებს მის ძაფზე ასხმას, მაშინ როდესაც *Lithospermum*-ს ასეთი არა აქვს და ცხადია არასოდეს არ გამოიყენება ისე, როგორც ჩალამძივის ნაყოფი.

რაკი ცოცხალ მეტველებაში სახელწოდება „ლაჭილაჭი“ აღმოჩნდა და თვით მცენარეც ვაპოვეთ, აგრეთვე ამ უკანასკნელის გამოიყენება ვიცით, ჩვენ შევვიძლია დავადასტუროთ ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფის ს აბათურ ბელიანის სავსებით მართებული განმარტება და იგრეოვე ისიც, რომ ეს სახელწოდება ნამდვილად ჩალამძივს ე. ი. *Coxia lacryma Jobi*-ს ეკუთვნის და არა სხვა მცენარეს.

ამნაირად, საბა ორბელიანის ლექსიკონში მოხსენებულ, მაგრამ ჩვენთვის აქამდე გაურკვევლად დარჩენილ ზოგიერთ მცენარეთა სახელებს შორის, ერთ სახელწოდებასაც აეხადა ფარდა.

როგორც ზემოთ მოვახსენიეთ, ჩალამძივი XVII საუკუნემდე უნდა ყოფილიყო საქართველოში გავრცელებული და, ჩვენი აწმენით, ჯერ აქარაში უნდა მოეკიდა ფეხი. ამ მცენარის არსებობა შეიძლება აქარლების გამუსლიმანებასთან იყოს დაკავშირებული შემდეგი მოსაზრებით.

ქრისტიანი საერთოდ წარმოადგენს საკულტო საგანს, რომელიც ლოცვის გასამეორებელი სიტყვებისა და მუხლის მოღრევის თვლისათვის იხმარება. იგი მიღებული იყო როგორც ქრისტიანთა ტაძარში, ისე შავმაღიანთა და ბულისტების სამლოცველოებში.

თვით ქართული სიტყვა „კრიალოსანი“ ბერძნულ „კირიე ელეისონ“-ისა-გან არის წარმოქმნილი, რაც „უფალო შეგვიწყალე“-ს ნიშნავს.

როგორც პროფ. ა. შანიძე განმარტავს [17], ქართული სახელი „კრიალოსნის“ ასეთი წარმოშობა იმით აიხსნება, რომ ეს სიტყვები კულტის მსახურს ეკლესიაში რამდნიმეჯერ უნდა ეთქვა ზედიზედ, ზოგჯერ 12-ჯერ და 40-ჯერაც. რადგან გუნებაში თვლა ზუსტად 12-მდე, მით უმეტეს 40-მდე, მეტად ძნელი იყო, შეცდომის თავიდან ასაცილებლად კრიალოსნის მძიებებს იშველიერდნენ. ყოველ თქმისას კრიალოსნის თითო მძიეს ჩაგდებდნენ და, როდესაც წინასწარ გამოიყოლი მძიები გათავდებოდა, ლოცვის განმეორება საჭირო რომენობით დასრულებული იყო.

ქრისტიანთა ტაძრებში ამას თვით კულტის მსახური იმეორებდა, ხოლო მუსლიმანებისათვის, რომლებიც ტაძრის გარეშეც დღეში 5-ჯერ ლოცვულობდნენ და სამ ლოცვას თითოს 33-ჯერ და სულ 99-ჯერ იმეორებდნენ¹, კრიალოსანი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

თავისთვალ ცხადია, რომ შეძლებულ კლასებს ძვირფასი კრიალოსანი (ქარვის, გიშრის) ექნებოდათ, ოლო ღარიბი მოსახლეობა იძულებული იყო.

¹ კრიალოსანი 99 მძიებისაგან შედგებოდა და თითოეული 33 მძიები გამოიჯული ყოფილა ე. წ. „იმამით“ ე. ი. უფრო მსხვილი მძიებით ან სხვა საგნით. სამი ლოცვა: „სობან ალლა“, „ალჟამ დულლა“ და „ელაპე ექბერ“ უნდა გაემეორებინათ თითოეული 33-ჯერ,

უფრო ხელმისაწვდომი, იაფფასიანი კრიალოსანი გამოენახა და მან საკრისტო ლოსნო მასალა მცენარეები სამყაროში გამონახა.

საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან გავრცელდა ჩალამძივი ჩვენში, ლია რჩება. ცნობილი კი არის, რომ კრიალოსანი პირველად ინდოეთში შემოიღეს და საქართველოსა და სამუსლიმანოში აქვედან გავრცელდა.

საესებით შესაძლებელია, რომ პირველი პრიმიტიული კრიალოსანი საერთოდ *Coix lacryma-Jobi*-ს ნაყოფებისაგან იყო ინდოეთში გაკეთებული, ხოლო შემდეგ უფრო ძვირფასი მასალიდან ასხმული კრიალოსნები შემოვიდა.

საქართველოში, ჩალამძივი, ალბათ, ერთ-ერთ სამუსლიმანო ქვეყნიდან გავრცელდა და შესაძლებელია მექიდან, სადაც აჭარლები დადიოდნენ და ჩალამძივის თესლი იქ შეიძინება.

გაგრამ შესაძლებელია, რომ ჩალამძივი ჩვენში სამკაული მძივის სახით შემოვიდა, ასეთ სამკაულებს დღესაც ვხვდებით საინგილოში, სადაც ეს მცენარე მხოლოდ ამ მიზნით ითესება.

ჭყიმა-მხალი

Anthriscus cerefolium (L.) Hoffm. Gen. Umbell. 1814; — *Scandix cerefolium* L. Sp. pl. 1753; — *Chaerophyllum sativum* Lam. Encycl. I, 1789; — *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm. ssp. *sativum* (L.) Kos.-Pol. Зонтичные во флоре Азиатской России, 1920.

ქოლგოსანთა ოჯახის დაბალი ტანის (იხ. ფოტოსურათი № 4), დაახლოებით 25—60 სმ სიმაღლის, ძალიან ნაზი ერთშლოვანი მცენარეა, რომელიც განიჩევა თითქმის მჯდომარე გვერდითი თეთრყვავილინი ქოლგებითა და ვიწრო, გრძელი, 11—13 მმ სიგრძის, ნისკარტიანი, ზიშველი ნაყოფებით. ფოთლები ძალიან ნაზი აქვს, 2—3-ჯერ ფრთისებრ. დაკვეთილი, სურნელოვანი.

გარეგნული შეხედულებით ძალიან მოგვაგონებს ჩვენში ტყის პირებზე ღობების ძირში გავრცელებულ, გენეტიკურად ახლო მდგომ სახეობას, რომელიც ჩალამზარას სახელითაა (*Anthriscus trichosperma* Schult) უმთავრესად აღმ. საქართველოში ცნობილი.

Anthriscus cerefolium (L.) Hoffm., როგორც კულტურული, ბოსტნებში დათესილი, ჯერ კიდევ 1939 წელს ვიზოვეთ გურიაში. ამ სახეობის კულტურის მიზანს შეადგენს ნაზი, არომატული ფოთლები, რომელთაც აღგილობრივი მოსახლეობა მხლად იყენებს წლის იმ დროს, როდესაც ველური მხალი უკვე მოლეულია ან ჯერ არაა ამოსული.

როგორც ჩანს, კუიმა-მხალი, ან, როგორც მას გურიაში უწოდებენ, „ჭყიმა“ ანუ „ჭყანა“, აქ ისპანახის მაგიკობას სწევს. ამ უკანასკნელმა კულტურამ, მრავალჯერ ნაცალმა, გურიის პირობებში მეტად წყლიანი ფოთლები განივითარა, დაავადდა და ამიტომ ფეხი ვერ მოიკიდა.

Anthriscus cerefolium (L.) Hoffm., მთელს გურიაში საქმარისად ფართოდა კულტურაში გავრცელებული, ხოლო გურიის გარეშე იგი ჩვენში არც კულტურული, არც რუდერალური მცენარის სახით არსად არ გვხვდება, მიუ-

ხედავად კავკასიის ფლორის თანამედროვე მკვლევრების მონაცემების მიხედვით
დაც ჩვენ ქვემოთ გვექნება უფრო დაწვრილებით მოხსენებული. პირველი გვ. 1
ჩვენი კვლევა-ძიება აღმოგვეჩინა ამ მცენარის კულტურა საქართველოს
სხვა კუთხეებში — უნაყოფოდ დამთავრდა. *A. cerefolium* ისევე, როგორც
გურიის მეორე, ქვემოთ განხილული კულტურა „ონჭო“ — *Satureia spicigera*
C. Koch, ლოკალური კულტურაა, ჩვენში მხოლოდ გურიისათვის აღნიშნული.



№ 4. ჰყიმა-მხალი — *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm.

გურიაში ჰყიმა-მხალი მეტად მიღებულ, ყველაზე უკეთესი ლირსების
მხალად ითვლება და საქმარისად პოპულარული იყაა. თუ ყველა მოსახლეს არა,
2—3-ში ერთს მაინც აქვს ბოსტანში მოყვანილი.

მის მოსაყვანად მცირეოდენ დაჩრდილულ ადგილს არჩევენ, ნაკელით
კარგად აპატივებენ, ბარავენ და ზერელედ თესავენ. თესვა აგვისტოდან დაწ-
ყებული, ყოველ 2—3 კვირაში ხდება და თვენახევარსა და ორი თვის განმავ-
ლობაში უკვე გამოსაყენებელ მწვანეულს იღებენ. კულტურის აგროტექნიკა

ისეა გათვალისწინებული, რომ გვიან შემოდგომას, ზამთარსა და აღრიცხულება ხულხე, ე. ი. იმ დროს, როდესაც ველური მხალეულის მოპოვების შეზუალებულება არაა, კუიმას მწვანე მასა განვითარდეს.

სათვესლედ დატოვებული მცენარე ყვავილობას აპრილსა და მაისში იწყებს, ხოლო თესლურების საბოლოო მომწიფება გაზაფხულის პირველ ნახევარში ხდება და აგვისტოში კვლავ ითვება.

თავისთავად ცხადია, რომ ვეგეტაციის განმავლობაში კუიმა-მხალი რამდენიმეჯერ იმარგლება.

როგორ ჩანს ლიტერატურულ წყაროებიდან [25, 35, 80], დასავლეთ ევროპაში *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm. კულტურაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ხოლო საბჭოთა კავშირში იმდენად მცირედ, რომ იგი არც კი მებოსტნების უკანასკნელი წლების სახელმძღვანელოებში მოხსენებული [47, 49]. ყველგან აქ ეს ბოსტნეული სალათის სახით და, ვითარცა არომატული მცენარე, საჭმლის შესაქმნად იხმარება.

ი. ბეკერ-დეგლინგენის [25] ცნობების თანახმად, ამ ბოსტნეულის კულტურის აგროტექნიკა დაახლოებით ისეთივეა, როგორც გურიაში შემოღებული, იმ განსხვავებით, რომ, მაგალითად, გერმანიაში (და ალბათ სხვაგანც) იგი გაზაფხულზედაც ითვება.

საკეირველია, რომ საქართველოში *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm.-ის კულტურის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობები არ მოიპოვება. განსვენებულ იყ. ჯავახიშვილს თუმც აქვს „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ II წიგნში კუიმა მოხსენებული, მაგრამ ეს ცნობები, ველურსა და სულ სხვა ლატინური სახელწოდების მცენარეს ეხება.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ მცენარის კულტურის შესახებ რაიმე წერილობითი ცნობები რომ ყოფილიყო, ან კუიმას მართებულ ლათინურ სახელწოდებისათვის რომ მიეგნო ჩვენ მხცილეან ისტორიკოსს, ამ მცენარის კულტურის ისტორიასა და სადაურობის საკითხს უსათუოდ გაგვიშუქებდა, როგორც ეს მრავალი ბოსტნეული მცენარის შესახებ აქვს ზემომოხსენებულ შრომაში გაკეთებული.

ივ. ჯავახიშვილი, უშინარეს ყოვლისა, კუიმას და ჩალამბარას აიგივევებს, ეკონომიკური ისტორიის II წიგნის მე-224 გვერდზე ავტორი სათაურშივე წერს: „კუიმა, ანუ ჩალამბარა-ო, რაც ჩვენი გამოკვლევის თანახმად, ვერ დასტურდება.

კუიმა ანუ კუიმა-მხალი წარმოადგენს *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm., ხოლო ჩალამბარა — მეორე, მსგავს სახელბას, რომელიც ლათინურად *Anthriscus trichosperma* Schult.-ით აღინიშნება.

ივ. ჯავახიშვილი [23] ემყარება რაც. ერისთავის ლექსიკონს, სადაც კუიმა და ჩალამბარა მართლაც სინონიმებადაა ჩათვლილი, მაგრამ რ. ერისთავს [1] სიტყვა კუიმა, რომელსაც მისი უმართებულო სინონიმიც აქვს მიწერილი, პირობითი ნიშნით აქვს მოხსენებული, რაც იმის მაუწყებელია, რომ ავტორი არ არის დარწმუნებული იმ შესატყვისობის სისტორიში, რომელიც *Archangelica officinalis*-ის სახელითაა მოყვანილი.

მცდარ გზაზე დაუყენებია ჩვენი ექონომიური ისტორიის მკეთრებული პროფ. ზ. ყანჩაველსა და აღ. როლოვსაც, რომელთაც ჭყიმა *Anthriscus silvestris*-ად აქვთ განმარტებული [59].

გაუგებრობაში ჩავარდნილი მკელევარი აღნიშნავს, რომ „ბოტანიკურად ეს საკითხი ჯერ კიდევ ზედმიწევნით გარჩეული და გადაწყვეტილი არ ჩანს. მისი გამორკვევა ბოტანიკოსების საქმეა, რომელთაც ცნობების ადგილობრივ შეკრებით შეუძლიანთ გადასწყვიტონ, ქართველი ჭყიმას *Angelica*-ს, თუ *Anthriscus silvestris*-ს უწოდებს“.

ამჟამად სრულიად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჭყიმა — *Anthriscus cerefolium*-ია, ჩალამბარა — *Anthriscus trichosperma*, ხოლო ჭყიმი („ი“-ზე დაბოლოებულ) — *Anthriscus silvestris*-ს წარმოადგენს.

ეს ცნობები ხალხშია შეკრებილი, რამდენიმეჯერ დადასტურებული და ასევეა ჩვენ ლექსიკონშიც [3] შეტანილი.

საბა ორბელიიანსაც [10] თავის „ქართულ ლექსიკონში“ ჩალამბარა და ჭყიმა, ეს ორი მეტად მსგავსი სახეობა, გაიგივებული აქვს.

უნდა ითქვას, რომ ჩალამბარა (*A. trichosperma* Sch.) და ჭყიმა (*A. cerefolium* (L.) Hoffm.), მხოლოდ მით განსხვავდებიან ერთომეორისაგან, რომ ჩალამბარას თესლურები მოკლე მოთეთრო ჯაგრითაა მოფენილი, რაც ლათინურ სახელწოდებაშიცაა გამოსახული. როგორც უმდეგში უფრო დაწყრილებით იქნება მოხსენებული, ჭყიმა მხოლოდ კულტურაში გვხვდება, მაშინ როდესაც ჩალამბარა ველური სახეობაა, ფართოდ გავრცელებული ტყის პირებში, ბუჩქნარებსა და მეორეულ ადგილსამყოფელში.

ამ ორი სახელწოდების გაიგივება და, მაშასადამე, ორი სახეობის სინონიმებად მილება საბა ორბელიიანის დროს სავსებით შესაძლებელი იყო. მით უმეტეს, რომ წარსული საუკუნის ბოტანიკოსებიც კი *A. trichosperma*-ს სთვლიდნენ *A. cerefolium*-ის სინონიმად.

საბა ორბელიიანის ლექსიკონის ერთ-ერთ შემავსებელს სიტყვა ჩალამბარას შემდეგ ფრჩხილებში მიწერილი აქვს: „სტაფილოს უგავს ფოთოლები, ძირი ნიახურისა. ამის ფოთოლს მხლად ხმარობენ გლეხნი“-ო.

ამ განმარტებაში ჩვენთვის ორი მომენტია საინტერესო. ერთი მხრით ის, რომ საბას დროსაც ჭყიმა მხლად იხმარებოდა, ხოლო მეორე მხრით ის გარემოება, რომ ლექსიკონის შემავსებლის ზემომოყანილი განმარტება სიტყვა ჩალამბარს აქვს მიწერილი, რაც იმას გულისხმობს, რომ ჩალამბარაც საბას დროს მხლად იხმარებოდა. ეს ჩვენ დაგვჭირდება ქვემოთ, სადაც *Anthriscus cerefolium*-ის კულტურის წარმოშობის საკითხი იქნება განხილული.

კავკასიის ფლორის მკვლევრებს [31, 48] *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm., როგორც ველური და მთელ კავკასიაში ფართოდ გავრცელებული, არა ერთხელ აქვთ მოხსენებული, მაგრამ საკმარისია ყურადღებით გადაქსინვოთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული საპერბარიო ნიმუშები, რომებიც *A. cerefolium* (L.) Hoffm.-ის სახელწოდებით იყო აქმდე თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში დაცული, რათა დავრცელეთ, რომ ყველა ეს

ნიმუში ძველებურად, ე. ი. უმართებულოდ იყო აქამდე გამორკვეული, ზოლო ამჟამად იგი უკვე სწორი წარწერითა — A. trichosperma Schult.-დ ზეცილილი.

ორი ეგზემპლარი, რომელიც A. cerefolium-ის სწორი წარწერით საქ. სახ. მუზეუმის ბოტანიკის განყოფილების ჰერბარიუმშია დაცული, გურიაშია ნაპოვნი და მართებული გამორკვეული.

1939 წელს ეს მცენარე ჩვენც ვიძოვეთ (ქ. მახარაძესა და სოფ. შემოქმედს შორის) და იდავე დღეს, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, ადგილობრივი მოსახლეობის ბოსტნებში მის კულტურასაც წაგაწყდით.

როგორც მოსახლეობის გაპკითხვიდან გამოირკვა, კუიმა-მხალი უხსოვარ დროიდანვე ყოფილა ჭყიმას სახელწოდებით კულტურაში შემოლებული, ხოლო, ბოსტნებიდან გასული, სარეველა მცენარის სახით იგი გზის პირებსა, ლობეების ძირში და ამგვარ ადგილებშია მცირეოდენ გავრცელებული და, ალბათ, საქ. მუზეუმში დაცული ზემოხსენებული ეგზემპლარებიც ასეთსავე რუსერალური ადგილებიდან იყო აღებული.

ჩვენი გულმოდგინე ცდები გვენახა სადმე ჰერბარიუმებში, როგორც თბილისში ისე მის გარეშე, კავკასიაში შეკრებილი ველური ეგზემპლარები, ან ბუნებაში გვენახა იგი ცოცხლად, თუგინდ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ თბილისის მიდამოებში, რომლისათვის იგი რამდენიმეჯერ იყო მოხსენებული — უშედეგოდ დამთავრდა და ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ A. cerefolium საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, მიუხედავად კავკასიის ბოტანიკოსების მონაცემებისა, ველურად არსად იზრდება, ხოლო მისი ნახევრად გაგარეულებული ფორმების ნახვა შესაძლებელია მხოლოდ იმ კუთხეებში, სადაც მის კულტურას მისდევენ.

ცხადია, რომ ასეთი ნახევრად ველური ეგზემპლარების ნახვა, სარეველა მცენარის სახით, ჩვენში შესაძლებელია გურიის გარეშეც, იქ, სადაც ამ მცენარის კულტურას მისდევენ, მაგრამ მისი მასობრივი კულტურა, როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით მარტო გურიიდანაა ჩვენთვის ცნობილი.

საქართველოში აბორიგენული კულტურული მცენარეების არსებობა, ერთი მხრით, და ჩვენი ხალხის მისწაფება მხალეულისა და სურნელოვან მცენარეებისადმი მეორე მხრით, თავდაპირველად ერთგვარ საბუთს გვაძლევდა გვეზიქრა, რომ A. cerefolium-იც წარმოადგენს ველური ბუნებიდან შეთვისებულს, ადგილობრივი წარმოშობის კულტურას, ისევე როგორც, მაგალითად, სამეგრელოში ყვალმინთა — Mentha longifolia (L.) Huds., გურიაში ონკო — Satureia spicigera (C. Koch) Boiss., ჯავახეთში უნგრული ცერცვალი — Vicia pannonica Jacq.

ასეთი ვარაუდი დასაშვები იყო მით უმეტეს, რომ Anthriscus-ის ზოგიერთ ველურ ფორმას, რომელთა უმეტესობა ჭყიმისა და ჩალაბბარას სახელწოდებითაა ცნობილი, ჩვენი მოსახლეობა, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ხმარობდა და დღესაც იყენებს საჭმელად, მაგრამ უმს.

მაგრამ, როგორც მოვიხსენიეთ, A. cerefolium საქართველოში ველურად არ იზრდება და არა მარტო ჩვენში, არამედ, როგორც ეს ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა [43, 80], საერთოდ არ უნდა არსებობდეს ველურ

პირობებში მიუხედავად იმისა, რომ ა. დეკან დოლი, რომელსაც ექვემდებარებული კულტურულ მცენარეთა წარმოშობის შესახებ ცნობილი შრომა [35], ცვლურებული ა. cerefolium-ის გავრცელების არეალად სთვლის ყირიმს, რუსეთის სამხრეთში. ნაწილს, ზომიერ აზის, კავკასიასა და ჩრდ. ირანს.

აგტორის ეს ცნობები ლიტერატურულ წყაროებზეა დამყრებული, უმთავრესად კი ქ. სტევენისა [79] და ე. ბუასიეს [69] ცნობილ, ხოლო სადღეისოდ სამარისად მოძველებულ შრომებზე, რომლებშიც A. cerefolium და A. trichospermum აგრძელებული სინონიმებადაა ჩათვლილი.

პირიქით, ახალ აგტორებს ა. თელუნგსა [80] და ბ. კოზო-პოლიანსკის [43] ეს სახეობა მოჰყავთ მხოლოდ როგორც კულტურული და არა როგორც ველურ პირობებში არსებული. როგორ და რატომ იყო აქემდის Anthriscus cerefolium კავკასიის ფლორის ახალ ლიტერატურაში შერჩენილი, როგორც ველური მცენარე, გაუგებარი რჩება.

თუ A. cerefolium-ის სახელწოდებების სინონიმებს ლიტერატურული წყაროებით კვალდაკვალ მივყებით, დავინახათ, რომ იგი პირველად Chaerophyllum sativum-ის სახელწოდებითაა, როგორც კულტურული მცენარე აღწერილი ჯერ კიდევ კ. ლინეს წინადროინდელ ბოტანიკოსის კ. ბოჭენის [58] მიერ და ეს ლითინური სახელწოდება უკვე გვიდასტურებს იმ აზრს, რომ დასავლეთ ევროპაში ეს მცენარე თავდაპირეულად ცნობილი ყოფილა უმთავრესად, როგორც კულტურული, ხოლო ამჟამად, ა. თელუნგის მიხედვით [80], უკვე ყველა კონტინენტზე ყოფილა (ავსტრალიის გარდა) კულტურაში შემოლებული, როგორც ბოსტნეული, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მეტწილად სალათად იხმარება და აგრეთვე როგორც საჭმლის არომატიზატორი. ყველგან, სადაც კი იგი კულტურაშია შემოლებული, ირგვლივ, ისევე როგორც ჩვენშიც, სხვა მრავალი კულტურის მსგავსად, სარეველა მცენარის სახითაც გვხვდება.

გაშასაღამე, Anthriscus cerefolium თავისი გავრცელების მთელი არეალის ფართობზე ცნობილია მხოლოდ როგორც კულტურული და არა ველური მცენარის სახით, როგორც ეს კავკასიის ფლორისა და სხვა აგტორებს აქვთ აღნიშნული [31, 48, 43].

ა. გროსჰეიმს [29] თავის უკანასკნელ, 1949 წელს გამოსულ შრომაშიც Anthriscus cerefolium (L.) Hoffm. კვლავ მოჰყავს, როგორც რუდერალური მცენარე, ყოველივე განმარტების გარეშე (რომ იგი კულტურულია და ჩვენში მისი კულტურის რაიონში გვხვდება), როგორც ეს სხვა კულტურული მცენარეების მიმართ აქვს აღნიშნული.

რაც შეეხება ამ მცენარის კულტურის ისტორიისა და წარმოშობის საკითხს, მას შორეულ წარსულში მივყავართ.

თანახმად ლენცის [76] ცნობებისა ძველ მწერალთაგან მას პირველად კოლუმბე და პლინიუსი იხსენიებენ, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისშივე A. cerefolium რომში უკვე კულტურაში ყოფილა ცნობილი.

ა. დეკან დოლის [35] აზრით რომაელებმა და ბერძნებმა ეს კულტურა გევრად უფრო ადრე შემოიღეს, მაგრამ ვისგან იყო იგი ბერძნების მიერ

შეთვისებული და საერთოდ ამ კულტურის სადაურობის საკითხის განვითარების მიზანით აქვს დატოვებული.

როგორც ჩანს ლიტერატურული წყაროებიდან და აგრეთვე ჩვენ მოერ გადასინჯულ საპერბარიო მასალიდან, *Anthriscus cerefolium* წარმოადგენს სახეობას, რომელიც აღამიანის ზეგავლენითაა კულტურაში ჩამოყალიბებული. უახლოესი ველური, უფრო პრიმიტიული ფორმა, საიდანაც უნდა წარმოშობილიყო ეს სახეობა, უსათუოდ ზემოხსენებული ჩალამბარაა, ე. ი. *Anthriscus trichosperma* Schult., რომელიც, როგორც ზემოთაც ენახეთ, *A. cerefolium*-ისაგან მხოლოდ და მხოლოდ ნაყოფზე მოფენილი თეთრი მოკლე ჯაგრით განსხვავდება, რაც, როგორც ცნობალია, ზოოქორულ დანამატს წარმოადგენს. კულტურის ზეგავლენით ამ ჯაგარმა ეტყობა ატროფია განიცადა და ახლად წარმოშობილმა სახეობამ *A. cerefolium*-მა ჯაგართან ერთად დაკარგა ბუნებრივი გავრცელების საშუალება და ველურ ცენოზებში მონაწილეობის უნარი.

ბუნებრივი გავრცელების საშუალებათა დაკარგვა გარემო პირობების ზეგავლენით, განსაკუთრებით ველური ადგილსამყოფელიდან კულტურულ პირობებში გადასვლის ზემთხვევაში, არ არის იშვიათი მოვლენა. ასეთი რამდენიმე ზემთხვევა სეგეტილურ მცენარეთა სამყაროდან გამოქვეყნებული აქვს ნ. ცინგერს [66] და აგრეთვე ჩვენ [88].

ამ შრომებში მოყვანილ მცენარეთა მაგალითებზე კარგად ჩანს ერთი მხრით ის, თუ რა ცვლილებებს განიცდის ორგანიზმი ახალ ადგილსამულობელოს ზეგავლენით, რაც ზემდეგში იმავე ადგილსამფლობელოს პირობებში მემკვიდრეობით გადადის, ხოლო მეორე მხრით ის, თუ როგორ კარგად სორგანიზმი ხელოვნურ ცენოზებში (ნათესებში) ბუნებრივი გავრცელების სამარჯვეებს (ფრთას, ეკლებს, ჯაგარს და სხვ.) და აღამიანის ლონისძიებათა ზეგავლენით იძენს კულტურულ მცენარეების ნიშანთვისებას.

ჩვენი რწმენით, ანალოგიური ზემთხვევა ჩვენ გვაქვს ჩალამბარასა და ჭყიმას მაგალითის შემთხვევაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭყიმას, *Anthriscus cerefolium*-ის გენეტიკურად უახლოესს, უფრო პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენს ჩალამბარა — *Anthriscus trichosperma*.

მიუხედავად იმისა, რომ *A. trichosperma* უფრო ძველი და უფრო პრიმიტიული ფორმაა, მეცნიერებისათვის იგი უფრო გვიან გახდა ცნობილი, მისი ზედარებით ვიწრო გეოგრაფიული გავრცელების არეალის გამო. იგი გავრცელებულია საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში (ყირიმში, კავკასიაში, კოპეტ-დაგის ქედზე), ხოლო მის გარეშე — წინა აზიაში, არეალის მთელ ფართობზე. როგორც აღვნიშნეთ, იგი მეტწილად ტყის პირებში, ბუჩქებსა და მეორეულ ადგილსამყოფელებშია გავრცელებული.

ცხადია, რომ ამერად კულტურაში ფართოდ გავრცელებული *Anthriscus cerefolium*-ის სამშობლო უნდა ვეძოთ *A. trichosperma*-ს გავრცელების ზემოხსენებულ ფართობზე, სადაც საქართველოც შედის.

იმის თქმა, რომ *A. cerefolium* დასავლეთ საქართველოშია, ქვემოთ გვითხრული რნცის მსგავსად, პირველად კულტურაში შეტანილი, ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ვინაიდან *A. strichosperma* დასავლეთ საქართველოში სრულებით არ გვხვდება, იგი მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული, მაგრამ შესაძლებელია, რომ *A. cerefolium*-ის კულტურა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო, ხოლო შემდეგ იგი შეიცვალა ასეთივე აღრეული მხალით, ისპანახით, რომლის სამშობლოდ ირანი ითვლება.

ვინაიდან ისპანახი გურიის პირობებში ვერ გვირობს, მის ნაცვლად კულტურაში ჭყიმა-მხალი (*Anthriscus cerefolium*) დამკვიდრდა.

ამნაირად, *Anthriscus cerefolium*-ის კულტურის საღაურობის საკოთხი კვლავ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ონგრე

Satureia spicigera C. (Koch) Boiss. Flora orientalis, IV (1879) 566; *Micromeria spicigera* C. Koch in Linnaea, XVII (1843) 295.

საბჭოთა ცნობილი ბოტანიკისი, აკად. ვლ. კომაროვი თავის ერთ-ერთ შრომაში, რომელიც კულტურულ მცენარეთა წარმოშობის საკითხს [45] ეხება, აღნიშნავს, რომ ყველა მხარეს აქვს ბოსტნეულის თავისი საკუთარი კომპლექსი, რომელიც მოსახლეობას უყვარს და სხვა ბოსტნეულს, თუგინდ მეზობელ ქვეყნებში გავრცელებულს, იგი არ სცნობს. ველური მცენარეების გაკულტურების პროცესი, იმ მცენარეებისა, რომლებიც ამ მხრივ საიმედოა, ვლ. კომაროვის სამართლიანი შენიშვნით ჯერ არ დამთავრებულა და ეს საკითხი დიდი ყურადღების ღირსია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

დასავლეთი საქართველო ამ მხრივ მეტად საინტერესო მხარეს წარმოადგენს. კულტურულ მცენარეთა შემსწავლელი მკვლევარი აქ მართლაც ნახავს ბოსტნის მცენარეთა მეტად უცნაურ კომპლექსს, რომლის ნაწილი უცხო ქვეყნებიდანაა შეთვისებული, მაგრამ სხვანაირი გამოყენება აქვს, ხოლო მეორე მხრით მას ოვალში უჩვეულო მცენარეები ეცემა — ბორიგენული კულტურები.

სურნელ-სანელებელ მცენარეთა შორის, რომელთა მიმართ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებული მიღრექილება აქვს, გარდა ფართოდ ცნობილ ქოლგოსნებისა და ტუჩისნებისა, რაც მთელ საქართველოშია ფართოდ გავრცელებული და საჭმლის შესაქაშმად იხმარება, მკვლევარი აქ შეხვდება აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილს, მექსიკურ დეკორაციულ მცენარეებს როტლყვავილოვნთა ოჯახიდან — *Tagetes patula* L.-ს და ამავე გვარის მეორე სახეობას — *T. erecta* L.-ს, რომლებსაც ზაფრანის უმართებულო სახელშოდებით ამავე მიზნით, ე. ი. საჭმლის შესაქაშმად ხმარობენ ლ. დეკაპრელევიჩისა და ვლ. მენაბდის ცნობებით, რაჭაში იმავე ზაფრანის სახელშოდებით სანელებლის სახით აღისარჩული (*Carthamus tinctorius* L.) მოჰყავთ.

ჩენ ერთ-ერთ შრომაში [7] აღვნიშვეთ, რომ დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის ბოსტნებში მეტად ხშირია ე. წ. ულუ მბო ანუ ადგილობრივი სახელწოდებით უცხო სუნელი, რომელიც ევროპაში „მწვანე ყველის“ წარმოებაში იხმარება, ხოლო ჩენში საჭმლის შესაკაზმად მოჰყავთ.

ზემოხსენებული მცენარეები, როგორც ჩანს, უცხო ქვეყნებიდანაა შეთვისებული, მაგრამ ამასთან პარალელურად აგრეთვე ამორიგენულ კულტურებს ვხვდებით. ერთი მათგანი — ტყის პიტნა (*Mentha longifolia* (L.) Huds.) სამეგრელოში „ყვალმინთას“ სახელწოდებით სპეციალურად ყველის არომატიზაციისათვის მოჰყავთ, რაც აგრეთვე პირველად, ჯერ კიდევ 1929 წელს ჩენ მიერ იყო აღნიშნული [7].

აი, ასეთ მცენარეთა ჯაფას ეკუთვნის ჩენ მიერ გურიაში კულტურაში ნაპოვნი ონკო, რომელიც მოსახლეობას, ისევე როგორც ყვალმინთა სამეგრელოში, ყველის არომატიზაციისათვის მოჰყავს.


ზუსტი ბოტანიკური განსაზღვრით ონკო წარმოადგენს *Satureia spicigera* (C. Koch) Boiss.-ს.

ტუჩხასანთა ოჯახის *Satureia*-ს გვარი 132 სახეობითაა წარმოდგენილი და უმთავრესად ხმელთაშუა ზღვის მხარეშია გავრცელებული. ძელან საქართველოში ოთხი სახეობა გვხვდება, რომელთაგან ერთი, ქონდრის (*Satureia hortensis* L.) სახელწოდებით კულტურაშია საქართველოს გარეშე ფართოდ ცნობილი, როგორც ერთწლოვანი სურნელოვანი სანელებელი და ბოსტნებში გავრცელებული, ხოლო სამი დანარჩენი — ველურია. ამ ველური სახეობებიდან ერთი — ერთწლოვანია, ზემოხსენებული ქონდრის მონათესავე (*S. laxiflora* C. Koch), ამავე ქონდრის სახელით ცნობილი და კლდოვანსა და მშრალ ფერდობებზე ფართოდ გავრცელებული. ორი დანარჩენი სახეობა მრავალწლოვანია, რომელთაგან ერთი (*S. bzybica* G. Wor.) დაბალი ტანის ბუჩქს წარმოადგენს და მხოლოდ აფხაზეთის კირქვიანებიდანაა ცნობილი, ხოლო მეორე — ონკო მთელ დასავლეთ საქართველოს დაბლობისა და შუა სარტყლის. ტყის პირებში კლდოვანსა და ხრიოვ აღილებში მეტად უხვად არის გავრცელებული. ორივე სახეობას ქონდრის სპეციფიკური არომატი ახასიათებს.

Satureia-ს გვარიდან ჩენში აქამდე მხოლოდ ერთი სახეობა იყო კულტურაში ცნობილი, სახელდობრ ზემოხსენებული *S. hortensis* L., ხოლო ახლა მეორე სახეობა აღმოჩნდა — ონკო, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასობრივად გვხვდება დასავლეთ საქართველოში როგორც ველური.


ონკო, ანუ *S. spicigera* პირველად ბოტანიკოსმა კ. კოხმა აღწერა რაჭაში შეგროვილი ეგზემპლარების მიხედვით და გვარ *Micromeria*-ს მიაკუთვნა, ხოლო შემდეგ შევიცარელმა ბოტანიკოსმა ედ. ბუასიე მ ეს სახეობა გვარ *Satureia*-ში გაღაიტანა.

ეს ახალი კულტურული მცენარე (იხ. ფოტოსურათი № 5) წარმოადგენს დატოტიანებულ მრავალწლებან ბილახოვან მცენარეს, რომელიც აღწევს 50 სმ სიმაღლეს. ღერო მრავალია, სწორი, წამოწეული, ზოგჯერ მწოლირე, წვრილ-ტოტებიანი, უხვად შეფოთლილი. ფოთლები ვიწრო აქვს, მოყვანილობით ლანცეტა-ხაზური, ზოგჯერ თითქმის ხაზური, ქონდრის მსგავსი სუნით. ყვავი-



ლები ტოტების ბოლოებშია თავთავის მსგავსად ცალმხრივ თაგარებულები გვირგვინი თეთრია, იშვიათად მოვარდისფრო, 8—10 მმ სიგრძის; ჯამი ოდნავ ორტუჩაა, თითქმის შიშველი.

ყვავილობს ივლისიდან დაწყებული ოქტომბრამდე, მასობრივი ყვავილობა აგვისტო-სექტემბერშია.



№ 5. ონჭო — *Satureja spicigera* (C. Koch) Boiss.

ველურად, როგორც უკვე აღნიშნეთ, უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მთის ქვედა და ზუა სარტყელშია გაურცელებული ტყის პირებსა და ნატყევარ ადგილებში, უპირატესად კლდოვანსა და ხროვკ ადგილებში. დასავლეთ საქართველოს ფარგლების გარეშე იგი გვხვდება ბორჯომის ხეობაში,

შესხეთში და საბჭოთა კავშირის გარეშე მცირეოდენ ჭანეთში გადადის ქრისტიანული თადად მისი არეალი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს, იგი კრისტიანული ელემენტია, თითქმის ენდემური საქართველოსათვის.

ველურ პირობებში ონჭო განსაკუთრებული სიუხვით იმერეთში, რაჭასა და ლეჩებულში გვხვდება. ამ მცენარის მასობრივი გავრცელებით აიხსნება და-სავლეთ საქართველოში ისეთი გეოგრაფიული პუნქტების არსებობა, როგორიცაა ონჭევი ონის რაიონში, ორი სოფელი ონჭევიში ქუთაისის რაიონში და კვლავ ორი სოფელი ონჭიქეთის სახელწოდებით ჩოხატაურის რაიონში [12].

ეს სახელწოდებანი ჩვენი აზრით „ონჭოდან“ უნდა იყოს ნაწარმოები. მაგრამ საკვირველია, რომ იქ, საღაც ეს მცენარეა ველურად გავრცელებული, სახელწოდება ონჭო არ გვხვდება, ამ მცენარეს აქ „ტყის ქონდარს“ უწოდებენ, სახელწოდება ონჭო კი მხოლოდ გურიაშია დაცული.

ხომ არ ყოფილა ეს მცენარე ამ სახელით ძველად კულტურაში უფრო ფართოდ გავრცელებული, ვიდრე ახლაა?

აქ საინტერესოა ზემოხსენებული დასახელებული პუნქტის ონჭეიში სახელწოდება, რომელიც ჭანურ-მეგრულად (ა. ჩიქობაგას კონცეპციით — ზ. ა-ნურად) ულერს. სიტყვის დაბოლოება ში ჭანურ-მეგრულში ნათესაობითი ბრუნვისა და ქართულში უდრის ისა-ს, მაგალ., სახელწოდება ჯიხა-იში, რომლის ჭანურ-მეგრული წარმოშობა უეჭვა, ქართულად ციხისა-ს ნიშნავს. სავსებით შესაძლებელია, რომ ონჭეი-ში ჭანურ-მეგრულში ოდესლიც არსებული სახელწოდების — ონჭოდან (ან ონჭედან) იყოს წარმოებული.

სახელწოდება „ონჭო“ საბა თრბელიანის [10] ლექსიკონში არ მოიპოვება. იგი მხოლოდ რ. ერისთავის [1] ლექსიკონის ბოტანიკურ ნაწილშია მოხსენებული და ამ წყაროდან დ. ჩუბინაშვილის [19] მიერ თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში შეტანილი.

რ. ერისთავს ონჭო განმარტებული აქვს როგორც ცებეც, რაც ლათინურ Thymus-ს უბასუებებს, ხოლო მეორე რუსულ შესატყვისად ლექსიკონის ავტორს მოჰყავს სიტყვა დუშევიკ (უნდა კი იყოს დუშევიკ), რაც Calamintha acinos-ს გულისხმობს.

ამნაირად, რ. ერისთავს და, მაშასადმე, დ. ჩუბინაშვილისაც სახელწოდება ონჭო უმართებულოდ აქვთ განმარტებული. როგორც ამ სახელწოდების გვერდით დართულ პირობითი ნიშნიდან ჩანს, რ. ერისთავი თვითონ არ ყოფილა მის განმარტებაში დარწმუნებული.

წარმოდგენილი თემისათვის გამოყენებულია საქართველოს შემოცილება ზოოლოგიის განყოფილების და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრისა და ზოოლოგიის მუზეუმის კოლექციები, თბილისის ზოოპარკის მიერ სხვადასხვა დროს შეძენილი ექსპონატები, პირად დაკვირვებათა შედეგები და სათანადო ლიტერატურა, რომლის სია თან ერთვის.

საქოთხის განხილვა

I. ხელივაზი (SAURIA)

1. ხელთაშუაზღვის თითოეული გეკონი (Gymnodactylus kotschyai Stein)

ამ სახეობის გეკონი ნიკოლსკის [8, 10] გაღმოცემით ბინადრობს ართვინისა და არტანუჯის მიდამოებში. ტერენტიევი და ჩერნოვი [18] შესაძლებლად სთვლიან მის არსებობას აქარაში, თუმც საამისო დამადასტურებელი ცნობები დღემდე არ არსებობს.

2. კავკასიის ჯოჯო (Agama caucasica Eichw.)

კავკასიის ჯოჯო ანუ აკამა ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. ნიკოლსკის [8, 10] ცნობით საქართველოში იგი გვხვდება „თბილისის, ავჭალის, აბასთუმნის, ლაგოლეხის, აშურის, კოჯორის, ბორჯომის, მარტვილელდის, გორის მიდამოებში“. ამ ავტორის თქმით ჯოჯო სურამის ქედს დასავლეთით არ სცილდება [8, 10], რასაც შემდეგში აღასტურებენ ტერენტიევი და ჩერნოვი [18]. შუგუროვს [19] თბილისის მიდამოებში ჯოჯოს გავრცელების ადგილებად დასახელებული აქვს „ქვემო წყნეთი, ღრამა-ლელე, ხევდარი, მუხათვერდი, ბურგოვანი, ხატის თელეთი, ნავთლური, ტაბახინანა, ტაბახშელა, ქორილლი, კაბენის მონასტერი, წმინდა გორგის ეკლესიის ნანგრევები და ხუდალოვის ტყე“. როსტომბეკოვს [15] ამ ადგილებს გარდა თბილისის მიდამოში ჯოჯო მოუპოვებია „სოლოლაკის მალობშე, თელეთის ქედზე, დავითის მთაზე, საბურთალოში, მცხეთაში“.

კუტუბიძის [21] გაღმოცემით კავკასიის ჯოჯო კასპის რაიონის შემდეგ აღგილებში გვხვდება: „ს. ფაშიანი, კოლბანის მთა, პანტაგრია, კვერნაკის მთა“. ხოლო იმავე ავტორის [21] მონაცემებით გორის რაიონში ეს ქვეწარმავალი მოიპოვება „გორის ციხეში, გორი-ჯვარში, ხიდისთავში, გრავალში, მდ. ტანას სანაპირო ქედებზე, ატენში — სიონის ეკლესიის მიდამოებში, ბოჭურში, კვერნაკის ქედზე კასპის მიმართულებით... უფლისციხეში“.

გარდა ზემოაღნიშულთა კავკასიის ჯოჯო გვხვდება მდ. ვერისა და ვარაზისშევის შესართავთან კლდეში, სადაც ჩერნ მიერ (1933 წელს) ერთი საათის განმავლობაში 60 ეგზემპლარი იყო მოპოვებული, ქორქის ტბაზე, ახალდაბასთან, წავისთან, შინდისთან, ნორიოში, ლილოში, მლაშე ტბებთან, გომბორის ქედზე, კერძოდ უჯარმასა და ხაშმს შორის მიდამოში იყრის სანაპირო კლდეებზე, მუხრანოვანთან, უდაბნოში, ალაზნის სანაპირო კლდეებზე (შირაქთან)-

მრავალრიცხოვანად მოიპოვება ჯოჯო ძეგვთან და გრაფალთან, შემდეგ იგი მასობრივად ბინაღრობს მტკვრის სანაბირო კლდეების თითქმის ყველა ნაპრალსა და ხერელზი; შედარებით მცირე რაოდენობით იგი გვხვდება ახალქა-ლაქსა და გარიყულაში (კასპის რაიონი).

3. მრავალთაგა (*Phrynocephalus helioscopus* Pall)

ნიკოლსკის [10] ხელთ ჰქონია ერთი ეგზემპლარი, რომელიც თბილი-სიდან ყოფილა ოლნიშნული, რაც მას საეჭვოდ მიუჩნდება. შემდეგ თხზულებაში იგივე ნიკოლსკი [8] მრავალთაგას გავრცელების დასავლეთ საზღვრად თბილისს აღნიშნავს. როსტომბეკოვის [15] გადმოცემით „ეს ხელივი თბილისის მიღამოებში უდაოდ არა გვხვდება“. ტერენტიევი და ჩერ-ნოვი [18] მრავალთაგას გავრცელების არეალად ასახელებენ აღმოსავლეთ საქართველოს. მასალის სიმცირის გამო რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელი ხდება.

4. ფეხგრძელი სცინკი (*Eumeces schneideri* Daud)

ამ სცინკის გავრცელების არეალად ნიკოლსკი [10] აღნიშნავს მდ. იორის სანაბიროს, სამწუხაროდ ავტორი არ მიუთითებს ზუსტ ადგილმდებარებას. ტერენტიევი და ჩერნოვი [18] აღნიშნავენ მის გავრცელებას „დასავლეთით საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებიდან“. ჩვენი აზრით შესაძლებელია იგი მოპოებულ იქნეს სამკორის ველის აღმოსავლეთ უბანზე.

5. ზოლებიანი ხელიკი (*Lacerta strigata* Eichw.)

საქართველოს ფარგლებში ზოლებიანი ხელიკი საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. შუგუროვის [19] ცნობით იგი მრავლიდ მოიპოვება „ქუთას-თან, აჯამეთის ტყის მიდამში მდ. ყვირილის მახლობლად, გელათთან, მოწამეთან, ხარაგოულში, აჭარაში — ქედასთან, კობლიანთ ხევის სანაბიროზე აბასთუმნის გზატკეცილზე სადგ. ბენარის მახლობლად“. ნიკოლსკი [8, 10] იზარებს რა ზემოაღნიშნული იეტორის გაღმონაცემს, თავის მხრივ, ამ სახეობის ხელიკის გავრცელების არეალის სახით აღნიშნული იქნა „სიღნაღი, ბათუმი, თბილისი — ქორქის ტბა, გორსა და თბილისს შუა მიღამო, ბორჯომი, ლაგოდეხი, მცხეთა, აბაშია, ფოთი, წეველდა“.

შუგუროვი [19] ზოლებიანი ხელიკის თბილისის მიღამოებში გავრცელების ადგილებად გვისახელებს „ხევდმარს, ლართისეკარს, ლრმა-ლელეს, ახალდაბას, ტაშხარხანის ჩრდილო კალთებს, ზემო ავჭალის, მცხეთას, ილლუნიანს“. როსტომბეკოვის [15] თბილისის მიდამში ზოლებიანი ხელიკის გავრცელება ცნობილია „თელეთის ქედიდან, კოჯირიდან, ჭყნეთიდან, აგჭალი-დან, მცხეთიდან, ქორქის ტბიდან და ლისის ტბიდან“.

კუტუბიძის [21] ცნობით ზოლებიანი ხელიკი მრავლად გვხვდება კასპიასა და გორის რაიონებში. კერძოდ, ამ ავტორს ზოლებიანი ხელიკის მოპოვების ადგილებად დასახელებული აქვს „ჩინჩითა, ახალქალაქი, კაპრაშიანი, ჭყობიანი, გარიყულა, ნოსტე, მეტეხი, კავთის-ხევი, ეზარი, ერთა-ჭმინდა“.



ხოვლე, თეძამის ხეობის ქვემო წელი, ქვემო ხანდაკი, პანტიგორა, საღარები, მიღამოები, სამთავისი, მდ. ლეურას და ქსნის მახლობელი კულტურული ნათესები, თოვიანი, ჭალა, ივოეთი, გვალაჭალა, სადგურ კასპის მიღამოები (კასპის რაიონი), გორის ციხის მიღამოები, ძველ და ახალ სასაფლაოს მიღამოები, უფლისციხე, გრივალი, ხიდისთავი, ატენის ხეობა, ზემო ატენი, ქვემო ატენი, სიონი, ბოშური, გორიჯვარი, სკრა, ტინის ხიდის მიღამოები, შინდისი, ტყვიანი, კარალეთი, ქვახერელი, მეჯვრისხევი, მ. ლომისა და შისი მიღამოები, მდ. მეჯუდას სანაპიროები“ (გორის რაიონი).

გარდა აღნიშნულისა, ზოლებიანი ხელიკი გვხვდება სურამის მიღამოებში, ხაშურთან, წითელ წყაროსთან, შირაქში, ალაზნის ველზე, სართიჭალასთან, მუღანლოსთან, საცხენისთან, უჯარმასთან, მუხროვანთან, ამბარის ხეობაში, მ. ნატახტართან, ფაშატიანთ ხევში, ვაზიანის ველზე.

6. საშუალო ხვლიკი (*Lacerta media* Lantz et Cyren)

საშუალო ხვლიკი ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] მიხედვით მოიპოვება „საქართველოში, ... აფხაზეთში (პიცუნდის კონცხი)“.

სუხოვის [16] გადმოცემით ეს ხვლიკი ჩვეულებრივია საქართველოს-თვის. კუტუბიძის [21] მონაცემებით საშუალო ხვლიკი მოიპოვებულია გორის რაიონში, ხოლო თბილისის მიღამოებში „მასობრივად არის გავრცელებული“.

7. მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis* Linné)

საქართველოს ფარგლებში მარდი ხვლიკი საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ნიკოლსკის [8, 10] გადმოცემით იმ სახეობის ხვლიკი გვხვდება საქართველოს შემდეგ აღგილებში: „თერთი წყარო, სოხუმი, მუხრანი, ფოთი, ბათუმი, ტყიბული, მანგლისი, მახმუტლო (5400), ქობულეთი, წებელდა, ქუთაისი, აჯამეთი, ხარაგოული, მოლითი“. კნიაზევის [4] დასტურით მარდი ხვლიკი ბინაღრობს ტებერდის სახელმწიფო ნაკრძალში.

8. ართვინის ხვლიკი (*Lacerta derjugini* Nik)

ართვინის ხვლიკი ნიკოლსკის [8, 10] მიხედვით საქართველოში გვხვდება „აბასთუმანში, ბორჯომში, ბაკურიანში, მდ. ტანას ხეობაში (გორის მაზრა), ლაგოლებში, სანისლოში (ქუთაისის გუბ.)“.

ტერენტიევი [18] ართვინის ხვლიკის გავრცელების არეალიდ ზოგადად საქართველოს სსრ აღნიშნავენ, ხოლო ამავე ავტორთა ნაშრომშე დართულ რუკაზე ართვინის ხვლიკის გავრცელების ჩრდილო საზღვარი არ სცილდება ფოთს, რაც ერთგვარიდ ეჭინააღმდეგება ბარაჩის [1] ძითითებას ამ სახეობის ხვლიკის „სოფ. აშალაშართან (აფხაზეთის სსსრ)“ ზოპოვების შესახებ.

9. მდელოს ხელიკი (Lacerta praticola Evers)

კესლერის [3] ცნობით საქართველოში მდელოს ხელიკი მოიპოვება „არაგვის ხეობაში, უმთავრესად ინანურის მახლობლად“. ნიკოლსკის [8, 10] გადმოცემით ეს ხელიკი გვხვდება „მური-ლენტეხი-პარიში (სვანეთი), ბაკურიაში, სოხუმში, ბორჯომში, თიანეთში, წებელდაში“. როტსომბეკოვს [14] იგი შეხვედრია „გზაზე სოფ. აუარიდან სოფ. ქვედა ლათამდე“ (აფხაზეთი).

კუტუბიძის [21] გადმოცემით ამ სახეობის ხელიკი მოიპოვებულია „მეჯვრისხევში, მთა ლომისაზე და დიღი რაოდენობით სურამის მახლობლად კუდა ტყეში“.

10. წგრილი კლდის ხელიკი (Lacerta saxicola rudis Bedr.)

ნიკოლსკის [8, 10] დასტურით ეს ხელიკი გვხვდება „ქედასთან (აჭარა), ბათუმიდან, სურამის ქედის დასავლეთ კალთებზე, ჭოროხთან, ნაქალაქეში (სამეგრელო), სვანეთში (მური-პარი-ლენტეხი, მულახი), აჭარის აღმართი“. ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] გადმოცემით იგი მოიპოვება „ჭოროხის ხეობაში, აჭარაში, კავკასიონის მთავარ ქედის სამხრეთ კალთებზე სვანეთიდან ლაგოლეხამდე“.

11. ნარევი კლდის ხელიკი (Lacerta saxicola mixta Méh.)

ნიკოლსკის [10] თქმით ეს ხელიკი ბინადრობს აბასთუმანში. ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] მიხედვით ეს ხელიკი მოიპოვება „აბასთუმანში, ბორჯომის მიღამოებში“.

12. მუქი კლდის ხელიკი (Lacerta saxicola obscura Lantz et Cyren.)

ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] გადმოცემით ეს ხელიკი გვხვდება ბორჯომის მიღამოებში, ხოლო კუტუბიძის [21] იგი მოუპოვებია „ატენის ხეობაში და სიონის ეკლესიის მიღამოებში“.

13. კაფკასიის კლდის ხელიკი (Lacerta saxicola caucasica Méh.)

ნიკოლსკის [8] გადმოცემით კავკასიის კლდის ხელიკი მეჭელის მიერ აღწერილია იმ ეგზემპლარების მიხედვით, რომლებიც მოპოვებულია მლეთთან, არაგვის ხეობაში, ყაზბეგიდან, ლარსიდან, სვანეთიდან, სოხუმიდან. გარდა აღნიშნულისა იმავე ავტორის [8, 10] თქმით ეს ხელიკი გვხვდება „მანგლისში, ლაგოდებში, გუდაურში, აღაიხოხე, ფასანაურთან“.

ტერენტიევი და ჩერნოვი [18] ამ ფორმის გავრცელების ადგილების სახით აღნიშნავენ „კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილს და დაღისტანს“.



14. მცირე კლდის ხელიკი (Lacerta saxicola parvula Lantz et Cyren)

ტერენტი იევისა და ჩერნოვის [18] ცნობით ამ სახეობის ხელიკი საქართველოს ფარგლებში ბინადრობს სურამსა და აჭარაში. კუტუბი ძიებს [21] კასპის აიანოში, ჯავახაანთ ციხის მიღამოებში მოპოვებული ხელიკები ამ სახეობისათვის მიუკუთხნებია, მაგრამ მაინც კითხვის ქვეშ აყენებს საკითხს. ასეთივე ხელიკები ამავე ავტორს შეუგროვებია „ატენის ხეობაში, გორიჯვრის მიღამოებში და გორის ძველი სასაფლაოს მიღამოების კლდეებზე“.

15. პორჩინსკის კლდის ხელიკი (Lacerta saxicola portschinskii Kess.)

საქართველოს ფარგლებში პორჩინსკის ხელიკი მცირედაა გავრცელებული. შუგუროვის [19] ცნობით ეს ხელიკი გვხვდება „თბილისის მიღამოებში ყველაზა; არა ნაკლებ მრავალრიცხვოვანია იგი მცეთის მახლობლად“. ნიკოლ სკი [8, 10] აღნიშნავს ამ ხელიკის გავრცელებას იყვალისა და თბილისისათვის. ორსტომბეკოვის [15] გაღმოცემით პორჩინსკის ხელიკი გვხვდება თბილისის მიღამოებსა და ავჭალაში.

ამავე ქვესახეობას უნდა მიეკუთხნებოდეს ის ეგზემპლარებიც, რომლებიც ორსტომბეკოვს [15] თბილისის მიღამოებში მოუპოვებია და თავის ნაშრომში აღნიშნული აქვს L. s. de-filippi-ს სახელით.

ტერენტი იევისა და ჩერნოვის [18] მიხედვით ეს ხელიკი გავრცელებულია თბილისის მიღამოებში.

16. ბრაუნერის კლდის ხელიკი (Lacerta saxicola brauneri Méh.)

ბრაუნერის კლდის ხელიკის გავრცელების არეალი საქართველოს ფარგლებში მეტად მცირეა. ნიკოლ სკი [8, 10] გაღმოცემით იგი გვხვდება „გარაში, პერაშხოზე“, ხოლო ბარაჩის [1] თქმით იგი მოიპოვება დაბა „ბაგდაში და კანარაში (კოდორის ხეობაში).

ტერენტი იევისა და ჩერნოვის [18] ამ ხელიკის გავრცელების არეალად დასახელებული აქვთ აფხაზეთი.

ამავე ფორმას უნდა მიეკუთხნებოდნენ ის ეგზემპლარები, რომლებიც ორსტომბეკოვს [14] მოუპოვებია „ს. ლათის მიღამოში, მ. გვანდრას ძირში“, რომელიც თავის ნაშრომში L. s. saxicola-ს სახელით აქვს ნაჩვენები.

17. ჩერეულებრივი კლდის ხელიკი (Lacerta saxicola saxicola Evers)

ჩერეულებრივი კლდის ხელიკი ნიკოლ სკი [8, 10] გაღმოცემით გვხვდება ტებერდაში. კნიაზევის [4] თქმით ეს ხელიკი მოიპოვება ტებერდის სახელმწიფო ნაკრძალში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ კლდის ხელიკის (L. s. saxicola) ქვესახეობათა სისტემატიკა ჯერ კიდევ საბოლოოდ დამუშავებული არაა და ადვილი შესაძლებელია, რომ მათი უმრავლესობის მიმართ სათანადო შესწორებები იქნება შეტანილი, როგორც ტაქსონომიური, აგრეთვე გეოგრაფიული გავრცელების მხრივ.

18. მუცელმწვანე ხვლიერი (*Lacerta chlorogaster Boulen*)

საქართველოს ფარგლებში მუცელმწვანე ხვლიერი ნიკოლ სკის [8, 10] მიხედვით ცნობილია ლაგოლეხიდან, ხოლო ტერენტი იევისა და ჩერნო-ვის [18] თქმით ნიკოლსკის ეს მითითება შემოწმებას მოითხოვს. ამ საკითხზე არაფრის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია სათანადო მასალის უქონლობის გაძრა.

19. მოხდენილი გველთავა (*Ophiops elegans Ménét*)

საქართველოს ფარგლებიდან გველთავა, ნიკოლ სკის [8, 10] მიხედვით, ცნობილია თბილისიდან. აქვე იგი აღნიშნავს, რომ ეს ქვეწარმავალი გვხვდება „კასპიის ზღვიდან ართვინამდე“, ხოლო ტერენტი იევისა და ჩერნოვი [18] აღნიშნავენ მისი გავრცელების ერთ-ერთ უბნად აღმოსავლეთ საქართველოს.

20. გველხოკერა (*Ophisaurus apodus Pall*)

გველხოკერა საქართველოს ფარგლებში ფართოდაა გავრცელებული. გვხვდება იგი თითქმის ყველგან — ტყეში, ველზე, ყანებში, ბალვენახებში, აღამიანის სამოსახლოსთან. ნიკოლ სკი [8, 10] იმოწმებს რა ნორდმანისა და კესლერის ცნობებს, აღნიშნავს, რომ გველხოკერა მოიპოვება „აფხაზეთში, სამეგრელოში... თბილისის მიდამოებში“. შუგუროვის [19] ცნობით გველხოკერა გვხვდება „ავჭალაში, მცხეთაში, ლარითისკარში, ნატაფტარში, მდ. ვერის ხეობაში, კაბენის მონასტერთან, ზედა წყნეთში“. როსტომბეკოვის [15] გადმოცემით ეს ქვეწარმავალი „თბილისის მიდამოებში გვხვდება ყველგან“.

კუტუბიძის [21] თქმით გველხოკერა კასპის რაიონში მოპოვებულია „ჩოჩეთში, კაბრაშიანში, ნოსტეში, მეტებში და ქვედა ხანდაქში“ და ოგრეთვე ქვ. ბოშურში მდ. ტანას სანააიროზე (გორის რაიონი).

ამავე ავტორის [21] ცნობით ეს ქვეწარმავალი იშვიათად გვხვდება გორის რაიონში, სადაც ავტორს ს. შინდისთან მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მოუპოვებია, ხოლო სრულიად არ შეხვედრია ხაშურის მიდამოებში.

გარდა აღნიშნული აღგილებისა გველხოკერა ჩენოთვის ცნობილია შემდეგი აღგილებიდან: შირაქისა და ილაზნის ველებზე, ლაგოლეხთან, ყვარელთან, თელავის მიდამოებში, საგარეჯოსთან, სართოქალასთან, საცხენისთან, ამბარის ხეობაში, უჯარმებისთან, ხაშმთან (საგარეჯოს რაიონი), მცხეთაში, ბორჯომის ხეობაში, ახალციხესთან, ახალქალაქთან, ბოგდანოვკაში, ბაკურიანში, მანგლისში, კოჯორთან, ბოლნისთან, გარდაბანთან, სოლანლულთან, სამგორის ველზე, ხარაგოულთან, ქუთაისთან, ფოთის მიდამოებში, ბათუმისა და ქობულეთის მისადევრებში.

21. ბოხმეჭა (*Anguis fragilis Linné*)

საქართველოში ბოხმეჭა ფართოდაა გავრცელებული. შუგუროვის [19] გადმოცემით იგი გვხვდება „აჭარაში, სოფ. ხულოსთან, სოფ. ნონუს-ოლლის-



თან ზეგარის გადასავალის გზაზე, ქუთაისის მიღამოებში, წყალ-წითელი მომავალი კიროზე, საღორიის ტყეში, საფიჩხიაში, ხარაგოულთან, კვალიოში, ქოროლლის კალთებზე”.

ნიკოლ სკი [8, 10] გარდა ამისა ბოხმეჭას გავრცელებას ოლნიშნავს „ბორჯომის, ფასანაურის, სოხუმის, ფსირცხის, აბასთუმნის, მლეთის, ქობულეთის, თბილისის, ლაგოდეხის, მცხეთის, ბათუმის, ტყიბულის მიღამოებიდან, სვანეთიდან, ბაკურიანიდან, წებელდიდან“. როს ტომბეკოვის [15] გადმოცემით ბოხმეჭა მოიპოვება „კოჯორში, წყნეთში, ქორქის ტბაზე, ლისის ტბაზე, ორთაჭალაში, ავჭალაში და მცხეთაში“. იმავე ავტორს [14] ბოხმეჭა მოპოვებული აქვს ზემო ლათში (აფხაზეთში).

კუტუბიძეგა [21] ეს ქვეწარმავალი მოუპოვებია ს. ჩოჩეთში (კასპის რაიონი), ქვ. ბოშურში მდ. ტანას სანაპიროზე (გორის რაიონი).

ჩვენთვის ეს ქვეწარმავალი ცნობილია ლისიდან (თბილისის რაიონი), მწვანე კონცეიდან, ჩაქვიდან, ციხისძირიდან (აჭარა), სურამიდან, ტანას ხეობიდან, ატენთან (გორის რაიონი). მოიპოვება იგი აგრეთვე ლაგოდეხისა და თულაგის რაიონებში, ივრის სანაპირო ტყესა და ბუჩქნარებში, გომბორის ქედზე, საგარეჯოს მახლობლიდ, საცხანისთან, უჯარმასთან, მუხრანგანთან (საგარეჯოს რაიონი), სურამის მიღამოებში.

22. კაგუასის მარდი ფხვენი (*Eremias velox caucasica* Lantz)

ნიკოლ სკის [8] მიხედვით ოლნიშნული სახეობის ხელიკის გავრცელების დასავლეთი საზღვარი არ სცილდება სურამის ქედს. ამ ხელიკის გავრცელება მისთვის ცნობილია თბილისისა და ლაგოდეხის მიღამოებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ როს ტომბეკოვის [15] თბილისის მიღამოების ქვეწარმავალთა მიმოხილვის სიში ეს სახეობა არა აქვს წარმოდგენილი. კუტუბიძის [21] გადმოცემით მარტი ფხვენი გვხვდება გორის რაიონში, კერძოდ „უფლისციხეში და კვერნაკის მთაზე“.

23. ფერადი ფხვენი (*Eremias arguta* Pall.)

ტერენტი იევსა და ჩერნოვს [18] ამ სახეობის ფხვენის საქართველოში გავრცელება კითხვის ნიშნით აქვთ აღნიშნული.

II. ჩამელეონები (CHAMELEONTES)

24. ქამელეონი (*Chameleon vulgaris* L.)

საქართველოში ქამელეონი არა გვხვდება, მაგრამ წარსულში აღვნიშნავდით [25], ამ ქვეწარმავლის ორი ეგზემპლარის ბათუმისა და ფოთის მიღამოებში მოპოვების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 1950 წლის ზაფხულში ქამელეონის ერთი ეგზემპლარი მოპოვებულ იქნა ქობულეთის ბახლობლად ტყეში. ცხადია, რომ ქამელეონი საქართველოში შემთხვევითაა შემოსული უცხოეთიდან შემოტანილ მცენარეებთან ერთად და ამდენად იგი საქართველოს ქვეწარმავლთა ფაუნის ძირითად სიაში შეიძლება არ იქნეს შეტანილი.

III. გველები (OPHIDIA)

25. ბრუცა (გველბრუცა) (*Typhlops vermicularis* Mer.)

გველი ბრუცა საქართველოს ფარგლებში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ნიკოლ სკის [9, 10] გადმოცემით იგი გვხვდება ლისის ტბაზე, მცხეთაში, ლაგოდეხში... შუგუროვის [19] თქმით ეს გველი მოიპოვება თბილისის მიდამოებში, კუკის სასაფლაოზე, ლისის ტბაზე, მცხეთაში, ლრმა ლელეში, ვერეზე, ტაშხარხანაში, ზედა წყნეთში, ხატის თელეთში, ქსანში. როსტოკში ეკოვს [15] ბრუცა მოუპოვებია „ბოტანიკურ ბაღში, ორთა-ჭალაში, კოჯორში და წყნეთში“. ნიკოლ სკი [10], იმოწმებს რა ეს ლერის ჭალაში, კოჯორში და წყნეთში“.

გარდა აღნიშნული ადგილებისა ბრუცა ჩვენთვის ცნობილია აგრძელებულის ტბიდან, ბაგებიდან, ახალდაბიდან, ბეთანიიდან, დელისიდან, ნაბშირ-გორიდან, ლისიდან, ლიმიდან, თელეთის ქედიდან, წეროვანიდან, ნატახტა-რიდან, ახალქალაქიდან, კასპიდან, გარიყულიდან, გორის რაიონიდან, სურა-მის მიდამოებიდან, თელავის მიდამოდან, სიღნაღმიდან, წითელ წყაროს მიდა-მოებიდან, სოლანლულიდან, გარდაბნიდან, სამგორიდან, საცხენისიდან, მუხრო-ვანიდან, უჯარმიდან, სართიჭალიდან, საგარეჯოს მიდამოებიდან. უნდა აღი-ნიშნოს, რომ ამ გველის რამდენიმე ეგზემპლარი მოპოვებულია თბილისის ქუჩებშიც (მაგალითად, რუსთაველისა და სამხედრო ქუჩების შესაყართან, ჩელუსკინელების მოედანზე), უნივერსიტეტის ქუჩაზე, ხილიანის ქუჩაზე, საბურ-თალოში, სტუდენტთა ქალაქში).

26. ველის მახრჩბელა (*Eryx jaculus* Linné)

ველის მახრჩბელა გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ველებზე. კეს ლერის [3] თქმით იგი გვხვდება თბილისიდან აღმოსავლეთით. ნიკოლ სკის [9, 10] გადმოცემით ეს გველი გვხვდება თბილისის და ლაგო-დების მიდამოებში.

შუგუროვის [19] ცნობით ველის მახრჩბელა მოიპოვება „ვერისა და ავჭალის თიხოვან ნიაღაგიან დაბლობებში“. როსტოკში ეკოვს [15] გად-მოცემით ეს გველი გვხვდება „თბილისის სამხრეთი — სოლანლულში, კუმისის ტბის მახლობელ ვაკეზე და თელეთის ქედის სამხრეთ კალთებზე“.

ჩვენ მიერ აღნიშნული სახეობის გველი მოპოვებულია გარდაბანში, რუს-თავში, სამგორის ველზე, შავნაბადაზე, ზინდისში, წავკისთან, თბილისის ბოტა-ნიკურ ბაღში, დელისში, ვეძისში, დიღმის ველზე, ქორქის ტბაზე, მლაშე ტბებთან, უდაბნოსთან (საგარეჯოს რაიონი).

27. ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix* Linné)

კეს ლერის [3] გადმოცემით ამ სახეობის ანკარა გვხვდება თბილისში, ფოთის მიდამოებში. შუგუროვის [19] ცნობით ეს ქვეწარმავალი მოიპოვება ქედასა და ხიჩეურს შორის, მახუნცეტის ჩანჩქერის მახლობლად, ბეთანიაში,



გუბის წყალთან, წყნეთში, დიდუბეში, მდ. ვერეზე არსებულ წისქერქლის მიერთებულ ნიკოლსკის [9, 10] ჩვეულებრივი ანკარას გავრცელება აღნიშნული აქვს შემდეგი აღგილებიდან: „მცხეთა, კოდორის ხეობა (სოხუმის მიღამოები), აბას-თუმნის ხეობა, წებელდა, აჯამეთი, ხარაგოლუი, ქუთაისი, აბაშა, ლაგოდეხი, ბორჯომი, ლიანი, სოხუმი, ჩაქვი, პალიასტომი, ს. ხები (ბათუმის ოლქი), მდ. სოხა (ქუთაისის გუბი), წითელი მთა“.

იგივე ავტორი [9, 10] გადმოვცემს ნესტეროვის ცნობას ამ ქვეწარ-მავლის ბათუმის მიღამოებში მასობრივად გავრცელებისა და გუდაუთის მახ-ლობლად მოპოვების შესახებ. როსტომშეკოვი [15] ამ გველის გავრცე-ლების აღგილებად ასახელებს „თბილისის მიღამოების ყველა წყალსატევს და მდ. მტკვრის მახლობელ მიდამოებს“.

ხელაძის [22] მიხედვით ჩვეულებრივი ანკარა მოპოვება „ჩოჩეთში, მდ. თეძამის სანაპიროებზე და სოფ. გარიყულაში (კასპის რაიონი) და ქვ. ბო-შურში (გორის რაიონი)“.

ჩვენ მიერ ჩვეულებრივი ანკარა მოპოვებულია ალაზნის ველზე, სოფ. ძვ-ანაგაში, გარდაბანში, მარნეულში, თელეთში, შინდისში, სოლანლულში, რუს-თავში, მლაშე ტბებთან, მარტყოფში, ბოლნისში, საგარეჯოში, სართიშალაში, მუღანლოსთან (იორის), ხაშმთან, უჯარმასთან, მუხროვანთან (საგარეჯოს რაიონი), ახალციხეში, მანგლისში, კოჯორში, წაკისში, არაგვის ხეობაში, თითქმის ყველგან (ნარევავში, ნატახტართან, წერავნის ველზე, საგურამოში), ვერის ხეობაში თითქმის ყველგან, ლისში, დილომში, დელისში, ავჭალაში, მცხეთაში, ძეგვში, კასპში, ახალქალაქში (კასპის რაიონი), გორში, სურამის მიღამოებში, ალში (ხაშურის რაიონი), ახალ ათონში, ქობულეთში, ციხის-დირში, მწვანე კონცხთან, ნატანებში, შეკვეთილში, სამტრედიაში, სოფ. ტყა-ჩირში (ქუთაისის რაიონი), ზესტაფონში, სვირში, რიონში.

28. სპასეთის ანკარა (*Natrix natrix persa* Pall)

ამ სახეობის გველი როსტომშეკოვის [15] მიერ მოპოვებულია თბი-ლისის მახლობლად „სამთო-ქულტურულ სატყეოში, ორთაჭალაში“.

29. წყლის ანკარა (*Natrix tessellata* Laur.)

საქართველოს ფარგლებში წყლის ანკარა საქმაოდ ფართოდაა გავრცე-ლებული. შუგუროვის [19] თქმით „იმერეთში და ქუთაისის მიღამოებში წყლის ანკარა ისევე მრავლად გვხვდება, როგორც ჩვეულებრივი ანკარა“. გარდა ამისა, ამავე ავტორს [19] აღნიშნული აქვს ამ გველის გავრცელება „ლართის კართან და მდ. ვერაზე წისქვილთან (ბაგების მახლობლად)“. ნიკოლ-სკის [9, 10] წყლის ანკარას მოპოვების აღგილებად დასახელებული აქვს „თბილისი, ახალციხე, ტყიბული, წალკა, გაგრა, გუდაუთი, პალიასტომი, მცხეთა, გორი, ქობულეთი, წებელდა, ქუთაისი, აჯამეთი, ლექსური (სვა-ნეთი)“. როსტომშეკოვის [15] მიხედვით ეს გველი თბილისის მიღა-მოებში „გვხვდება მტკვრის მახლობელ წყალსატევებსა და ბარდებში, მაგრამ უფრო იშვიათად ვიღრე *Natrix natrix*-ი“.

მასალები ქვეშარმავლების საქართველოში გავრცელების შესწავლისათვის შესწავლისათვის სანაპიროზე და ჭიათურაში.

ჩენ მიერ წყლის ანკარა, გარდა ზემოაღნიშულისა, მოპოვებულია სოხუმ-თან, ახალ ათონთან, ფსირცხაში, ფოთის მიღამოებში, ჭალადიდში, ზუგდიდთან, ნატანებში, შეკვეთილში, ბათუმთან, მწვანე კონცხთან, ჩაქვთან, ციხის ძირში, ქობულეთში, რიონში, სურამის მიღამოებში, კასპთან, ს. ახალქალაქში, ახალციხეში, საგარეჯოში, რუსთავში, გარდაბანში, მარნეულში, ალაზნის სანაპიროზე თელავ-ყვარლის ნაკრძალში, თელავის მახლობლად, ილტოში, თურდოში, ლაგოდებში, ჭიათურის ტყეში, ლისის ტბაში, ქორქის ტბასთან, ვერის ხეობაში — წყნეთთან, სართიშალაში, ხაშვში, უჯარმასთან, მუღანლოს-თან, ნატახტართან, ნარეკვავში, საგურამოში, ბაზალეთის ტბასთან.

30. მუცელყვითელი მცურავი (*Coluber jugularis* Linné)

მუცელყვითელი მცურავი საქართველოს ფარგლებში საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. კესლერის [3] ოქმით იგი გვხვდება „უმთავრესად მტკვრის ხეობაში თბილისიდან აღმოსავლეთით“ და იქვე [3] აღნიშნავს, რომ ეს ქვე-წარმაგალი „სხვათა შორის მოპოვებულია თბილისის მახლობლად“. ნიკოლ-სკის [9] გადმოცემით ამ სახეობის გველი გვხვდება „საქართველოში და კავკასიონის ქედის კალთებზე“. ამვე ივტორის [9, 10] მუცელყვითელი მცურავის გავრცელების აღვილებად დასახელებული აქვს „მუხროვანი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი“. შუგუროვის [19] მიხედვით ეს გველი გვხვდება „იღლუნიანთან, მცემთაში, ნაცხორის ზემოთ, მდ. ვერეზე წისქვილის მახლობლად (ბაგებთან)“. როსტომ გერვანის [15] ცნობით მუცელყვითელი მცურავი გვხვდება „შავნაბადას მონასტერთან და ყველგან თელეთის ქედზე, და აგრეთვე ქოროლზე“.

მუცელყვითელი მცურავი ჩვენთვის ცნობილია შემდეგ აღვილებიდანაც: ალაზნის ველიდან (კერძოდ ხირსიტან, ყარალაჯიდან), შირიქიდან, ელდარი-დან, გარდაბნიდან, რუსთავიდან, სამგორიდან, სართიშალიდან, მთა ნატახტარიდან (საგარეჯოს რაიონი), მუღანლოდან (იორის), უდაბნოდან, ფაშატიანთ ხევიდან, ვაზიანის მიღამოდან, ავლაბრის ტბის მიღამოდან, სოლანლულიდან, შულაგრიდან, სანდარიდან, ბოლნისიდან, მდ. ვერის სანაპიროდან (კერძოდ ზოოპარკის დამხმარე მეურნეობის ბალში), დელისიდან, ნახშირგორიდან, ავჭალიდან, ღრმა-ლელიდან, დიღმის ველიდან, ივლაბრის ტბის მიღამოდან, ნატახტარიდან, საგურამოდან.

31. მწვანე მცურავი (*Coluber najadum* Eichw.)

საქართველოს ფარგლებში მწვანე მცურავი მრავალ აღვილას გვხვდება. შუგუროვის [19] ცნობით იგი მოიპოვება „ქუთაისის მახლობლად, ხიხეურსა და ხულოს ზუა აქარაში,... ვერის სასაფლაოზე, მდ. ვერის ხეობაში წისქვილის მახლობლად და ქვედა წყნეთის ზედა წყაროსთან“. ნიკოლ-სკის [9, 10] გადმოცემით ამ სახეობის გველი გარდა ზემოაღნიშნული აღვილებისა



გვხვდება ქავკასიონის „მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, თბილისში უალეთში“¹, ლაქის მთაზე, აბასთუმანში, ბორჯომში, ყარაიაში, აჯამეთში, ლაგოდებში“, როსტომბეკოვს [15] მწვანე მცურავი მოუპოვებია „თელეთის ქედზე-სოლოლაქის მაღლობზე და ლავითის მთაზე“. ტერენტი ივა და ჩერ-ნოვი [18] ზოგადად ოლიშენავენ, რომ ეს გველი მოიპოვება საქართველოში. ჩერნ მიერ მწვანე მცურავი მოპოვებულია ავჭალაში, მცხეთაში, საგურა-მოში, კასპის რაიონში, თელავისა და ყვირელის მიდამოებში, სიღნალის მახ-ლობლად, რუსთავში, სამგორში, კუმისში, წავკისში.

32. ფერადი მცურავი (*Coluber ravergeri* Ménét)

საქართველოს ფარგლებში ფერადი მცურავი მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებში გვხვდება. შუგუროვი [19] ამ გველს მეტად ჩერულებრივ ფორ-მად სოვლის თბილისის მიდამოებისათვის. იგივე ოლიშენული აქვს ნიკოლ-სკისაც [9, 10]. როსტომბეკოვს [15] ფერადი მცურავი მოუპოვებია „დავითის მთაზე, თელეთის ქედზე და წყნეთის მახლობლად“. ტერენტი-ივა და ჩერნოვი [18] ამ გველის გეოგრაფიულ გავრცელებას არეალთა შორის საქართველოსაც მიუთითებენ.

ჩერნ მიერ ფერადი მცურავი მოპოვებულია დელისში, ლისში, ქორქის ტბის მახლობლად, ბაგებთან, სოლანლულში, რუსთავში, სამგორის ველზე და გარდაბანში (ყარაია).

33. ხალებიანი მცურავი (*Elaphe situla* Linné)

ნიკოლსკი [9] ხალებიანი მცურავის საქართველოში გავრცელების აღგილად თბილისის მიდამოებს მიუთითებს, რასაც შემდეგში აღსატურებენ ტერენტი-ივა და ჩერნოვიც [18]. საყრდანლებოა, რომ ამ ავტორებს თავიანთი ნაშრომისათვის დართულ რუკაზე ალიშენული აქვთ ამ ქვეწარმავ-ლის გავრცელება თბილისის მიდამოდან; ბოლნისის რაიონიდან. აღსანიშნავია, რომ როსტომბეკოვს [15], რომელმაც თავისი ნაშრომი თბილისის მიდა-მოების ჰერბეტოფაუნის შესწავლას მიუძღვნა, ხალებიანი მცურავი თბილისის მიდამოების ქვეწარმავალთა სიაში არ აქვს მრავალილი. გარდა ზემოაღნიშნუ-ლისა ამ სახეობის მცურავი გვხვდება გარდაბნისა და მარნეულის რაიონში.

34. ამიერკავკასიის მცურავი *Elaphe (hohenackeri) Strauch)*

საქართველოს ფარგლებში ამიერკავკასიის მცურავი ნიკოლსკის [9, 10] მიხედვით გვხვდება „ლიკანში, თბილისში, მცხეთაში, ქუთაისთან, სოფ. გუბში“. შუგუროვს [19] ამ სახეობის გველი მოუპოვებია მცხეთის მახლობლად. როსტომბეკოვის [15] ცნობით ამიერკავკასიის მცურავი მოიპოვება „თე-ლეთის ქედზე, ზედაზენში, ბულბულების წალკორში თბილისის მახლობლად“. ჩერნოვის ამიერკავკასიის მცურავი ცნობილია ნატახტარიდან, საგურა-მოდან, სამგორიდან, მუხრანეანიდან, უჯარმის მიდამოდან, ხაშმიდან, რუსთა-ვიდან და გარდაბნიდან.

35. ესკულაპის გველი (Elaphe longissima Laur)

საქართველოს ფარგლებში ესკულაპის გველი საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ნიკოლსკის [9, 10] მიხედვით ამ სახეობის გველი მოპოვებულია „სურამის ქედზე, სამეგრელოში, აფხაზეთში ბაშორთან“, და აგრეთვე „თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ტყიბულში“. შუგუროვს [19] ამ გველის გავრცელება აღნიშნული აქვს ხულოს და ნანუთ-ოდღიში. (აჭარა). როსტომ-ბეკოვს [15] ესკულაპის გველის თბილისის მიღამოებში არსებობა საეჭვოდ მიაჩნია და აღნიშნავს, რომ საქითხი „მისი აქ გავრცელების შესახებ მოითხოვს შემდეგ კვლევას“.

ტერენტიევი და ჩერნოვი [18] ამ გველის გავრცელების მიუთითებენ ამიერკავკასიის სსრ; ციტირებულ ნაშრომზე დართულ რუკაზე ესკულაპის გველის არეალის ფარგლებში საქართველო მთლიანადაა მოცემული.

36. ოთხზოლიანი მცურავი (Elaphe quatuorlineata Lacép.)

საქართველოს ფარგლებში ოთხზოლიანი მცურავი მცირე რომელიმით მოიძოვება. ნიკოლსკის [9, 10] თქმით იგი „როგორც ჩანს თბილისის დასავლეთით არ ვრცელდება“. მასვე აღნიშნული აქვს ოთხზოლიანი მცურავის გავრცელების პუნქტი წალკა. როსტომ-ბეკოვის [15] გაღმოცემით „ზოლებიანი მცურავი თბილისის მიღამოებში მეტად იშვიათად გვხვდება. აგა მხოლოდ ერთხელაა ნახული შავნაბადას მონასტრის მახლობლად“.

ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] ცნობით ეს გველი საქართველოში „სურამის ქედის დასავლეთით არაა ცნობილი“.

37. სახეებიანი მცურავი (Elaphe dione Pall.)

სახეებიანი მცურავი საქართველოში მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება. ნიკოლსკი [9, 10] მიუთითებს ამ სახეობის გველის გავრცელებას ლაგოდებიდან.

ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] ამ მცურავის არეალში დასახელებული აქვთ საქართველოც.

ჩვენთვის სახეებიანი მცურავის გავრცელება ცნობილია გარდაბნის მიღამოებში; შესაძლებელია მისი არსებობა უდამნოშიც (საგარეჯოს რაიონი).

38. ხპილენძა (Coronella austriaca Laur.)

საქართველოს ფარგლებში სპილენძა საკმაოდ მრავალ ადგილის მოიპოვება. შუგუროვის [19] ცნობით ეს გველი გვხვდება ქუთაისის მიღამოებში, ჩაქვში ბათუმთან. ბეთანიაში შეხვედრია მხოლოდ ერთხელ. ნიკოლსკის [9, 10] გაღმოცემით სპილენძა, გარდა ზემო აღნიშნული ადგილებისა, მოიპოვება „გაგრასთან... პიკუნდაში, სოხუმში, ბათუმში, სვანეთში, ბორჯომში, წალკაში, ლაგოლეხში, წებელდაში, ქუთაისში, თბილისში, ლიკანთან, ტებერდაში“. როსტომ-ბეკოვის [15] თქმით სპილენძა თბილისის მიღამოებში მაინც და მაინც ხშირად არა გვხვდება. გ. კოკოჩაშვილის (in litt) თქმით

ეს გველი გვხვდება კელასურთან. კნიაზევის [4] გადმოცემით სპილენძა-მოიპოვება ტებერდის სახელმწიფო ნაკრძალში.

ხელაძეს [22] სპილენძა მოუპოვებია „სოფ. ორმოცხი, ქვ. ბოშურში, კაცქაციანთ კალოს ხევის მიღამოში“.

გარდა ილნიშნულისა სპილენძა ჩვენთვის ცნობილია ახალი ათონიდან, მწვანე კონცხიდან, ქობულეთიდან, სამგორიდან, მულანლოდან (სართიჭალის), საცხენისიდან, ხაშმიდან, რუსთავიდან, გარდაბნიდან, მარნეულიდან, თელე-თიდან, შინდისიდან.

39. საყელოანი კონტია (*Contia collaris Ménét*)

საქართველოს ფარგლებიდან საყელოანი კონტია მცირე ადგილებიდანაა ცნობილი. ნიკოლსკი [10] მის გავრცელების ადგილად ასახელებს ლაგო-დებს. ტერენტიევი და ჩერნოვი [18] ალნიშნავენ, რომ ამ სახეობის გველი გავრცელებულია „საქართველოში (სურამის ქედის დასავლეთით არაა ცნობილი)“.

ხელაძის [22] მონაცემებით საყელოანი კონტია გვხვდება ატენში და გორის მიღამოებში:

40. წყნარი კონტია (*Contia modesta Martin*)

წყნარი კონტია საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. შუგუროვის [19] ცნობით ამ სახეობის გველი მოიპოვება „მცხე-თაში, ვარაზს ხევში, ღართის კარში, ქვედა წყნეთში და ბოტანიკურ ბაღში“ და „შემდეგ დასძენს, რომ ეს გველი „ერთი ყველაზე ჩვეულებრივთაგანია თბილისის მიღამოებისათვის“ . ნიკოლსკი [9, 10] ალნიშნავს წყნარი კონტიის გავრცელებას თბილისის მიღამოებიდან, კოჯრიდან, მცხეთიდან. როსტომ-ბეკოვი [15] ამ გველს „თბილისის მიღამოებში საკმაოდ ხშირად პოულობდა“.

ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] გადმოცემით წყნარი კონტია საქართველოში სურამის ქედის დასავლეთით არა ვრცელდება.

ჩენე მიერ გარდა ილნიშნული ადგილებისა წყნარი კონტია მოპოვებულია შავნაბადის ქედზე, სადაც ერთი დღის განმავლობაში დაჭრილია 60 ეგზემპლარი, შინდისში, ოქროყანაში, სამგორის ველზე, გარდაბანში, ავჭალაში, ნატახტართან, საგურამოში.

41. კატის გველი (*Tarbothis fallax Fleisch*)

კატის გველი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მრავალი ადგილისათვის. შუგუროვს [19] იგი მოპოვებული აქვს „ღართის კარში, ნატახტარში, ლრმა-ლელეში, მდ. ვერის სანაპიროზე და ზედა წყნეთში“. ნიკოლსკის [9, 10] კატის გველის გავრცელების ადგილებად ილნიშნული აქვს „თბილისი, ყარაია, მცხეთა, ლაგოდეხი“. როსტომ-ბეკოვს [15] ეს გველი მოუპოვებია „სოლოლაკის მაღლობზე, თელეთის ქედზე, ოქროყანაში,

დაფილის მთაზე, საბურთალოში და მცხეთაში“. ტერენტიე ქრისტეფი ჩერნოვის [18] გადმოცემით კატის გველი საქართველოში დასავლეთით სურამის ქედს არა სკილდება.

ხელაძის [22] თქმით კატის გველი გვხვდება ატენში.

გარდა აღნიშნული ადგილებისა, კატის გველი ჩვენთვის ცნობილია დელისიდან, ნახშირგორიდან, ლისის ტბის მიდამოდან, შინდისიდან, თელეთის ქედიდან, სოლანლულიდან, გარდაბნიდან, ავჭალიდან, მუხრანიდან, ახალქალა-ქიდან (კასპის რაიონი), ნატახტარიდან, საგურამოდან, მლაშე ტბების მიდა-მოდან, სამგორის ველიდან, უდაბნოდან, შულავრიდან, წნორის მიდამოდან.

42. კვერცხიჭამია გველი (*Malpolon monspessulanus* Herm.)

საქართველოს ფარგლებში კვერცხიჭამია გველი მცირე რაოდენობით მოიპოვება. ნიკოლსკის [9, 10] გადმოცემით ამ სახეობის გველი მოიპო-ვება თბილისის მიდამოებში სოლოლაკის მაღლობზე. როსტომბეკოვი [15] ეჭვს გამოსთქვამს თბილისის მიდამოებში კვერცხიჭამია გველის გავრცელების შესახებ.

ტერენტიე გვისა და ჩერნოვის [18] გადმოცემით ამ სახეობის გველი გვხვდება „საქართველოში (გარდა აფხაზეთისა და ეჭვისა)“.

43. ველის გველგეხსლა (*Vipera ursini renardi* Christ)

ველის გველგეხსლა საქართველოს ფარგლებში მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებისათვისაა ცნობილი. პავლოვსკის [12] გადმოცემით იგი გვხვდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ტერენტიე გვისა და ჩერნოვის [18] ცნო-ბით ველის გველგეხსლა მოიპოვება საქართველოში გარდა აფხაზეთისა და აჭარისა.

ნიკოლსკი [10] მიუთითებს ამ გველგეხსლას გავრცელებას კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე.

კუტუბიძის (in litt) თქმით ეს გველი მოიპოვება გორის მიდამოში. ჩენ მიერ ველის გველგეხსლა ცნობილია შირაქის ველიდან, ელდარიდან, უდაბნოდან. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1944 წელს, როდესაც შირაქის ველზე მეტად გამრავლდა მლრღნელები, საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ეს გველგეხსლაც. მაგალითად, ერთი დღის განმავლობაში, ზემო ქედიდან ს. ჭანკანამდე (დაახლოვებით 15 კილომეტრის მანძილზე), მარტო გზის სანა-პიროზე, და ისიც მოღრუბლულ ამინდში, ჩენ მიერ მოკლულ იქნა ამ გველ-გელის 13 ეგზემპლარი. არც მანამდე და არც შემდეგში აღნიშნულ ადგი-ლებში ეს ქვეწარმავალი ასე მრავლად ჩენ არ შეგხვდრია. მოპოებულია იგი აგრეთვე თელავის მახლობლად — რუისპირთან.

44. კავკასიის გველგეხსლა (*Vipera kaznakovi* Nik.)

კავკასიის გველგეხსლა საქართველოს მხოლოდ დასავლეთ ნაწილში მო-ჰოვება. ნიკოლსკის [9, 10] გადმოცემით ამ სახეობის გველი გვხვდება „წებელდაში, გაგრაში, სოხუმში, ჩატუმში“. პავლოვსკი [12] აღნიშ-

ნაის, რომ კავკასიის გველგესლა „გვხვდება მთელს ჭავკასიაში, მთელს ჭავკასიაში, მთელს ჭავკასიაში“ იყო მათ მიზანისა. შავი ზღვის სანაპიროზე ეშვება სანაპირო ზოლამდე, მაგრამ აქ გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, ვიღრე მთებზე“. როსტო მბეჭდვის [14] გაღმოცემით კავკასიის გველგესლა გვხვდება „გვანდრის ულელტეხილზე“. გარდა ამისა, იგი, ამავე ავტორის [14] თქმით, მოპოვებულია ქუთაისის მახლობლად.

ტერენტიევი და ჩერნოვი [18] სამრთლიანად აღნიშნავენ, რომ კავკასიის გველგესლა გვხვდება „დასავლეთ კავკასიასა და დასავლეთ ამიერ-კავკასიაში სამხრეთით აჭარამდე ჩათვლით“. თუმცა ამავე შრომისათვის დართულ რუკაზე მითითებულია ამ გველგესლას გავრცელება აღმოსავლეთ კავკასიონზეც, კერძოდ სამხრეთ ასეთში, ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში, დალის-ტანში, რაც ეწინააღმდეგება ზემო ციტირებულს და მკითხველს ერთგვარ გაუგებრობაში აგდებს.

გარდა აღნიშნულისა, კავკასიის გველგესლა ჩვენთვის ცნობილია ახალი ათონიდან, სვანეთიდან, ტებერდიდან, რაჭიდან, სურამის ქედიდან.

45. ცხვირრქოსანი გველგესლა (Vipera ammodytes Linné)

საქართველოში ცხვირრქოსანი გველგესლა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ნიკოლ სკის [9, 10] გაღმოცემით იგი მოიპოვება „ბორჯომში, დილომკაში (თბილისიდან 25 კმ-ის დაშორებით)“. როსტო მბეჭდვის [15] თქმით, ცხვირრქოსანი გველგესლა გვხვდება კოჯორში (სანიშნო მთის ფერდობებზე), კაბენის მონასტრის ხეობაში, ბეთანიის მონასტრის მახლობლად, და ტაბარუხში, მდ. დიღმის ზემოთში“. როსტო მბეჭდვი ამავე შრომაში [15] სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „ცხვირრქოსანი გველგესლა თბილისის მიღამოებისათვის პირველად ჩემ მიერაა აღნიშნული“-ო, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან მასზე უფრო ადრე, კერძოდ 1907 წელს, ტარნანი [17] ცხვირრქოსანი გველგესლას გეოგრაფიული გავრცელების არეალში თბილისიც ასახელებს. ხოლო შემდეგში ნიკოლ სკის [9, 10] ეს გველგესლა მოუპოვებით თბილისიდან 25 კილომეტრის მანძილზე, მდ. დიღმის სათვეესთან, სადაც ამის შემდეგ მას როსტო მბეჭდებული პოულობდა.

პავლი გვ. სკის [12] გაღმოცემით ცხვირრქოსანი გველგესლა „მოიპოვება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და დასავლეთის სამხრეთ ნაწილში“. ტერენტიევისა და ჩერნოვის [18] ცნობით ამ სახეობის გველგესლა გვხვდება „ამიერკავკასიის სსრ, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ ნაწილებში (აქ სამხრეთით)“. ხელაძის [22] მიერ ამ სახეობის გველი მოპოვებულია ქვემო და ზემო ბოშურში.

ჩვენ მიერ ცხვირრქოსანი გველგესლა მოპოვებულია აგრეთვე ქოროლის ციხის ნანგრევებთან (კოჯორის მიდამო), კოჯორსა და სოფ. პრიუტს შორის არსებულ ტყებში, სოფ. ორმოცათან (მდ. ტანას ხეობაში, გორის რაიონი). საქართველოში, რომ უკანასკნელთან ეს გველგესლა ისეთი დიდი როდენობით ბინადრობს, რომ 1,5 საათის განმავლობაში შესაძლებელი შეიქნა

14 ცოცხალი ეგზემპლარის დაჭერა. ზოგი მათგანი აღამიანის საცხოვრებელი შემსრულებელი წისქვილის, კალოს მახლობლადაც კი ბინადრობდა. ექვე უნდა დავუმატოთ რომ შემდევში ცოცხალი ცხვირრქოსანი გველგვესლები მოთავსებულ იქნა სათანადო ტერარიუმში, სადაც მათგან სამშა ნაშიერები შობა (ერთმა 9, დანარჩენებმა 4 და 5).

46. გიურზა (*Vipera lebetina* Linné)

საქართველოს ფარგლებში გიურზა გვხვდება მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში. ნიკოლსკის [9, 10] ცნობით იგი მოიპოვება „ელდარში,... შულავერში,... ბათუმის ოლქში“. როსტომ მარგოვანის [15] მიხედვით გიურზა გვხვდება „მტკერის მახლობელ სოლანლულის ველზე, რომელიც დაფარულია ბალახითა და ბუჩქნარით, და აგრეთვე სოფ. კრწანისიდან სოფ. შინდისამდე გადაკიმულ ქვიან ფერდობზე“. შემდეგ იგვენ ავტორი [15] მოგვითხრობს, რომ „თბილისის მიღამოებში დღემდე გიურზას მოპოვების უახლოეს (და ისიც ერთადერთ) პუნქტად ითვლებოდა ელდარის ველი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ პატიკიცემული მცველევარის ეს მტკიცება არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან გიურზა თბილისთან ელდარზე უფრო უახლოესი პუნქტიდან (შულავრიდან, იხ. ზემოთ დამოწებული ნიკოლსკის ნაშრომები) იყო ცნობილი, რაც თავის მხრივ უარყოფს როსტომმაგვარის მტკიცების მეორე მუხლს, თითქოს ელდარი გიურზას საქართველოში გავრცელების ერთადერთი პუნქტი ყოფილიყოს.

ტერენტი იევისა და ჩერნოვის [18] ცნობით გიურზა გვხვდება „ამიერკავკასიის სსრ, (არაა აფხაზეთში)“.

გარდა აღნიშნულისა ეს გველი ჩენთვის ცნობილია სანდარიდან, წითელი ხიდის (ბოლნისის რაიონი) მიღამოდან, უდაბნოდან. გიურზას ერთი ეგზემპლარი, რომელიც თბილისის ზოოპარკში საკმაოდ დიდ ხანს ცხოვრობდა, მოპოვებული იყო სადახლოსთან.

IV. კუვები (CHELONIA)

47. კასპიის კუ (*Clemmis caspica* Gmelin)

საქართველოში კასპიის კუ გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში. ნიკოლსკის [8, 10] გადმოცემით იგი მოიპოვება „ამიერკავკასიის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში დასავლეთით არა უშორეს თბილისის ან, აღბათ, არა უშორეს სურამის ქედისა“. როსტომ მარგოვანი [15] ამ სახეობის კუს გავრცელებას აღნიშნავს კუმისის ტბიდან და შემდეგ განაგრძობს, რომ „ილუნიანისა და მლაშე ტბების მიღამოებიდან მე მომიტანეს კასპიის კუს ზედა ფარი (Carapax). აღბათ მოიპოვება ივლიბრის ტბაშიც“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნიკოლსკის [8] მიხედვით „თბილისის მიღამოების მტკნარ-წყლიანი წყალსატევებისათვის იგი ჯერ მითითებული არაა“. ტერენტი იევისა და ჩერნოვის [18] თქმით ეს კუ გვხვდება „საქართველოში (სურამის ქედის დასავლეთით არაა ცნობილი)“.

ჩეენ მიერ იგი, გარდა ზემოაღნიშნული ადგილებისა, მოპოვებული კუჭი თისხევში, ხანდაკში, ჩინჩეთში და მეტეთან, მტკვრის სანაპიროზე, ივრის სანაპიროზე ჭაობში, სოფ. სართიჭალის მახლობლად.

48. ჭაობის კუ (*Emys orbicularis* Linné)

საქართველოს ფარგლებში ჭაობის კუ საქმიოდ ფართოდაა გავრცელებული. ნიკოლსკის 2 თვის [10] იგი ცნობილია „თბილისიდან, ბათუმიდან, აბაშიდან, ლაგოდეხილან, პალიასტომის ტბილან, მდ. რიონისა და მდ. ჭოროხის შესართავებიდან, ჩაქვის მახლობელ მდინარეებიდან, სოხუმიდან, გუდაუთიდან, გაგრიდან“. ქუთაისის მახლობლად ჭაობის კუს გავრცელების შესახებ მოვცითხოობს შუგუროვი [19]. როსტომ მეგოვის [15] მიხედვით ჭაობის კუ ცნობილია „ქორქის ტბილან, ლისის ტბიდან, ახალდაბიდან; ხშირად გეხვდება მტკვრის გასწვრივ, მდორე მიმდინარეობის აღგილებში, საღაც მისი სანაპიროები დაფარულია ლელით ან ბალანით“. შუგუროვი [9] გადმოგვცემს, რომ ამ სახეობის კუ მოიპოვება „კუმისის ტბაზე, მდ. ვერაზე, ბეთანიასთან, მცხეთაში, ნაცხორის ციხის ნანგრევებთან“.

ჩეენ მიერ ამ სახეობის კუ ცნობილია ალაზნის ველზე — ბაიმათის მახლობელ ჭაობებში, ხირსის, ძეველი ანაგის მახლობლად, ლაგოდებში, ჭიათურში, ბულიონოვებში, ყვარელთან, თელავის მიდამოებში, ავჭალაში, ციხის ძირში, მწვანე კონცხთან, ბათუმის მახლობელ ტბებსა და ჭაობებში, ახალ ათონში, საყულიასა და ტყაჩირში (ქუთაისის რაიონი).

49. ხაბერძნეთის კუ (*Testudo graeca* Linné)

საქართველოს ფარგლებში საბერძნეთის ანუ ხმელეთის კუ გვხვდება შხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში და არა სცილდება სურამის ქედს. რასაც გვიდასტურებს ნიკოლსკი [8, 10]. შუგუროვის [19] ცნობით ხმელეთის კუ გვხვდება „კუმისის ტბის მახლობლად, ვარაზის ხევის ხრამებში, მცხეთაში, ნატახტარში, ღართისეკარში, ქვემო წყნეთში, ტაშხარხანაში, ავჭალაში, დილომში, მდ. ვერაზე, ქოროლლის სამხრეთ ფერდობებზე“. როსტომ მეგოვის [15] დასტურით ეს კუ მრავლად მოიპოვება „ორთაჭალაში, სამთო-სატყეოში მთის მწვერვალზე. აგრეთვე იმ მთის ფერდობებზე, რომელზედაც გადის ლისის ტბის გზა, ამ ტბის უკან მდებარე ვილებზე და ხუდადოვის ტყეში“.

ნიკოლსკის [8] ცნობით ეს კუ გვხვდება აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, კერძოდ აქ იგი ცნობილია ადლერის მიდამოში.

ჩეენთვის ხმელეთის კუს გავრცელება, გარდა ზემოაღნიშნულისა, ცნობილია შირაქის ველიდან, ალაზნის ველიდან, წითელწყაროს მიდამოებიდან, ხირსიდან, წნორიდან, ლაგოდეხილან, ჭიათურიდან, ყვარლიდან, თელავის მიდამოებიდან, გურჯაანიდან, მელანიდან, საგარეჯოდან, ბალიასურიდან, მუღანლოდან, სართიჭალიდან, სამგორიდან, უდაბნოდან, ფაშატიანთ ხევიდან, ვაზიანიდან, ლილოდან, რუსბოლოდან, რუსთავიდან, გარდაბნიდან, სოღან-

ლულიდან, ხაშმიდან, უჯარმიდან, შულავრიდან, ნატახტარიდან, უჭყაფების დან, ქსნიდან, გორიდან, ატენიდან, ხაშურიდან, კასპიდან, მეტეხიდან, საგურამოდან, ახალქალაქიდან (კასპის რაიონი).

ღასკევი

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, ოღონიშნავთ, რომ საქართველოში გავრცელებულ ქვეწარმავალთა ჩვენ მიერ წარმოლგენილი სია შეიცავს 49 სახეობასა და ქვესახეობას. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ერთი სახეობა (ხმელთაშუაზღვის თითტიტველი გვკონი) საქართველოს ფარგლებში დღემდე არაა აღმოჩენილი, ხოლო ერთი სახეობაც (ქამელეონი) ჩვენს ფაუნაში შემთხვევით ელემენტს წარმოადგენს და ამდენად ისინი მასალის სიმცირის გამო საქართველოში გავრცელებულ ქვეწარმავალთა საერთო სიაში არ შეიძლება შეტანილ იქნება.

ჩვენს ნაშრომში აღნუსხულ ქვეწარმავლებიდან ხვლიქებს ეკუთვნის 22 სახეობა (და ქვესახეობა) (44,9%), ქამელეონებს — 1 სახეობა (2,04%), ვალებს — 23 სახეობა (46,94%) და კუებს — 3 სახეობა (6,12%).

მიზანი ლიტერატურა

1. Г. П. Барач, К герпетологии Абхазии: Изв. Абхазского научного общ., вып. I. Сухуми, 1925.
2. К. М. Дерюгин, Материалы по герпетологии Юго-Западного Закавказья и окрестностей Трапезунда: Ежегодн. зоол. Музея, VI. 1901.
3. К. Ф. Кесслер, Путешествие по Закавказскому Краю с зоологической целью.
4. В. Князев, Тебердинский государственный заповедник. Тбилиси, 1946.
5. А. В. Лайстер, Из наблюдений над кавказскими стеллонами (*Agama caucasicus* Eichw.): Бюлл. Тифлисского общ. любителей природы, I. 1913.
6. А. Ф. Лайстер, К вопросу о географическом распространении *Vipera tenuifasciata* Christoph. и *Vipera berus* L. в пределах Кавказа. Харьков, 1908.
7. А. Ф. Лайстер, Ядовитые змеи Кавказа: Журн. Естествознание и география, № 6. 1910.
8. А. М. Никольский, Пресмыкающиеся, т. I, *Cheilonia* и *Sauria*: В серии „Фауна России и сопредельных стран“. Петроград, 1916.
9. А. М. Никольский, Пресмыкающиеся, т. II, *Ophidia*: В серии „Фауна России и сопредельных стран“. Петроград, 1918 г.
10. А. М. Никольский, Пресмыкающиеся и земноводные Кавказа. Тифлис, 1913.
11. А. М. Никольский, Пресмыкающиеся и земноводные Российской империи, *Herpetologia rossica*: Зап. АН, VIII серия, т. XVII, № 1. 1905.
12. Е. Н. Павловский, Ядовитые животные СССР. Москва-Ленинград, 1925.
13. Г. Радде, *Museum caucasicum*, т. I: Зоология. Тифлис, 1899.
14. В. Н. Ростомбеков, К герпетофауне Абхазии: Материалы к фауне Абхазии. Тбилиси, 1939.
15. В. Н. Ростомбеков, Материалы по герпетофауне окрестностей Тифлиса: Закавк. Краеведч. Сборник, серия А, Естествознание, I. Тифлис, 1930.
16. Г. Ф. Сухов, Обзор ящериц подрода *Lacerta* (*Sauria*) встречающихся в СССР Труды зоологического инст. АН СССР, VII, т. I. 1948.
17. И. К. Тарнани, Наши ядовитые животные. С.-Петербург, 1907.



18. П. В. Терентьев и С. А. Чернов, Определитель пресмыкающихся новоднных СССР. Ленинград, 1949.
19. А. М. Шугуров, Заметка о гадах Кавказа: Зап. Новоросс. общ. естествоиспыт. XXXIX. 1912.
20. ვახტაგ ბერძენიშვილის საქართველოს (საქართველოს გეოგრაფია). თბილისი, 1941.
21. ლ. კუტუბიძე, გორის რაიონის Lacertilia-თა ფაუნა: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XL. 1950.
22. პ. ს. ხელაძე, გორის რაიონის გველების (Ophidia) ფაუნის შესწავლისათვის: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XL. 1950.
23. არჩ. ჯანაშვილი, ქვეშარმავლები. თბილისი, 1948.
24. არჩ. ჯანაშვილი, საქართველოს ცხოველთა მოსახლეობა, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის იმსტიტუტის შრომები, I. 1947.
25. არჩ. ჯანაშვილი, ე. მებუკევდა ე. ჭერიშვილისათვის შესახვებ: თბილისის ზოოპარკის შრომები, I. 1948.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნებლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. III. 22).

А. Г. Джанашвили

Материалы к изучению распространения пресмыкающихся в Грузии

Резюме

В представленной статье автором, на основании изучения коллекций зоологической кафедры и зоологического музея Тбилисского государственного университета им. Сталина, Зоологического отделения Государственного Музея Грузии, личных наблюдений и анализа соответствующей литературы, дан список пресмыкающихся, распространенных на территории Грузинской ССР.

Всего в работе приводится 49 видов (и подвидов) пресмыкающихся, из коих 22 вида (44,9%) ящериц, 1 вид (2,04%) хамелеон, 23 вида (46,94%) змей и 3 вида (6,12%) черепахи.

Необходимо отметить, что из общего списка пресмыкающихся один вид (средиземноморский голопалый геккон) пока не найден в пределах Грузии, но имеется возможность его нахождения в пределах Аджарии, а один вид (хамелеон) является в герпетофауне Грузии случайным элементом, три экземпляра которого в разные годы были обнаружены около Батуми (1937), Поти (1938) и Кобулети (1950).